

საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემა

ილიბერალური დემოკრატიიდან
კონსტიტუციურ დემოკრატიაში



საქართველოს
პარლამენტის
საარჩევნო
სისტემა:

ილიბერალური
დემოკრატიიდან
კონსტიტუციურ
დემოკრატიაზე

თბილისი
2023

ნაშრომი მომზადებულია საქართველოს უნივერსიტეტთან არსებულ დამოუკიდებელ კვლევით ინსტიტუტ Gnomon Wise -ში, პროექტ „საქართველოს სახელმწიფოს წინაშე არსებული გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზების“ ფარგლებში.

ნაშრომზე მუშაობდნენ:

აკადემიური ხელმძღვანელი და რედაქტორი:

დავით ზედელაშვილი, Gnomon Wise-ის მკვლევარი;

ავტორები:

თამარ ქეცბაია, Gnomon Wise-ის მკვლევარი;

მარიამ ლორთქიფანიძე, საჯარო პოლიტიკის ანალიტიკოსი,
საკონსტიტუციო სამართლის მკვლევარი;

გიორგი ლელუაშვილი, საკონსტიტუციო სამართლის მკვლევარი;

ზვიად ხორგუაშვილი, Gnomon Wise-ის მკვლევარი.

ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებსა და კვლევით ინსტიტუტ Gnomon Wise-ს და შესაძლოა, არ ასახავდეს საქართველოს უნივერსიტეტის პოზიციას.



ნაშრომის მიზანი

სუვერენიტეტის აღდგენის შემდეგ, საქართველოში არ წყდება დისკუსია სამართლიანი საარჩევნო სისტემის შესახებ. 2024 წლიდან ამოქმედდება საქართველოს კონსტიტუციის ნორმა, რომლის მიხედვითაც, პარლამენტის არჩევნები სრულად პროპორციული სისტემით ჩატარდება.

ამის მიუხედავად, კვლავ რჩება უთანხმოება პარლამენტის საარჩევნო სისტემის დისპროპორციულობის შესახებ. სისტემის დისპროპორცია, მათ შორის, დიდი პარტიების სასარგებლოდ, ზოგადად, შესაძლებელია, რომ გამართლებული იყოს კონსტიტუციური დემოკრატიის პრინციპების საფუძველზე.

ნაშრომის მიზანია, გამოიკვლიოს, რამდენად არსებობს მსგავსი გამართლება საქართველოს კონტექსტში, კერძოდ, ქვეყანაში ჩამოყალიბებული პოლიტიკური რეჟიმის ტიპის გათვალისწინებით.

ნაშრომის თანახმად, საქართველოში ლიბერალური (კონსტიტუციური) დემოკრატიის ჩარჩოში მოქმედებს ილიბერალური, კერძოდ, პლემბისციტური ბელადის დემოკრატიის პოლიტიკური რეჟიმი. ნაშრომის მეორე თავი სწორედ რეჟიმის ამ ტიპსა და მასში არჩევნების როლს შეისწავლის და შესაბამის თეორიულ ჩარჩოს საქართველოს კონტექსტს მიუსადაგებს.

პლემბისციტური ბელადის დემოკრატია მაჟორიტარული დემოკრატიისა და დემოკრატიული პოპულიზმის ჩარჩოებში მოქმედებს. ამ ტიპის რეჟიმში, პლემბისციტური ლეგიტიმაცია მოიპოვება არჩევნების გზით, სადაც სტრუქტურულად ხელშეწყობილია ძალაუფლების შენარჩუნება ფარდობითი უმრავლესობის მხარდაჭერით. აღნიშნული შედეგის მიღწევის სისტემური ინსტრუმენტი მანდატების ბონუსია.

ნაშრომის მიზნების თანახმად, 2020 წლის ჩათვლით, მანდატების ბონუსი საქართველოს პარლამენტის არჩევნებში იწარმოებოდა პარალელური საარჩევნო სისტემის მეშვეობით. 2024 წლიდან ასამოქმედებელ პროპორციულ სისტემაში კი ამგვარ ბონუსს ქმნის გამორიცხვის 5%-იანი ბარიერის, საარჩევნო ბლოკების აკრძალვისა და მორჩენილი მანდატების განაწილების წესის კუმულაციური ეფექტი.

ნაშრომში დაწვრილებით არის გამოკვლეული საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემის მიერ მანდატების ბონუსის წარმოება, რაც ტოვებს შესაძლებლობას, რომ მმართველმა ძალამ, ამომრჩეველთა ფარდობითი უმრავლესობის მხარდაჭერით, შეინარჩუნოს მანდატების უმრავლესობა,

**საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემა:
ილიბერალური დემოკრატიიდან კონსტიტუციურ დემოკრატიაში**


ხოლო ამომრჩეველთა აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერით, კონსტიტუციის გადასინჯვის ძალაუფლება მიიღოს.

ამავე ნაშრომის მიგნებით, მანდატების ასეთი ბონუსი არ ემსახურება არც საპარლამენტო უმრავლესობის ფრაგმენტაციის თავიდან აცილების და არც სტაბილური მმართველობის უზრუნველყოფის კონსტიტუციურ მიზნებს. სინამდვილეში, მანდატების ბონუსი ხელს უშლის პოლიტიკური პლურალიზმისა და კონსოლიდირებული, ცენტრალიზებული პოლიტიკური ძალაუფლების გაზიარების დემოკრატიული პრაქტიკის მიღწევას და მისი მიზანია, მოემსახუროს პლებისციტური ბელადის დემოკრატიის მოთხოვნებს.

ამრიგად, ნაშრომის დასკვნით, საარჩევნო სისტემა რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან (თუმცა – არა ერთადერთ) წინააღმდეგ პლებისციტური ბელადის დემოკრატიიდან კონსოლიდირებულ კონსტიტუციურ დემოკრატიად საქართველოს ტრანსფორმაციის გზაზე.

საკრეჯი

1. შესავალი	6
2. არჩევნები ილიბერალურ დემოკრატიაში	11
2.1. ილიბერალური დემოკრატია, როგორც პლებისციტური ბელადის დემოკრატია	12
2.2. წარმომადგენლობითი ინსტიტუტები პლებისციტური ბელადის დემოკრატიის სამსახურში	17
2.3. ბატონობა ფარდობითი უმრავლესობის მხარდაჭერით – ნაწილი, როგორც მთლიანი	22
2.4. მანდატების პრემია (ბონუსი)	26
2.5. საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემა, როგორც პლებისციტური ბელადის დემოკრატიის ინსტრუმენტი	29
3. საარჩევნო ბარიერების გამოყენება მანდატების ბონუსის შესაქმნელად.	35
3.1. გამორიცხვის ბარიერი	37
3.2. საარჩევნო ბლოკების აკრძალვა	42
3.3. მანდატების განაწილების წესი	47
„პროპორციულობის“ განსხვავებული განმარტება მანდატების განაწილების სხვადასხვა წესის კონტექსტში	48
უდიდესი ნაშთის მეთოდები	49
უდიდესი საშუალოების მეთოდები	52
3.4. საარჩევნო ბარიერებისა და მანდატების ბონუსის შედეგები საქართველოს პოლიტიკურ სისტემაზე: რეტროსპექტივა და პერსპექტივა	55
4. დასკვნა	58
დანართი	61



შესავალი

საარჩევნო სისტემაზე დავა საქართველოში დაიწყო საბჭოთა რეჟიმის ბოლო წლებში და სუვერენიტეტის აღდგენის შემდეგაც არ შეწყვეტილა. საარჩევნო სისტემა იყო უთანხმოების საკვანძო საკითხი 1995 წლის კონსტიტუციის რატიფიკაციის წინ. ეს უთანხმოება, ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში, სრულად არასდროს აღმოფხვრილა. საარჩევნო წესებზე კამათი განსაკუთრებით მაშინ მწვავედებოდა, როდესაც ოპოზიციური ჯგუფები სუსტად აღიქვამდნენ თავს და მიიჩნევდნენ, რომ მოქმედი მმართველებისთვის საარჩევნო სისტემის მიერ მიცემული უპირატესობა, მათი არჩევნებით დამარცხების გზაზე, გადაულახავ წინააღმდეგობას ქმნიდა.

საარჩევნო სისტემები კონსტიტუციური დემოკრატიის ფუნდამენტური არქიტექტურის ორგანული ნაწილია. ამრიგად, მათი გააზრება სისტემურ პერსპექტივას მოითხოვს. დამკვიდრებულ კონსტიტუციურ დემოკრატიებში ერთსა და იმავე საარჩევნო სისტემას, ინსტიტუციური მოწყობის სხვადასხვა კონფიგურაციაში, შესაძლოა, განსხვავებული სისტემური ეფექტები ჰქონდეს. სისტემურ ეფექტებს შორის არსებითი სხვაობა უფრო თვალსაჩინოა სხვადასხვა პოლიტიკური რეჟიმის ერთმანეთთან შედარებისას.

ამ მხრივ, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ კონსტიტუციური დემოკრატიის სტანდარტულ კონსტიტუციურ ჩარჩოს იყენებენ როგორც კონსტიტუციური დემოკრატიები, ისე ავტორიტარული, ჰიბრიდული და ილიბერალური პოლიტიკური რეჟიმებიც. შესაბამისად, პოლიტიკური რეჟიმის კონტექსტის გააზრების გარეშე, კონსტიტუციური არქიტექტურის გარეგნული შესწავლა არასრულყოფილ სურათს მოგვცემს.

ამის გათვალისწინებით, საქართველოში სამართლიანი საარჩევნო წესებისთვის ხანგძლივი ბრძოლის სრულყოფილად გააზრება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოში ჩამოყალიბებული პოლიტიკური რეჟიმის ტიპის განხილვის კონტექსტში.

წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის, საქართველოს პოლიტიკურ რეჟიმს განვიხილავთ ილიბერალური, კერძოდ, პლებისციტური ბელადის დემოკრატიის თეორიულ ჩარჩოში. სწორედ რეჟიმის ამ ტიპის სპეციფიკური მახასიათებლები გვაძლევს შესაძლებლობას, კრიტიკულად გავაანალიზოთ როგორც საქართველოს პარლამენტის მოქმედი საარჩევნო სისტემა, რომლითაც პირველად 2024 წელს ჩატარდება არჩევნები, ისე ამ სისტემის მიღებამდე გავლილი ტრაექტორია.

პლებისციტური ბელადის დემოკრატია მუშაობს კონსტიტუციური დემოკრატიის სტანდარტულ ჩარჩოში. ის კონსტიტუციასა და კონსტიტუციურ ინსტიტუტებს პოპულისტი ბელადების მიერ მიტაცების, ბოროტად გამოყენებისა და პერსონალური ძალაუფლების მიზნებისთვის ინსტრუმენტალიზაციის მსხვერპლად აქცევს.

პლებისციტური ბელადის დემოკრატიის მიზნებისთვის, არჩევნებმა უნდა შეასრულოს შემდეგი ფუნქციები:

**საპარტოვალოს პარლამენტის საარჩევნო სისტემა:
ილიბერალური დემოკრატიიდან კონსტიტუციურ დემოკრატიაში**

- უზრუნველყოს ბელადის განგრძობადი წვდომა პოლიტიკური ხელისუფლების ინსტიტუტებზე, შეამციროს არჩევნების შედეგების განუსაზღვრელობა და განჭვრეტადი გახადოს ბელადის ხელახლა არჩევის უპირატესი შანსი;
- საარჩევნო პროცესს გამოაცალოს საჯარო პოლიტიკის საკითხების შინაარსობრივი განსჯის, დებატებისა და პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნის ფუნქციები;
- უზრუნველყოს, რომ ამომრჩეველთა ფარდობითი უმრავლესობის მხარდაჭერით, ბელადს შეეძლოს სრული პოლიტიკური ძალაუფლების კონტროლი.

პლებისციტური ბელადის დემოკრატიაში მოდიფიკაციას განიცდის როგორც არჩევნების ინსტიტუტი, ისე წარმომადგენლობითი სახელისუფლებო ინსტიტუტები და ძალაუფლების დანაწილების კონსტიტუციური სტრუქტურაც. საპრეზიდენტო სისტემის ჩარჩოში მოქმედი ბელადის დემოკრატიისთვის, რომელშიც სრული პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებას ორი არჩევნების (საპრეზიდენტო და საკანონმდებლო ორგანოს) მოგება სჭირდება, ოპტიმალურია ერთპალატიანი საკანონმდებლო ორგანო და პრეზიდენტისა და საკანონმდებლო ორგანოს არჩევნების ერთდროულად ან ვიწრო შუალედით ჩატარება. დამატებით, მიუხედავად იმისა, საკანონმდებლო ორგანო ერთპალატიანია, თუ ორპალატიანი, მნიშვნელოვანია, რომ მისი საარჩევნო სისტემა, ამომრჩეველთა ფარდობითი უმრავლესობის მხარდაჭერით, ხელსაყრელ პირობებს ქმნიდეს საკანონმდებლო პროცესზე კონტროლის მოსაპოვებლად.

მსგავსი ლოგიკა გამოიყენება საპარლამენტო სისტემის ფარგლებში მოქმედი ბელადის დემოკრატიის შემთხვევაშიც. აქაც ერთპალატიანი პარლამენტი ოპტიმალური გადაწყვეტაა. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, მთავრობის შექმნასა და კონტროლზე ზედა პალატის გავლენის არარსებობის გამო, პლებისციტური ბელადის დემოკრატია ქვედა პალატაზე კონტროლსაც შეიძლება დასჯერდეს, ყოველ შემთხვევაში, საწყისი ეტაპისთვის მაინც.

ორივე აღწერილ შემთხვევაში, პლებისციტური ბელადის დემოკრატია საჭიროებს მექანიზმს, რომელიც პარლამენტზე სტაბილურ კონტროლს ამომრჩეველთა ფარდობითი უმრავლესობის მხარდაჭერით გახდის შესაძლებელს. ფარდობითი მხარდაჭერის სრულ კონტროლად გადაქცევის აღქმის უკვე საარჩევნო სისტემა ასრულებს.

ამ მხრივ, მთავარი საარჩევნო სისტემური მექანიზმი გახლავთ ე.წ. მანდატების პრემია, იგივე ბონუსი. სისტემა მანდატების ბონუსს ანიჭებს არჩევნებში ფარდობითი უმრავლესობის მიმღებს, რათა მან მოიპოვოს მყარი აბსოლუტური უმრავლესობა, ან მოპოვებული აბსოლუტური უმრავლესობა გარდაქმნას კვალიფიციურ უმრავლესობად, რაც, ხშირ შემთხვევაში, ასევე გულისხმობს კონსტიტუციის ერთპიროვნულად შეცვლის ძალაუფლების მოპოვებასაც.

მანდატების ბონუსი, შესაძლოა, იყოს პირდაპირ გათვალისწინებული (მაგ. იტალიის ან საბერძნეთის შემთხვევებში მოქმედი ბონუსები), ან სისტემურად გამომდინარეობდეს. ეს უკანასკნელი შემთხვევა სახეგა, როდესაც საარჩევნო სისტემის დისპროპორციულობის ინდექსი მაღალია, კერძოდ, არსებობს არსებითი დისპროპორცია გამარჯვებული პარტიის (ფარდობითი უმრავლესობით) მიერ მიღებული ხმების რაოდენობასა და მოპოვებული მანდატების რაოდენობას შორის.

ბონუსის პირდაპირი ან არაპირდაპირი ფორმით მინიჭების მთავარი ნორმატიული არგუმენტი

სტაბილური უმრავლესობისა და სტაბილური მთავრობის შენარჩუნებაა. ეს არგუმენტი განსაკუთრებით რელევანტურია საპარლამენტო სისტემებში, რომლებშიც მთავრობა საპარლამენტო უმრავლესობის განგრძობად ნდობაზეა დამოკიდებული. თუმცა საკანონმდებლო ორგანოში სტაბილური უმრავლესობის არსებობის მხარდასაჭერი არგუმენტი გამოიძენება საპრეზიდენტო სისტემაშიც, რომელშიც ფრაგმენტირებული პარლამენტი ინსტიტუციური კონფლიქტების, ჩიხისა და დისფუნქციის მთავარი წყაროა.

ილიბერალური დემოკრატიები, როგორც წესი, ამ, ზოგადად, ვალიდურ, ნორმატიულ კონსტიტუციურ არგუმენტებს ბოროტად იყენებენ და ქმნიან ისეთ ინსტიტუციურ სქემებს, რომლებიც ბელადების ძალაუფლებაში დარჩენას უწყობს ხელს. ბოროტად გამოყენების პარადიგმა ასევე გულისხმობს, რომ ილიბერალურ დემოკრატიებში მანდატების ბონუსი უფრო არაპირდაპირი, შეფარული სახით არსებობს.

შეფარული მანდატების ბონუსისთვის იდეალური საარჩევნო სისტემა არის შერეული დამოუკიდებელი, იგივე პარალელური სისტემა, რომელშიც მანდატების ნაწილი პროპორციული ფორმულით ნაწილდება პარტიულ სიებზე, ნაწილი კი მაჟორიტარული ფორმულით – ერთმანდატიან ოლქებში. ასეთ სისტემებში მანდატების ბონუსი წარმოიშობა ერთმანდატიან ოლქებში მოპოვებული უპირატესობით და მანდატების საბოლოო განაწილება არ კორექტირდება პროპორციული არჩევნების შედეგებით (როგორც ეს შერეულ-დამოკიდებულ, გერმანულ სისტემაშია).

საქართველო პარალელური სისტემით მანდატების ბონუსის მინიჭების თვალსაჩინო მაგალითია. პარალელური სისტემა თავდაპირველად დამკვიდრდა კომუნისტურ პარტიასა და ოპოზიციას შორის მიღწეული კომპრომისით 1990 წლის არჩევნებისთვის, რომელიც, პირველი რესპუბლიკის შემდეგ, უპრეცედენტო მრავალპარტიული არჩევნები იყო. აღსანიშნავია, რომ პირველ რესპუბლიკაში 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნები ჩატარდა პროპორციული სისტემით, რომელიც იმთავითვე საუკეთესო ევროპულ დემოკრატიულ პრაქტიკას შეესაბამებოდა. 1990-დან 2020 წლის ჩათვლით, საქართველოში პარლამენტის ყველა არჩევნები (1992 წლის არჩევნების გარდა) პარალელური სისტემით ტარდებოდა (იხილეთ დანართი).

ყველა ამ არჩევნებზე გამარჯვებულის მიერ მიღებული ბონუსი განსხვავებული იყო, იმის მიხედვით, თუ როგორი იყო პროპორციულად გასანაწილებელი და ერთმანდატიანი ოლქების მანდატებს შორის თანაფარდობა და რამდენად მაღალი იყო ბარიერი პროპორციული სისტემისთვის. მნიშვნელოვანია, რომ პარალელური სისტემის პირობებში, რამდენჯერმე შეიქმნა ერთპარტიული კვალიფიციური უმრავლესობა, რომელიც კონსტიტუციის ერთპიროვნული გადასინჯვისთვის იყო გამოყენებული.

ყველა ამ შემთხვევაში (2008-ისა და 2016 წლის არჩევნები), მიღებული მანდატების კვალიფიციური უმრავლესობა, გამარჯვებული პარტიის მიერ პროპორციული სისტემით მიღებული ხმების რაოდენობასთან მიმართებით, არსებითად დისპროპორციული იყო.

აკადემიურ ლიტერატურაში არსებული მოსაზრებით, რომ მუდმივი უმრავლესობა კონსტიტუციის გადასასინჯად ილიბერალური რეჟიმის სტაბილიზაციის მნიშვნელოვანი პირობაა, შეგვიძლია ავსხნათ საქართველოში ილიბერალური დემოკრატიის პოლიტიკურ რეჟიმად სტაბილიზაცია და ასევე, ამ რეჟიმის პირობებში, ძალაუფლების მქონე აქტორების მიჯაჭვულობა მანდატების ბონუსის მიმართ, რაც მისი რაიმე სახით შენარჩუნებისთვის უწყვეტ ძალისხმევაში გამოიხატება.

**საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემა:
ილიბერალური დემოკრატიიდან კონსტიტუციურ დემოკრატიამდე**

მანდატების ბონუსი ახალისებს მაჟორიტარიზმის უხეშ, ექსკლუზივისტურ ვერსიას, როცა ფარდობითი უმრავლესობის მხარდაჭერით გამარჯვებული, სრულ ძალაუფლებას იტაცებს და უარს ამბობს ძალაუფლების გაზიარების ინსტიტუციონალიზებულ პრაქტიკაზე.

წინამდებარე ნაშრომის თეზისია, რომ ბოლო საკონსტიტუციო რეფორმით, საპარლამენტო არჩევნებისთვის სრულად პროპორციული ფორმულის შემოღების მიუხედავად, უცვლელი რჩება ილიბერალური დემოკრატიის ინსტიტუციური არქიტექტურა. კერძოდ, საპარლამენტო არჩევნების საარჩევნო სისტემა ხელს უწყობს, რომ მანდატების არაპირდაპირი ბონუსის გზით, ძალაუფლების მქონე პარტიამ, ფარდობითი უმრავლესობით, პოლიტიკურ ხელისუფლებაზე ერთპიროვნული კონტროლი შეინარჩუნოს, ან აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერით, კონსტიტუციის შეცვლისთვის საჭირო მანდატების კვალიფიციური უმრავლესობა მოიპოვოს.

ამ თეზისის დასაბუთებისთვის, ჩვენ დაწვრილებით განვიხილავთ როგორც ილიბერალური/პლებისციტური ბელადის დემოკრატიის თეორიულ ჩარჩოს, ისე საქართველოს პარლამენტის არჩევნების სისტემის ამ რეჟიმზე მორგების საკითხს. კერძოდ, ვიმსჯელებთ იმ ელემენტებზე, რომლებიც ამ საარჩევნო სისტემას კუმულაციურად ანიჭებს პლებისციტური ბელადის დემოკრატიის მუშაობისთვის საჭირო ეფექტებს.

2

არჩევნები
ილიბერალურ
დემოკრატიაში

2.1. ილიბერალური დემოკრატია, როგორც პლავისციური ბელადის დემოკრატია

პირველ რიგში, სანამ საქართველოს პოლიტიკურ ლანდშაფტსა და საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებულ სირთულეებს ჩავუღრმავდებით, მნიშვნელოვანია საქართველოში სუვერენიტეტის აღდგენიდან დღემდე მოქმედი პოლიტიკური რეჟიმის თეორიული საფუძვლების გაანალიზება, რათა უკეთ დავახასიათოთ ქვეყანაში ჩამოყალიბებული ძალაუფლებრივი წესრიგი და არჩევნების შესაბამისი როლი.

ამ მიზნით, განვიხილავთ პლავისციური ბელადის დემოკრატიის (Plebiscitarian Leader Democracy-PLD), ილიბერალური დემოკრატიისა და პოპულიზმის თეორიებს. მყარი თეორიული ჩარჩოს ჩამოყალიბებით, ჩვენ შეგვიძლია უკეთ გავიგოთ გლობალური დინამიკა და შევაფასოთ მისი გამოვლინებები საქართველოში.

თეორიული მიმოხილვა წარმოადგენს თანმდევ ჩარჩოს, რომლის ფონზეც შევაფასებთ საარჩევნო სისტემის როლსა და მისი შესაძლო ალტერნატიული მოდელების პრაქტიკულ შედეგებს, რომლებიც გავლენას ახდენს ქვეყანაში პოლიტიკურ ძალაუფლებაზე წვდომისა და ცვლილებების უზრუნველყოფის პროცესზე.

ამ კონტექსტში ვეცდებით, გაეცეს პასუხი კითხვას: **ქართული საარჩევნო სისტემა პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირებისა და დემოკრატიული პრინციპების დაცვის გასაღებია, თუ ის მოქმედი მმართველობის გაგრძელების ინსტრუმენტია, რომელიც საზოგადოებას შემდგომი ილიბერალური და ავტორიტარული განვითარებით ემუქრება.**

ილიბერალური რეჟიმებისა და პოპულისტური მოძრაობების აღმოცენება/გაძლიერება ბოლო წლებისათვის დამახასიათებელი დემოკრატიული უკუსვლის გლობალური ტრენდის ნაწილია. ეს ტენდენცია ბოლო დეკადებში განხორციელებული დემოკრატიული პროგრესის მიღწევებს ემუქრება და ბევრ საზოგადოებას, ავტორიტარული მმართველობის მიმართ, კიდევ უფრო მოწყვლადს ხდის.

ზოგ შემთხვევაში, ილიბერალური წესრიგის აღმოცენება არა – დემოკრატიული უკუსვლის, არამედ ავტორიტარული ან ტოტალიტარული სისტემიდან კონსტიტუციურ დემოკრატიაზე ნაკლოვანი ტრანზიციის შედეგია, მაგალითად, საქართველოს მსგავს ახალ დემოკრატიებში, რომლებმაც ვერ შეძლეს სრულფასოვანი ილიბერალური ინსტიტუტებისა და დემოკრატიული ნორმების დამკვიდრება.¹ თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოებაში მოქმედებს კონსენსუსი, რომ დემოკრატია მმართველობის ერთადერთი ლეგიტიმური ფორმაა. პოპულისტური ძალები და ლიდერები ამას კარგად იაზრებენ

1. Fareed Zakaria, *The Future of Freedom: Illiberal Democracy at Home and Abroad*. (New York: W. W. Norton & Company, 2003).

და ამიტომაც ბოლო წლებში აღმოცენებული ილიბერალური რეჟიმები ცდილობენ, თავი სრულფასოვან დემოკრატიად გაასაღონ, შეიძლება, კიდევ უფრო დემოკრატიულადაც კი, ვიდრე მათი წინამორბედი სისტემა.

ელიტებისა და „ხალხის“ დაპირისპირებაში ხალხის ნებას, რომელსაც პოპულისტი ბელადი წარმოადგენს, ნებისმიერ ფასად უნდა გაიმარჯვოს. ამასთან, ანტიელიტისტური სენტიმენტის შესაბამისად, ეს რეჟიმები ილიბერალურ ბუნებას ავლენენ, თითქოსდა, „ნამდვილი“ ტრადიციული ხალხის ნების ძალით.

პოპულისტი ლიდერები და პოპულისტური მოძრაობები გვხვდება კონსტიტუციურ დემოკრატიებშიც, თუმცა პოპულისტური პროგრამის სრულფასოვანი რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ილიბერალურ პოლიტიკურ რეჟიმად ტრანსფორმაციის გზით. პოპულისტური მოძრაობებისა და მათი ბელადების მასტიმულირებელი იმპულსები – ანტიინსტიტუციონალიზმი და ბელადის პერსონალისტური ძალაუფლების მაქსიმიზაცია, ანტიპლურალიზმი და ყოვლისშემძლედ გამოცხადებული უმრავლესობის სახელით, გარიყული ჯგუფების მარგინალიზაციისკენ სწრაფვა, კომპრომისის, შემწყნარებლობისა და ზომიერების სრულად უარყოფა პოლარიზაციითა და მტრის ხატის დაუსრულებელი ძიებით – არსებითად ილიბერალური ბუნებისაა და მათი სისტემური განხორციელება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, პოლიტიკური რეჟიმის ბუნებასაც ცვლის.

შესაბამისად, პოპულისტური, ილიბერალური ძალების ძალაუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, სისტემა ილიბერალურ-შემაკავებელ ნიშნებს კარგავს და დემოკრატია პლებისციტური ბელადის დემოკრატიის (PLD) სახეს იღებს. იგივე ხდება მაშინაც, როდესაც დემოკრატიაზე ტრანზიციის საწყის ეტაპზე, ილიბერალური კონსტიტუციონალიზმის ელემენტების მყარი ინსტიტუციონალიზაციის ნაცვლად, ქარიზმატული ბელადები საკუთარ ძალაუფლებას პლებისციტურ სახალხო ლეგიტიმაციაზე აფუძნებენ.

პლებისციტური ბელადის დემოკრატია საქართველოსთვის რელევანტური ჩარჩოა, რადგან დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ძალაუფლების მთავარ ცენტრს ყოველთვის წარმოადგენდა ქარიზმატული ლიდერი, ბელადი, რომელიც, საწყის ეტაპზე მაინც, დიდი პლებისციტური სახალხო მხარდაჭერით სარგებლობდა.

სწორედ ეს არის მაქს ვებერის კონცეფციის “Plebiscitäre Führerdemokratie” მთავარი მახასიათებელი – „პლებისციტური ბელადის დემოკრატია“ არის მმართველობისა და ძალაუფლების ტიპი ისეთი ავტორიტარული მახასიათებლით, როგორცაა ქარიზმატული ბელადი, რომელიც მასობრივი დემოკრატიის ლოგიკის შედეგად არის აღმოცენებული. ვებერის თანახმად, პლებისციტი პირდაპირ ირჩევს და ამტკიცებს ბელადს, ხოლო მისი პერსონალური მმართველობა ლეგიტიმაციას იღებს პერმანენტული სახალხო მხარდაჭერით.² ეს სახალხო მხარდაჭერა ნაკლებრაციონალურია და განსხვავდება დემოკრატიაში ინსტიტუტებისათვის ლეგიტიმაციის მინიჭების პროცესისაგან, რომელიც, ძირითადად, რაციონალურ საფუძვლებს ემყარება.³

პლებისციტურ დემოკრატიაში ლეგიტიმაცია „ქვეშევრდომთა“ ნებიდან გამომდინარეობს. ბელადი

2. Peter Baehr, *Caesarism, Charisma, and Fate, Historical Sources and Modern Resonances in the Work of Max Weber*, (Transaction, 2008).
 3. Francisco Panizza, “Introduction: populism and the mirror of democracy,” in Francesco Panizza (ed.), *Populism and the Mirror of Democracy*, (Verso, 2005), 18 (with reference to Juan Pablo Lichtmajer).

საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემა: ილიბერალური დემოკრატიიდან კონსტიტუციურ დემოკრატიაში

(დემაგოგი) მართავს იმ ნდობის საფუძველზე, რომელიც მის პოლიტიკურ მიმდევრებს პერსონალურად მის მიმართ აქვთ.⁴ ბელადი პასუხობს და აკმაყოფილებს თავისი ელექტორატის ფსიქიკურ, ფიზიკურ, ეკონომიკურ, ეთიკურ და რელიგიურ თუ პოლიტიკურ საჭიროებებს; მას არ სჭირდება ზედამხედველი, მაკონტროლებელი ან შემაკავებელი ინსტიტუტები.

მას ასევე არ სჭირდება ხალხთან შუამავალი ინსტიტუტები. წარმომადგენლობითი დემოკრატიის შუამავალი ინსტიტუტები, როგორებიცაა პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები – პლებისციტურ დემოკრატიაში შინაარსსა და ფუნქციას კარგავენ და პერსონალიზებული ძალაუფლების ინსტრუმენტად გვევლინებიან. ბელადის ქარიზმა რუტინიზებულია პერიოდული პლებისციტით და მოქმედებს, როგორც ლეგიტიმაციის წყარო მასობრივ დემოკრატიაში.⁵

თავის მხრივ, ვებერმა ეს ცნებები დააშენა „კეისარიზმზე“, რომელიც მე-19 საუკუნის ლიბერალი ავტორებისთვის ბონაპარტიზმისა და დემოკრატიულად ლეგიტიმიზებული პერსონალისტური ძალაუფლების სხვა მსგავსი ფენომენების ანალიზისთვის მნიშვნელოვანი თემა იყო. ვებერი კეისარიზმს განიხილავდა, როგორც პლებისციტური ლიდერის დემოკრატიის ისტორიულ ფორმას. პლებისციტური ლიდერის დემოკრატია, ერთდროულად, დემოკრატიულია ფორმალურად და ავტორიტარული – შინაარსობრივად.⁶

ამგვარი რეჟიმები, შეიძლება, არ წამოადგენს დემოკრატიათა კონსტიტუციური (ლიბერალური) დემოკრატიის ნორმატიული იდეალის გაგებით, მაგრამ, ფორმალურად, „დემოკრატიულად“ მუშაობს: აქვს იგივე პოლიტიკური ორგანოები, რომლებიც – ტრადიციულ დემოკრატიებს, იყენებს ლიბერალური დემოკრატიის სტანდარტულ კონსტიტუციურ ჩარჩოს და პოლიტიკურ ლეგიტიმაციას იძენს დემოკრატიული (ფორმალურად ელექტორალური) პროცესების შედეგად.

სწორედ ეს იწვევს დაბნეულობას – რა არის პრობლემური ამ რეჟიმებთან მიმართებით და რატომ არ შეიძლება, დემოკრატია იყოს თუნდაც ილიბერალური?! პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ამ ტიპის რეჟიმი ილიბერალურია ორი მნიშვნელობით: დეკლარირებული ღირებულებების არალიბერალურობის თვალსაზრისით და პერსონალიზებული ძალაუფლების შემზღვევის ელემენტის არსებითად უარყოფის გამო. მეორე მხრივ, ის დემოკრატიულია პლებისციტური გაგებით, რამდენადაც არჩევნები, რეფერენდუმები, „ეროვნული კონსულტაციები“ და სხვა მსგავსი მექანიზმები ადასტურებს „ნამდვილი ხალხის“ მიერ ბელადისა და მისი მმართველობის განგრძობად მხარდაჭერას.

ილიბერალური ლიდერის დემოკრატია უმრავლესობის სახელით უგულებელყოფს ლიბერალურ

4. Max Weber, *Economy and Society: An Outline of Interpretive Sociology*, (Original publication year: 1921). New York, Bedminster Press, 268.

5. აქ შეიძლება გაგვახსენდეს ვიდებოლოგის ტექსტი ბიძინა ივანიშვილის შესახებ: „...მაგრამ ივანიშვილი ხალხის მსახურების უკანასკნელი სიმბოლოა. სიმბოლოს კი არ სჭირდება ლეგიტიმაცია, ის თავისთავად არსებობს, როგორც გმირი, როგორც უკანასკნელი საერო ავტორიტეტი. მას არ სჭირდება ძალაუფლება, რადგან ის თავად არის ქართველი ერის მორალური ძალაუფლების წყარო. მას არ სჭირდება გაკერპება, რადგან ის თავად ამსხვრევს კერპებს. მას არ სჭირდება ჩვენი ფული, რადგან ყველა ქართველზე მდიდარია, არც გალავანი სჭირდება, რადგან შუშის სასახლეში ცხოვრობს. არანაირი კედელი ბიძინასა და ხალხს შორის არ არსებობს, რადგან ბიძინა ხალხია. მას არ სჭირდება განდიდება, რადგან ის უკვე განადიდა მისმა საქმეებმა, მას არ სჭირდება ტირანია და ძლიერი ხელი, რადგან მისი ხელი მწიფია.“ <https://www.youtube.com/watch?v=dKq8WNSHTk0>

6. András Kőrösiényi, “The Theory and Practice of Plebiscitary Leadership: Weber and the Orbán regime,” *East European Politics and Societies*, 33:2 (2019), 295.

კონსტიტუციონალიზმს და მის ინსტიტუტებს, ხოლო შედეგად ვიღებთ ხალხის სახელით ბელადის შეუზღუდავი პერსონალური ძალაუფლების განხორციელებას. ლიბერალიზმის უარყოფა გულისხმობს როგორც ძალაუფლების შეზღუდვის ლიბერალური კონსტიტუციური ინსტრუმენტების გამოთიშვას (რაც, თავისთავად, თვითნებური, პერსონალისტური მმართველობის საწინდარია), ისე შინაარსობრივად არალიბერალური ღირებულებების დამკვიდრებასა და საზოგადოებისთვის ერთგვაროვანი მსოფლმხედველობის თავსმოხვევას. ილიბერალური დემოკრატიები წარმოადგენს არალიბერალების დემოკრატიას, რომელიც მხოლოდ მათთვისვე ფუნქციონირებს.⁷

არალიბერალური ღირებულებები, რომლებსაც სისტემა ახალისებს, ხშირად ავტორიტარულ ღირებულებებს უახლოვდება. პოპულისტები იყენებენ ნაციონალისტურ, ნეიტრალისტურ, რელიგიურ თუ ფსევდოტრადიციონალისტურ სენტიმენტებს დისკურსის დონეზე, თუმცა, ძალაუფლებაში ყოფნის შემთხვევაში, ინდივიდთა პირად ცხოვრებაში პირდაპირ შეჭრას რეჟიმები ნაკლებად ცდილობენ. ისინი, შეიძლება, ახალისებდნენ, მაგალითად, მამაკაცისა და ქალის ტრადიციულ როლს სიმბოლურ დონეზე, თუმცა ერიდებიან იმგვარ ინტენსიურ ზეწოლას, რომელიც, შესაძლოა, მნიშვნელოვნად უპირისპირდებოდეს საზოგადოებაში მიღებულ ნორმებს და აქტიურ წინააღმდეგობას იწვევდეს.

საქართველოში, „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში, კონსტიტუციით დადგინდა ქორწინების შესაძლებლობა მხოლოდ ქალსა და მამაკაცს შორის, რადგან ეს იყო ნაკლები პრაქტიკული მნიშვნელობის, მაგრამ პოპულარული ნაბიჯი. თუმცა, მაგალითად, იაროსლავ კაჩინსკიმ პოლონეთში 2016 წელს თავი შეიკავა აბორტის სრულად აკრძალვისაგან, მასობრივი პროტესტის გამო.

პლებისციტური ლიდერები ცდილობენ, ადაპტირდნენ საზოგადოებრივ ნორმებთან, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, ნელ-ნელა მეთოდურად ცვლიან მათ. მიუხედავად იმისა, რომ სისტემა მინიმალურ დონეზე, დეკლარაციულად, აღიარებს ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს, ხოლო ადამიანის უფლებები დემონსტრაციულად და დესპოტურად ხშირად არ ირღვევა და შესამჩნევად მასშტაბური სახე იშვიათად აქვს, ილიბერალურ რეჟიმებში უფლებების როლის დასუსტება და შინაარსობრივი გამოფიტვა აშკარაა. თუმცა ადამიანის უფლებების უპატივცემულობა, თითქოს, მათი ძალის დაკნინების ზოგად მსოფლიო ტრენდში ჯდება.⁸

საქართველოს მოქმედი მმართველი ძალაც ერიდება ადამიანის უფლებათა დემონსტრაციულად დესპოტურ და ფართომასშტაბიან დარღვევებს, მაგრამ უმცირესობათა უფლებების დაცვის მიმართ გულგრილობით, ის დემონსტრირებს და ხაზს უსვამს ამ ჯგუფებისა და მათი უფლებების მდგომარეობის სიმყიფეს. მაგალითად, 2021 წლის 5 ივლისს საქართველოს მთავრობამ წაახალისა ძალადობა და არაფერი მოიმოქმედა „ღირსების მარშის“ დამრბევთა შესახებებლად, თუმცა ფორმალურად, თითქოს, თავად პროცესის მხარეს არ წარმოადგენდა.⁹

ილიბერალური რეჟიმები დემოკრატიულობის მიჯნაზე, კანონიერებისა და სამართლიანობის მოჩვენებითი დაცვის ნიღბით, არასტაბილური ბალანსის პირობებში ოპერირებენ. ეს მათი მთავარი

7. Andrés Sajó, “Ruling by Cheating: Governance in Illiberal Democracy,” *Cambridge: Cambridge University Press*, 2021. doi:10.1017/9781108952996
 8. Sajó, “Ruling by Cheating: Governance in Illiberal Democracy”.
 9. „პრემიერი 5 ივლისის მოვლენებზე: ‘ქუჩაში თუ რაღაც ჩხუბი მოხდა, ეს სახელმწიფომ აღკვეთა’,“ *Civil.ge*, 23 ივლისი, 2021. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/433706>.

საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემა: ილიბერალური დემოკრატიიდან კონსტიტუციურ დემოკრატიამდე

მახასიათებელია. რეჟიმის დესპოტიზმში კოლათსი ხელშესახები საფრთხეა და ლიდერი თავის ქვეშევრდომებს ამ შესაძლებლობას სათანადო სიხშირით ახსენებს.

ეს არის მმართველობის სტრატეგიის ნაწილი – მართვა მსუსხავი ეფექტით. თუმცა, ილიბერალური რეჟიმისთვის დესპოტურობა პირველი არჩევანი არ არის და მას მხოლოდ მაშინ მიმართავს, როცა ყველა სხვა საშუალება ამოეწურება. პრაგმატულ პლებისციტურ ბელადს, რომელიც ძალაუფლების შენარჩუნებას ცდილობს, თავის ძალაუფლებაზე ადამიანთა ხანგრძლივი დამოკიდებულის შექმნის მრავალი არაძალადობრივი მექანიზმი აქვს. ამ მიზნისთვის, პლებისციტური, პატრონაჟზე დაფუძნებული წესრიგი ბევრად უფრო ეფექტურია, ვიდრე ავტოკრატიული, ბრუტალურ იძულებაზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც წინააღმდეგობის აღმოცენების რისკებს კიდევ უფრო ზრდის.

ბელადის დემოკრატიაში მმართველობა ცდილობს, მაქსიმალურად დაფაროს ძალაუფლების განხორციელება ბელადისა და მისი გარემოცვის ელიტების აშკარად გამოხატული პერსონალური კაპრიზების საფუძველზე; პლებისციტური რეჟიმები ზედაპირულ დონეზე კანონით არიან შეზღუდული და თითქოს, წესებს მკაცრად მისდევენ, თუმცა სისტემა შეუზღუდავია, როცა საქმე ეხება კონსტიტუციის შინაარსის სათავისოდ შეცვლას ან კანონის თვითნებურ ინტერპრეტაციას.

ილიბერალური რეჟიმი ეყრდნობა ამომრჩეველთა ფარდობითი უმრავლესობის მხარდაჭერას, რომელიც, პროპაგანდის მეშვეობით, ემოციურად მანიპულირებული და რეჟიმზე დამოკიდებული ხდება. კიდევ უფრო მყარი, მატერიალური დამოკიდებულების ჯაჭვით რეჟიმზე მიბმას უზრუნველყოფს პატრონაჟის სისტემა, რომელიც კანონის ირგვლივ მანევრირებს. სწორედ საკანონმდებლო ძალაუფლების კონტროლი აქცევს პატრონ-კლიენტელისტური ურთიერთობების ეკვილიბრიუმს კანონიერად. რეჟიმის კლიენტები კანონის საფუძველზე ინაწილებენ საჯარო თანამდებობებს, საქმდებიან სახელმწიფო საწარმოებში, იგებენ სახელმწიფო შესყიდვების ტენდერებს, ხელში იგდებენ კონკურენტების ბიზნესებს, იღებენ სარგებელს ეკონომიკის ცალკეულ სექტორებში კონკურენციის შეზღუდვიდან.

ამიტომაც ილიბერალურ დემოკრატიას ვერ ავხსნით, როგორც მხოლოდ მმართველობით ან სამართლებრივ ფენომენს. ის ეყრდნობა ცენტრალიზებული აღმასრულებელი ძალაუფლების უნარს, დომინირებდეს მასზე დამოკიდებულ ადამიანთა ჯგუფზე. ამისთვის კონსტიტუციური სისტემის ბოროტად გამოყენებას საკვანძო მნიშვნელობა აქვს, რადგან პლებისციტური ლიდერის ძალაუფლება სწორედ სახელმწიფოზე კონტროლს ეფუძნება, რომელსაც ის კონსტიტუციური ინსტრუმენტებით ახორციელებს.

შესაბამისად, ილიბერალური დემოკრატიები ძლიერ სახელმწიფო ვერტიკალზე დგას: ბელადი საზოგადოებას მართავს ადმინისტრაციული და იდეოლოგიური რესურსების მკაცრი სამართლებრივი ცენტრალიზებული კონტროლით. ამ სისტემებში, როგორც წესი, საზოგადოება ფრაგმენტირებულია და სოციალური სოლიდარობისა და თანამშრომლობის სრულფასოვანი მექანიზმები არ გააჩნია. ილიბერალური რეჟიმები უპირისპირდებიან და სპობენ ყველა ინსტიტუტს, რომლებიც რეჟიმისგან დამოუკიდებლად ცდილობენ სოციალური კავშირების განვითარებას და სოციალური თანამშრომლობისა და თვითორგანიზების ფუნქციების განხორციელებას.

შუამავალი ინსტიტუტების ან სოციალური კოორდინაციის სხვა ფორმების არარსებობის პირობებში, ილიბერალურ/ავტოკრატიულ ლეგალიზმზე დაფუძნებული კანონი საზოგადოების შეკავშირების მნიშვნელოვანი საშუალება ხდება. მაგალითად, უნგრეთში მხოლოდ ოჯახური ურთიერთობები

ითვლება სანდოდ, ხოლო პოლონეთში, დამატებით, ნდობა აქვს ეკლესიასაც.¹⁰ ფართო საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის ნდობის კრიზისი და კოორდინაციის პრობლემა მნიშვნელოვნად გამოხატულია საქართველოშიც.

2.2. წარმომადგენლობითი ინსტიტუტები პლემისციტური ბელადის დემოკრატიის სამსახურში

ილიბერალურ დემოკრატიასში ძალაუფლების მფლობელები მანიპულირებენ კანონით და მას სამართლის სუბიექტების მოსატყუებლად იყენებენ. რეჟიმი ინსტრუმენტად გამოიყენებს ტრადიციულ კონსტიტუციურ ინსტიტუტებს, სამართლის უზენაესობასა და ადამიანის უფლებებს, თუმცა – მათ მიმართ ნამდვილი ერთგულების გარეშე. მაგალითად შეიძლება მოვიხმოთ მე-5 პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ, მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ, კონსტიტუციის შეზღუდვის აღკვეთის საბაბით წამოიწყო, სინამდვილეში კი, კონსტიტუციისა და კონსტიტუციური პროცესის ინსტრუმენტალიზაციით, კვლავ სრული ძალაუფლების დემონსტრაცია სცადა.¹¹

ამგვარი რეჟიმი, ბევრი შიდა და გარე აქტორის თვალში, ლეგიტიმაციას მხოლოდ პოპულისტური პროპაგანდის ან პატრონაჟის სისტემის წყალობით არ ინარჩუნებს. ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილისთვის, ხშირად, პლემისციტური რეჟიმი დემოკრატიულია. ამ თვალსაზრისით, საკვანძო ფუნქცია სწორედ არჩევნებს ეკისრება. პლემისციტურ რეჟიმში, არჩევნების შედეგად, ბელადი ლეგიტიმაციით უნდა აღიჭურვოს. ხალხის ფუნქცია კი მხოლოდ მისდამი მხარდაჭერის დადასტურებაა.

ილიბერალურ დემოკრატიასში საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნებს მხოლოდ ლიდერის ხელახლა დამტკიცების ფუნქცია აქვს. ხელახალი არჩევა „კეისრისადმი“ ნდობისა და თანხმობის გამოხატვას ნიშნავს. მოქალაქეები ხმას აძლევენ მის სასარგებლოდ, ან – მის წინააღმდეგ და ეს არჩევნების დღის წესრიგში ერთადერთი საკითხია. არჩევნების რეალური საგანი არ არის საჯარო პოლიტიკის დღის წესრიგი და შესაბამისი პოლიტიკური პროგრამები. არჩევნებზე წყდება მხოლოდ ის, თუ ვინ გადაჭრის ამ საკითხებს, როდესაც სრულ ძალაუფლებას მიიღებს.

ბელადის დემოკრატიებში არჩევნები სულ უფრო ნაკლებად გულისხმობს პარტიათა შორის კონკურენციას, რომელშიც სხვადასხვა პარტია სხვადასხვა ინტერესს წარმოადგენს. არჩევნები ეხება პერსონებს, რომლებიც იდენტობის პროგრამებს ეყრდნობიან (იყო კარგი უნგრელი, პოლონელი ან ტრადიციული ქართველი), ხოლო დემოკრატიული პოლიტიკა ჩანაცვლებულია პერსონალიზაციის პოლიტიკით.

შესაბამისად, პოლიტიკა პერსონალიზმისა და პერსონალური ძალაუფლებისთვის კონკურენციის ასპარეზად იქცევა, რაც კიდევ უფრო ზრდის ემოციური ელემენტების მნიშვნელობას. ბელადის კულტის ირგვლივ პოპულისტების გაერთიანება პროგრამებსა და ინტერესებზე ორიენტირებული დემოკრატიის დეგრადაციის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს.

10. Sajó, “Ruling by Cheating: Governance in Illiberal Democracy”.

11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 16 ოქტომბრის N3/1/1797 დასკვნა საქართველოს პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის წევრების (ირაკლი კობახიძის, შალვა პაპუაშვილის, მამუკა მდინარაძის და სხვების, სულ 80 წევრის) კონსტიტურ წარდგინებაზე. ხელმისაწვდომია: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=15923>

საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემა: ილიბერალური დემოკრატიიდან კონსტიტუციურ დემოკრატიაზე

პოპულისტურ მოძრაობას ბელადი ანიჭებს ქარიზმას, ლეგიტიმაციასა და ემოციური იდენტიფიკაციის ობიექტს, ხოლო ძალაუფლებაში მოსვლის შედეგად, აყალიბებს პლებისციტური ბელადის დემოკრატია. ეს რეჟიმი წარმოადგენს დემოკრატიის ტოტალიტარული ბუნების მანიფესტაციას: „პირდაპირი წესით არჩეული პრეზიდენტის შემთხვევაში, მას აქვს პრეტენზია, რომ უნივერსალურად მხოლოდ ის განასახიერებს „ხალხის ნებას“. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტს შეუძლია მიიჩნიოს, რომ ფლობს „სუპერლეგიტიმაციას“, რომელსაც გამოიყენებს ნებისმიერი შემოჭარი ინსტიტუტის მიმართ, სასამართლოსა და მედიის ჩათვლით.“

იგივე შეიძლება მოხდეს საპარლამენტო სისტემაში – ამ სისტემაში შეიძლება ჩამოყალიბდეს პრემიერ-მინისტრის დომინაცია, რომელიც ისეთივე პერსონალისტურ მმართველობას გულისხმობს.

თუმცა, თუ სახელმწიფოს მიტაცება დასრულებულია, პლებისციტური ბელადი არჩევითი თანამდებობის მიღმაც შეიძლება სტაბილურად არსებობდეს – იკავებდეს მხოლოდ პარტიულ თანამდებობას, ან, საერთოდ, არანაირ თანამდებობას არ იკავებდეს, როგორც ეს პოლონეთისა (იაროსლავ კაჩინსკი) და საქართველოს (ბიძინა ივანიშვილი) მაგალითებშია. პერსონალისტური მმართველობა ილიბერალურ დემოკრატიაში ატარებს პლებისციტური ბელადის დემოკრატიის ყველა მახასიათებელს.

არჩევნები სისტემის გამყარების მექანიზმია. ბელადს სჭირდება არჩევნები არა მხოლოდ ხელახალი ლეგიტიმაციის მისაღებად, არამედ მთელი ელექტორატისთვის (მათ შორის, ოპოზიციურის) იმის საჩვენებლად, რომ მისი მხარდამჭერი უმრავლესობა ხალხის ერთადერთი ანგარიშგასაწევი ნაწილია. ილიბერალური დემოკრატიის დესტრუქციული და დესპოტური პოტენციალი სწორედ ამ პარადიგმაში მდგომარეობს. პლებისციტური ლიდერის დემოკრატია შეიძლება, ხალხის სახელით, ადვილად დეგრადირდეს დესპოტიზმში.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სახალხო ჩართულობის იდეალს (სახალხო თვითმმართველობა) ენაცვლება ნაკლოვანი არჩევნების საფუძველზე ლიდერისადმი გამოხატული მხარდაჭერა. შედეგად, ლიდერი პასუხობს მხოლოდ თავისი მხარდამჭერების წუხილსა და სურვილებს და მხოლოდ „ნამდვილი ხალხი“ არის რელევანტური. ეს „ნამდვილი ხალხი“ ხშირად კონსტრუირებულია, როგორც ეთნიკური, ტრაიბალური ჯგუფი და ამ ჯგუფის ჰომოგენურობის დაშვებას ეყრდნობა.

ამ პირობებში, კონსტიტუციური დემოკრატიის მთავარი შინაარსობრივი ელემენტი – პლურალიზმი – უგულვებლყოფილია, რადგან ილიბერალური რეჟიმები არ ცნობენ ინტერესთა მრავალფეროვნებასა და კომპრომისის ლეგიტიმურობას, რამდენადაც ისინი საერთოდ არ ცნობენ ოპოზიციის ლეგიტიმურობას. თუმცა პლებისციტურ რეჟიმში ოპოზიციის არსებობა ფორმალურად დაშვებული და კანონიერია. გარდა ამისა, პლებისციტური ბელადის დემოკრატია აშკარად აქვს კონსტიტუციური დემოკრატიისთვის დამახასიათებელი განსჯისა და მონაწილეობის ელემენტის დეფიციტი: „დემოკრატიის შესაბამისად, შედეგები ლეგიტიმურია, თუ ის დგება თანასწორთა შორის გონივრული და თავისუფალი შეთანხმების საფუძველზე“.¹² ბელადის დემოკრატიაში, ოპოზიცია არასდროს განიხილება რეჟიმისა და მისი მხარდამჭერი „ნამდვილი ხალხის“ თანასწორად.

12. Joshua Cohen, “The Economic Basis of Deliberative Democracy,” *Social Philosophy and Policy*, 6:2 (1989), 22.

ილიბერალურ დემოკრატიასში მთავრობის გადაწყვეტილებები ასახავს შეთანხმებებს, რომლებიც, თეორიულად, შეიძლება მიღწეულიყო ამომრჩეველთა უმრავლესობას შორის (მაგალითად, „არ მოვუშვათ მიგრანტები!“ „შეამცირეთ საკრედიტო განაკვეთი“, „არ გაყიდოთ მიწა უცხოელებზე“, „აიკრძალოს ერთნაირსქესიანთა ქორწინება“). თუმცა ბელადის დემოკრატიებში ეს კანონად ქცეული, მოჩვენებითი შეთანხმებები არ არის „დასაბუთებული და თავისუფალი.“ მოქალაქეები, რომლებიც არ მიიჩნევიან „ნამდვილ ხალხად“, არ მონაწილეობენ ამგვარი შეთანხმებების მიღწევის პროცესში. ისინი საერთოდ არ ითვლებიან იმ ჰიპოთეტური სოციალური კონტრაქტის მხარედ, რომელიც ბელადს საკუთარ ხალხთან აქვს დადებული.

განსჯისა და მონაწილეობის არარსებობა ჩანაცვლებულია ხალხის ნების არჩევნებისა თუ პლებისციტის შედეგად ფორმირების ფაქტით, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის შიგნით თუ საერთაშორისო აქტორების მიერ, შესაძლებელია, ფართო გაგებით, დემოკრატიულად იყოს აღიარებული. ლეგიტიმაციის დემოკრატიული წყარო „ხალხის ძალაა“, რაც ამყარებს პოპულიზმისა და ილიბერალური დემოკრატიების პოზიციებს. ამ მოდელში მნიშვნელობა ენიჭება არა იმას, თუ როგორ მიიღება გადაწყვეტილებები, არამედ იმას, თუ ვინ იღებს მათ.

სინამდვილეში, რეჟიმი ხალხის დემოკრატიული ნების სრულად რეალიზების შესაძლებლობას არასდროს დაუშვებს. ბელადი, მანიპულაციის გზით, მკაცრად გააკონტროლებს პლებისციტურ სტრუქტურებს, რომლებიც მისივე ლეგიტიმაციის წყაროა. რაც შეეხება ფარდობით უმრავლესობას, არჩევნებში მონაწილეობისა და სახელისუფლებო შეკრებებზე ორგანიზებული დასწრების გარდა, ხალხის ფუნქცია შეზღუდულია „მაყურებლის“ როლით. რეალურად, არც რეჟიმის მხარდამჭერები მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მათი ჩართულობა საჭირო ხდება ფორმალურად, მხოლოდ პროპაგანდისტული მიზნებით. ეს ხალხი არსებობს მხოლოდ პოლიტიკური კონკურენტების საქებრად ან საძაგებლად.

ამ პირობებში, როგორც უკვე ვახსენეთ, არჩევნების შინაარსი სრულიად იცვლება. ის ემსახურება არა წარმომადგენლობითი ინსტიტუტების ფორმირებას, არამედ გარდაიქმნება პლებისციტად, რომელიც ბინარულ არჩევანს გვთავაზობს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მმართველობის წარმომადგენლობით და პირდაპირ/პლებისციტურ ფორმებს შორის განსხვავების ხაზგასმა. პირდაპირი მონაწილეობა შუამავლობის პრობლემას ხსნის, თუმცა წარმოშობს გადაწყვეტილების მიმღებთა შორის სათანადო გამოცდილების, დროისა და ცოდნის არარსებობის პრობლემას.

წარმომადგენლობითი დემოკრატია გადაწყვეტილების მიღების პროცესს ფილტრავს ინსტიტუციური აქტორების მეშვეობით, რომლებსაც მეტი ცოდნა და პასუხისმგებლობა აქვთ, თუმცა წარმომადგენელსა და წარმოდგენილს შორის დისტანციის პრობლემა ადგილზე რჩება. „ფედერალისტ №10-ში“ ჯეიმს მედისონისთვის წარმომადგენლობითობა იყო ის სიკეთე, რომელიც რესპუბლიკას გეოგრაფიული არეალის გაფართოების, ასევე, გადაწყვეტილების პირდაპირი წესით მიღებისთვის დამახასიათებელი ლოკალური და ვიწრო თვალსაწიერის დაძლევის საშუალებას აძლევდა.¹³

შესაბამისად, დემოკრატიის უშუალო/პირდაპირ და წარმომადგენლობით ფორმებს შორის ჭიდილი, დასავლურ დემოკრატიულ თეორიასა და პრაქტიკაში, იმთავითვე არსებობს. თითოეულთან ასოცირებული რისკები ასახულია თანამედროვეობაშიც – ერთი მხრივ, თანამედროვე მოქალაქეებს აქვთ შეზღუდული რესურსი, ჩაერთონ კომპლექსური მმართველობითი პრობლემების

13. James Madison, *Federalist No.10*, in *The Federalist Papers*, ed. Clinton Rossiter (New York: New American Library, 1961), 77-84.

საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემა: ილიბერალური დემოკრატიიდან კონსტიტუციურ დემოკრატიაში

გადაჭრაში, ხოლო, მეორე მხრივ, არსებობს მზარდი დისტანცია მოქალაქეებსა და ბიუროკრატიზმულ მმართველებს შორის. ამას ემატება თანამედროვეობის სხვა გამოწვევები.

გასული საუკუნეების განმავლობაში, დასავლური დემოკრატია ორგანიზდებოდა მოქალაქეთა პოზიციების გამტარი ინსტიტუციური ფორმების, კერძოდ, პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ინსტრუმენტების ირგვლივ, რომლებიც მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის შუამავლის როლს ასრულებდა.

შუამავალი ორგანიზაციები, კერძოდ, პოლიტიკური პარტიები, პოპულარული პრეფერენციების პოლიტიკურ შედეგებად გადათარგმნაში, მთავარ როლს თამაშობდა. პარტიები იყო ერთგვარი ხიდი კომპლექსურობის პრობლემის გამო უფლებამოსილების დელეგირების აუცილებლობასა და მმართველობაში მოქალაქეების ჩართულობას შორის. ეს მედიუმები ახლა მნიშვნელოვან კრიზისშია, რაც კიდევ უფრო ზრდის პლებისციტარული ელემენტების გავლენას განვითარებულ წარმომადგენლობით დემოკრატიებშიც კი.

გარდა ამისა, მედისონისეული მიგნება, რესპუბლიკური წარმომადგენლობითობის დისტანცირებულობის საშუალებით, ვიწრო და ფრაგმენტირებული ინტერესების დაძლევის შესახებ, დღეს ასევე ნაკლებრელევანტურია, რადგან ტექნოლოგიებმა ეს დისტანცია და გეოგრაფიული შეზღუდვა მნიშვნელოვნად შეამცირა. ციფრული კომუნიკაციების განვითარებამ წესრიგი ბუნებით უფრო პლებისციტური გახადა – მოქალაქეებს უფრო ხშირად აქვთ ნებისა და პოზიციის პირდაპირი გზით გამოხატვის, პირდაპირი ჩართულობის საშუალება.¹⁴

ხალხი ნებისმიერ დემოკრატიაში პოლიტიკური ლეგიტიმაციის უცვლელი წყაროა, თუმცა მასობრივი ყურადღება პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად შეზღუდულია. ფეხბურთი შეიძლება უფრო საინტერესო იყოს, ვიდრე კანალიზაციის მიწების გაყვანაზე გადაწყვეტილების მიღება.¹⁵ ამასთანავე, პირადი ეკონომიკური და ოჯახური საკითხები დიდ ენერჯიასა და დროს მოითხოვს. კომპლექსური საკითხების დელეგირების გარდა, წარმომადგენლობითი დემოკრატიის ღირსება ძალაუფლების თანდაყოლილ შეზღუდულობაში მდგომარეობს. წარმომადგენლობითი ინსტიტუტები ეფუძნება კომპრომისს, რომელიც მმართველობის კომპლექსურობისა და მასშტაბურობის საჭიროებებიდან გამომდინარეობს. ეს კომპრომისი პასუხობს კონფლიქტს პლებისციტურ (როგორც პირდაპირი დემოკრატიის ყველა ფორმა) დემოკრატიათა და წარმომადგენლობით ინსტიტუტებს შორის.¹⁶

ის, რაც საერთო აქვს დემოკრატიული მმართველობის ნებისმიერ ფორმას, არის არჩევნების როლი, განსაზღვროს გამარჯვებული პოლიტიკა და რეტროსპექტულად შეაფასოს მმართველობა. უნივერსალური პლებისციტი არის დემოკრატიული ლეგიტიმაციის კლასიკური ფორმა. ამიტომაც დემოკრატიის თეორიაში მას ყოველთვის საკვანძო ადგილი აქვს იმის გადასაწყვეტად, თუ ვის უნდა ჰქონდეს პოლიტიკური ძალაუფლება. ამ მხრივ, თუკი არჩევნები მთავრობის დაკომპლექტებას ეძღვნება, პლებისციტი ხალხის ნების პირდაპირ სახელმწიფოს მეურვეობის ქვეშ გამოხატვას ემსახურება. პლებისციტის ეს ფორმა მიღებულია ხალხისთვის დასმულ შეკითხვებზე გამოსაყენებლად და არა – თავად ხალხის მიერ წამოჭრილი კომპლექსური საკითხების გადასაჭრელად.

14. Samuel Issacharoff and J.Colin Bradley, "The Plebiscite in Modern Democracy" in *Routledge Handbook of Illiberalism*, Routledge, 30 Nov 2021.

15. Ibid.

16. Ibid.

მთავარ პრობლემას აქ წარმოადგენს, თუ რამდენად შეიძლება პლებისციტური ინსტრუმენტებით უმცირესობათა უფლებების დაცვა და არსებობს, თუ – არა უმრავლესობის ტირანიის საფრთხე. უმცირესობათა დაცვის საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დახურულ საზოგადოებებში, რომლებშიც პლებისციტში უმრავლესობის ხმამ, შეიძლება, უმცირესობის ლეგიტიმური ინტერესი დაზაბნოს.

ორგანიზებული პოლიტიკური პარტიების დასუსტებისა და სხვა ზემოხსენებული მიზეზების გამო, წარმომადგენლობითი დემოკრატიის პლებისციტური ელემენტი, მეორეხარისხოვანი მახასიათებელიდან, დომინანტურ ორგანიზაციულ ფორმად გადაიქცა, რამაც, შინაარსობრივად, არჩევნები მთავარი აღმასრულებლის არჩევის საკითხის ირგვლივ გამართულ პლებისციტად გარდაქმნა. პოპულიზმი ხარობს ასეთ გარემოში და თავად ახალისებს მას. არალიბერალური ლიდერები, რეჟიმის მშენებლობისას, კარგად იყენებენ დემოკრატიის წარმომადგენლობით და პირდაპირ ფორმებს, მაჟორიტარიზმსა და კონსტიტუციონალიზმს, ლიბერალიზმსა და პლებისციტარიზმს შორის არსებულ წინააღმდეგობებს.

მაგალითად, საქართველოში 2016 წელს რეფერენდუმის ჩატარების იდეა, რომელიც მხოლოდ ქალსა და მამაკაცს შორის ქორწინების დაშვებას გულისხმობდა, მოგვიანებით, კამპანიის მთავარ ღერძად და საკონსტიტუციო უმრავლესობის ძიების გამართლებად იქცა. 2007 წელს ვენესუელაში, უგო ჩავესის მიერ ორგანიზებულ კონსტიტუციურ რეფერენდუმში, პარალელურად, ბოლივიასა და ეკვადორში, პლებისციტი გამოიყენეს სახელმწიფო მეთაურების ვადების შეზღუდვის მოხსნისთვის, ასევე, შეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმების განეიტრალებით, ძალაუფლების კონსოლიდაციის მიზნით. პოლონეთსა და უნგრეთში ბოლო დეკადის არჩევნები კი წარმოადგენდა მხოლოდ პლებისციტებს იაროსლავ კაჩინსკისა და ვიქტორ ორბანის უკონტროლო ძალაუფლების მანდატების გაგრძელების საკითხზე.¹⁷

შედეგად, არჩევნები აღარაა მოქალაქეების მიერ დღის წესრიგის განსაზღვრის, საარჩევნო პროგრამათა შინაარსობრივი დაპირისპირებისა და წარმომადგენლობითი ინსტიტუტების ფორმირების საშუალება. ძლიერი წარმომადგენლობითი შტოს გარეშე, წარმომადგენლობითი პოლიტიკა მნიშვნელოვნად იღებს პლებისციტურ ელფერს.¹⁸

მოქალაქეების მიერ დღის წესრიგის განსაზღვრის შესაძლებლობა დემოკრატიის ფუნდამენტს წარმოადგენს, რადგან ეს ახალისებს მოქალაქეებს, მონაწილეობა მიიღონ მმართველობაში, უზრუნველყოფს, რომ ხელისუფლების გადაწყვეტილებები პასუხობდეს მოქალაქეთა განსხვავებული ჯგუფების წუხილსა და პრიორიტეტებს და ხელს უწყობს გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას. დღის წესრიგის ფუნქციის წართმევა მოქალაქეებისათვის და პლებისციტის ბინარული ფუნქციის დამკვიდრება მნიშვნელოვნად დამაზიანებელია დემოკრატიისთვის.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელი უნდა გახდეს, თუ რატომ ისმის საქართველოში ხშირად კრიტიკა იმის თაობაზე, რომ პარტიები დაშორებული არიან მოსახლეობას, რომ ვერ პასუხობენ ამომრჩეველთა რეალურ წუხილს, რომ მედიაში განხილული საკითხები არ მოიცავს მოქალაქეთა ნამდვილ პრობლემებს. პოლიტიკური დღის წესრიგის მიტაცება ამ ტიპის რეჟიმების

17. Sajó, "Ruling by Cheating: Governance in Illiberal Democracy".
 18. Issacharoff and Bradley, "The Plebiscite in Modern Democracy".

შეგნებული სტრატეგიაა, რომელიც გამყარებულია პარტიების დასუსტების ზოგადი ტენდენციითა და საქართველოს კონტექსტისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა სუბიექტური გარემოებით.

გარდა ამისა, თანამედროვე სრულფასოვან დემოკრატიებშიც შეინიშნება პარლამენტის დასუსტება და აღმასრულებელი შტოს ძალაუფლების ზრდა. საპრეზიდენტო სისტემებში პრეზიდენტი წარმოადგენს ყველაზე თვალსაჩინო პლებისციტურ ინსტიტუტს. თუმცა, იქნება ეს საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო სისტემა, ორივე შემთხვევაში, ჩვენ ვხვდებით წარმომადგენლობითი ინსტიტუტებიდან სრული პოლიტიკური ძალაუფლების ძლიერ აღმასრულებელ შტოზე გადაცემის ტენდენციის მოწმე. ეს ხდება, მათ შორის, პირდაპირი დემოკრატიის ტექნოლოგიებით, იქნება ეს რეფერენდუმი თუ სხვა მექანიზმი.

წარმომადგენლობითი ელემენტის მოშლა მოქალაქეებს არჩევნებში, მათ შორის, ადგილობრივ დონეზე, არჩევანის გაკეთებისკენ მხოლოდ იდეოლოგიური საფუძვლებით უბიძგებს, ხოლო სიმბოლური საკითხების ირგვლივ (გარეჯი საქართველოა!) აგორებული, იდეოლოგიურად დატვირთული, კამპანიების წარმატების ან ჩავარდნის შემთხვევაში, ნაკლებად დგება ანგარიშვალდებულების პრობლემა.¹⁹

ზოგადად, პლებისციტური აკლამაციის (მოწონების) მოდელში მთავრობის ანგარიშვალდებულება, თითქმის, არ არსებობს. საჯარო პოლიტიკის საკითხები ერთხელ უკვე მინდობილია ბელადისთვის გადასაწყვეტად, შესაბამისად, ისინი ხალხის საქმე აღარ არის. ანგარიშვალდებულების მთელი იდეა იკარგება, რადგან „არ არსებობს ობიექტური სტანდარტები სახელმწიფო პოლიტიკის შესაფასებლად. ამ სტანდარტების არარსებობის პირობებში, მთავრობის ანგარიშვალდებულებაზე აპელირება აბსურდული ხდება.“²⁰

2.3. ბათონობა ფარდობითი უმრავლესობის მხარდაჭერით – ნაწილი, როგორც მთლიანი

ძალაუფლების განხორციელებისას, ილიბერალური დემოკრატია უხეშ მახორიტარიზმს ეყრდნობა, რამდენადაც მმართველი რეჟიმი პრეტენზიას აცხადებს უმრავლესობის ნების გამოხატვაზე. სინამდვილეში, საუბარია რეჟიმის მხარდაჭერი ფარდობითი უმრავლესობის ნებაზე. მახორიტარიზმი, გარკვეულწილად, ნორმალური დემოკრატიების მახასიათებელიც არის, რაც გულისხმობს გადაწყვეტილებების მიღებას უმრავლესობის ნების შესაბამისად, თუმცა, რამდენადაც ის, თავისთავად, ინდივიდზე უმრავლესობის ნების თავსმოხვევას უშვებს, აუცილებლად დაბალანსებულია კონტრმაჟორიტარული მექანიზმებით.

პირველ რიგში და ზოგადად, ეს არის ლიბერალური კონსტიტუციონალიზმი, რომელიც ხელისუფლების შინაარსობრივ ნეიტრალიტეტს, მრავალფეროვნებასა და პლურალიზმისადმი ტოლერანტულობას გულისხმობს. გარდა ამისა, მისი შემადგენელი ელემენტები, როგორებიცაა უმცირესობათა უფლებები, პოლიტიკური უმცირესობის – ოპოზიციის უფლებამოსილებები, საკონსტიტუციო სამართლოები თუ სახალხო დამცველი, სწორედ კონტრმაჟორიტარულ ინსტიტუტებს წარმოადგენს.

19. Peter Mair, “Ruling the Void: The Hollowing of Western Democracy,” (London: Verso, 2013), 115.
20. G. Gábor Fodor, “Jó és rossz kormányzás Magyarországon,” *Politikatudományi Szemle*, 17:1 (2007), 132.

სახალხო ნების დეკლარირებული პრიმატი ბუნებრივად მომართავს რეჟიმს დემოკრატიის თვით-შემზღუდავი ინსტიტუტების წინააღმდეგ, რადგანაც მმართველი ძალა, პლებისციტური ლეგიტიმაციით, თავად არის ხალხის ნების განსხეულება. ყველა ლიბერალური ინსტიტუტი, რომლებიც მმართველის ძალაუფლებას ზღუდავს, გამოცხადებულია ამ ნების საწინააღმდეგოდ და ამავე ლოგიკის საფუძველზე, ექვემდებარება არალიბერალურ მოდიფიკაციას.

ბელადმა უნდა უზრუნველყოს, რომ ქვეყანა „სწორ“ გზაზე დაუბრკოლებლად იდგეს. ამიტომ სწრაფადვე უნდა გარდაქმნას ინსტიტუციური სისტემა, სანამ პოპულარული მხარდაჭერა შედარებით მაღალია. ამ პროცესში, დემოკრატიული და კონსტიტუციური ფორმალობები დაცულია მხოლოდ პროცედურულად.²¹ როგორც უკვე ვახსენეთ, დეკლარაციულ დონეზე ეს რეჟიმები აღიარებენ ძალაუფლების დანაწილების პრინციპს, სამართლის უზენაესობას, დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს. ამავე ღირებულებებზე ზრუნვის საბაბით, იწყებენ კონსტიტუციისა და ლიბერალური ინსტიტუტების გარდაქმნას, რადგან, წინა მმართველობიდან გამომდინარე, არსებული მოცემულობა ცხადდება არალეგიტიმურად.

მაჟორიტარიზმი, შემზღუდავი კონსტიტუციური მექანიზმების გარეშე, უგულებელყოფს საზოგადოების ფუნდამენტურ სოციალურ შეთანხმებებს ღირებულებებზე და შედეგად, საფრთხეს უქმნის უმცირესობებს. გარდა ამისა, მაჟორიტარიზმი საფუძველს უყრის არაოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას.

ილიბერალური რეჟიმების მთავარი პრობლემა არც მხოლოდ მაჟორიტარიზმია. ყველა პოპულისტ ლიდერს აბსოლუტური უმრავლესობა უპირატესობას არ ანიჭებს. საწყის ეტაპზე ზოგიერთი მართლაც სარგებლობს დიდი მხარდაჭერით, მაგრამ შეიძლება, ეს მხარდაჭერა ძალიან სწრაფად შემცირდეს, მაგალითად, როგორც ჩავესის შემთხვევაში მოხდა. თუმცა საარჩევნო სისტემის ნიუანსების, აკლამაციის სხვა ფორმებისა და სისტემის გარდაქმნის დახმარებით, ფარდობითი უმრავლესობის მხარდაჭერაც კი საკმარისია, რომ ბელადმა/მისმა მმართველმა ძალამ სრული პოლიტიკური ძალაუფლება მიიღოს – აკონტროლოს პოლიტიკური ხელისუფლების ყველა ელემენტი.

პოლიტიკურმა ძალაუფლებამ მმართველობის მანდატი ფარდობითი უმრავლესობით შეიძლება განვითარებულ დემოკრატიაშიც მიიღოს, თუმცა, როგორც მრავალგზის აღვნიშნეთ, ის დაბალანსებულია კონსტიტუციური მექანიზმებით და ძალაუფლება შებოჭილი და განაწილებულია, მათ შორის, პოლიტიკურადაც, რამდენადაც კოალიციურ შეთანხმებებს ეფუძნება.

ფარდობითი უმრავლესობა ბელადის დემოკრატიაში წარმოდგენილია, როგორც სრული მთლიანობა და ერთადერთი ლეგიტიმური „ხალხი“. „პოპულიზმის ლოგიკა საზოგადოების ერთი ნაწილის აღზევებაა. ... პოპულისტური მთავრობა არის *pars pro parte*, რომელიც მართავს ღიად საკუთარი კეთილდღეობის, საკუთარი მოთხოვნებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად.“²²

ის, ვინც არ ეთანხმება ბელადს და კენჭისყრაში ფარდობითი უმრავლესობისგან განსხვავებულ არჩევანს აფიქსირებს, თავად არ არის „ნამდვილი ხალხი“ და ამიტომაც ბელადი არც წარმოადგენს მათ. მაგალითად, რუსეთში პუტინი არ წარმოადგენს სექსუალურ უმცირესობებს, რადგან ისინი არ არიან ნამდვილი რუსი ხალხის ნაწილი, იმის მიუხედავად, რომ შეიძლება, საკუთარ მოკრძა-

21. Sajó, “Ruling by Cheating: Governance in Illiberal Democracy”.

22. Nadia Urbinati, “Political Theory of Populism,” *Annual Review of Political Science*, Vol. 22 (2018): 111-127, 123.

საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემა: ილიბერალური დემოკრატიიდან კონსტიტუციურ დემოკრატიაში

ლებულ ადგილს იკავებდნენ ქვეყანაში. თუ ვინ წარმოადგენს „ნამდვილ ხალხს“ სხვადასხვა საზოგადოებაში, ამას არსებული სენტიმენტები და სტერეოტიპები განსაზღვრავს.

ბელადი წაახალისებს და ხაზს უსვამს იდენტობის იმ კომპონენტებს, რომლებიც, შეიძლება, უკან იხევს ილიბერალური დღის წესრიგით. ვიქტორ ორბანის მიხედვით: „უნგრელი მამაკაცის (férfiember) არქეტიპია ფერმერი (gazda), კაცი სოფლიდან, რომელსაც საკუთარი შეხედულებები აქვს და სჯერა, რომ ტერიტორიებს აქვს საზღვრები და ის პასუხისმგებელია ამ ტერიტორიაზე ცხოვრების ხარისხზე, წესრიგზე, სარჩოს გამოუმუშავებასა და იმაზე, თუ რა მოხდება იქ. პასუხისმგებლობის ეს გრძნობა ხსნის, თუ რატომ მისცა პროვინციებმა უნგრეთის პოლიტიკას ამდენი ლიდერი. იმიტომ რომ ლიდერს სჭირდება აზროვნების ეს წესი.“²³

თავის ერთ-ერთ სიტყვაში ქართველი კაცის იდენტობის განსაზღვრების თავისებური ხედვა წარმოადგინა ბიძინა ივანიშვილმაც: „იყო ქართველი, ნიშნავს, მღეროდე „მრავალჟამიერს“, ქმნიდე პოლიფონიას, ცეკვავდე „ხორუმს“, წერდე „ვეფხისტყაოსანს“; იყო ქართველი, ნიშნავს, უძღვებოდე ქართულ სუფრას, შენს თავში ატარებდე ვაჟა-ფშაველას.“²⁴

ხალხის პლემბისციტური ჰომოგენიზაციის სტრატეგია, თავისთავად, ექსკლუზივიზმს, ტრაიბალიზმს და სოციო-პოლიტიკურ პოლარიზაციას ბადებს. „ტრაიბალიზმი გულისხმობს ლიდერის იმედად ყოფნას, რომ არ დაუშვებს საწინააღმდეგო ტომის გაძლიერებას.“²⁵ ინტერესებსა და რაციონალურ განსჯაზე დაფუძნებული პოლიტიკა საბოლოოდ იდევენება.

სოციალური და პოლიტიკური კონფლიქტების პოპულისტური გადაწყვეტა არ ცნობს კომპრომისს. მტერი შეიძლება სრულად არ განადგურდეს, მაგრამ მისი ინტერესები უცხოდ, არალეგიტიმურად უნდა გამოცხადდეს და მისი გავლენიანი როლი გამოირიცხოს პოლიტიკიდან. სწორედ ეს არის ილიბერალური დემოკრატიის ანტიდემოკრატიული ბუნების წყარო. პოპულიზმში, როგორც მოძრაობა, ეფუძნება ანტიინსტიტუციონალიზმს, მოწინააღმდეგე ჯგუფების განდევნასა და პოლიტიკური კომპრომისის უარყოფას. ასეთი ტიპის დემოკრატია, რა თქმა უნდა, ვერ უზრუნველყოფს თვითნებობისაგან დაცვას და ავტორიტარულ ბუნებას იძენს.

სახელმწიფოს მიტაცების პროგრამის შესრულების შემდეგაც, სტრატეგიული პოლარიზაცია ძალაუფლების შენარჩუნების ყველაზე ეფექტურ საშუალებად იქცევა. პოლარიზაცია შთანთქმავს ყველა სხვა სოციალურ თუ იდეოლოგიურ დაყოფას და უზრუნველყოფს არჩევნების პლემბისციტური ხასიათისა და ბინარული არჩევანის შენარჩუნებას.

საარჩევნო სისტემით მანიპულაციას გადაწყვეტი მნიშვნელობა სწორედ ამ კონტექსტში ენიჭება. არჩევნებმა, ფარდობითი უმრავლესობის მხარდაჭერით, სრული პოლიტიკური ძალაუფლების მიღება/შენარჩუნება უნდა უზრუნველყოს. კონსტიტუციური მოწყობის ჩარჩო ამ შემთხვევაში გადამწყვეტი არ არის. კონსტიტუციის ინსტრუმენტალიზაციისთვის, სახელმწიფოს მიტაცების გრძელვადიან-

23. See V. Orbán, "Orbán Viktor beszéde a „Mindent a magyar vidék jövőjéért“ című könyv bemutató sajtótájékoztatóján," Miniszterelnok.hu (July 9, 2020). ხელმისაწვდომია: <https://2015-2022.miniszterelnok.hu/orban-viktor-beszede-a-mindent-a-magyar-videk-jovojeeert-cimu-konyv-bemutato-sajtotajekoztatojan/>.

24. „ბიძინა ივანიშვილი – იყო ქართველი ნიშნავს მღეროდე „მრავალჟამიერს“, ცეკვავდე ხორუმს, წერდე „ვეფხისტყაოსანს“, უძღვებოდე ქართულ სუფრას და შენს თავში ატარებდე ვაჟა-ფშაველას," IPN ინტერპრესნიუსი, 14 ივლისი, 2019. ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/577463-bizina-ivanishvili-iqo-kartveli-nishnavs-mgerode-mrav-alzhamiars-cekvavde-xorums-cerde-vepxistqaosans-uzgvebode-kartul-supras-da-shens-tavshi-atarebde-vazha-pshavelas>

25. Péter Krekó et al., "Beyond Populism Tribalism in Poland and Hungary," *Political Capital Institute*, (2018), 12.

ნად შესანარჩუნებლად, ამომრჩეველთა უმრავლესობის მხარდაჭერა (ფარდობითი ან აბსოლუტური) ასევე უნდა იძლეოდეს საკონსტიტუციო შესწორებისთვის საჭირო კვალიფიციურ უმრავლესობასაც. პლებისციტურ დემოკრატიებში არჩევნები ფორმალურად თავისუფალი და ინკლუზიურია – ტარდება უნივერსალური კენჭისყრა. არსებობს მინიმალური კონკურენციაც – პარტიები უფლებამოსილი არიან, აწარმოონ კამპანია და არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ. არჩევნები მინიმალურ დონეზე სამართლიანაც არის – მასობრივი რეპრესიისა და ფუნდამენტური უფლებების მასშტაბური შეზღუდვის გარეშე ტარდება.

საარჩევნო თაღლითობა ამ არჩევნებს ახასიათებს, თუმცა მთავარი, რაც მმართველ ძალას ხელი-სუფლებაში ტოვებს, ფრაგმენტირებული ოპოზიცია და ამის ხელშემწყობი საარჩევნო სისტემაა.

საარჩევნო სისტემამ და წესებმა უნდა უზრუნველყოს ისეთი არჩევნები, რომელიც არ შეიცავს მმართველი პარტიის გადარჩევის მაღალ რისკებს.

ზოგადად, ინსტიტუციური განუსაზღვრელობა დემოკრატიის მახასიათებელი თვისებაა – არსებობს ხელისუფლების დამარცხების რეალური შესაძლებლობა და შედეგები წინასწარგანსაზღვრული არ არის. პლებისციტურ დემოკრატიაში ამგვარი გაურკვეველობა სისტემამ მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს.

გარკვეულ ეტაპზე, შესაძლოა ზედმეტი მანიპულაციაც აღარ იყოს საჭირო, რადგან პარტია უკვე იმდენად დომინანტია, რომ მის წინააღმდეგ ხმის მიცემას აზრი აღარ აქვს, როგორც, მაგალითად, რუსეთში ხდება. ეს რეალობა შეიძლება დადგეს, როცა ფრაგმენტირებული ოპოზიციისადმი, როგორც რეალური ალტერნატივისადმი, რწმენა სამუდამოდ იკარგება. თავისთავად, ეს შედეგიც რეჟიმის მიერ მრავალი ხერხისა და ინსტრუმენტის გამოყენებით დგება.²⁶

არჩევნები უნდა იყოს მეტ-ნაკლებად თავისუფალი და გარკვეულწილად – სამართლიანიც, რათა ლიდერის გამარჯვება დამაჯერებელი იყოს, როგორც მისი მხარდამჭერებისთვის, ისე ოპოზიციური ელექტორატისთვის. დემოკრატიული თამაშის წესებში ფორმალურად დასარჩენად რეჟიმმა გარკვეული რისკების არსებობა უნდა დაუშვას. ოპოზიციას უნდა ჰქონდეს განცდა, რომ მომავალში გამარჯვების მინიმალური შანსი მაინც არსებობს და ამ ეტაპზე, სამომავლო გამარჯვების მოლოდინის გათვალისწინებით, დამარცხების მიღების ხარჯები ძალიან მაღალი არ არის. სწორედ ამით განსხვავდება ილიბერალური დემოკრატია დახურული ავტორიტარიზმისგან – მმართველის დამარცხება არჩევნებში თეორიულად გამორიცხული არ არის.

უნგრეთში ოპოზიციური ძალების გაერთიანებას ნამდვილად შეეძლო გამარჯვების მოტანა. პოლონეთში 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების მიუხედავად, ნამდვილად კონკურენტული იყო. ოპოზიციამ ამ ქვეყნების რამდენიმე მუნიციპალიტეტში ადგილობრივი არჩევნები მოიგო. ვენესუელაში 2015 წლის საპარლამენტო არჩევნები ოპოზიციის გამარჯვებით დასრულდა, რამაც შემდგომში რეჟიმს შიშველი ავტორიტარიზმის დამკვიდრებისკენ უბიძგა.²⁷

მაგალითად, ერთი მხრივ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა 2021 წლის ადგილობრივ არჩევნე-

26. Sajó, "Ruling by Cheating: Governance in Illiberal Democracy".

27. Ibid.

საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემა: ილიბერალური დემოკრატიიდან კონსტიტუციურ დემოკრატიამდე

ბამდე წარმოუდგენლად შეუთავსებლად გამოაცხადა ოპოზიციური მერის არსებობა,²⁸ თუმცა რეჟიმი შეეგუა წალენჯიხაში ოპოზიციური კანდიდატის გამარჯვებას.²⁹

ამ საარჩევნო სისტემებში შერჩევითი რეპრესია, ამომრჩევლის მოსყიდვა, რეჟიმის კლიენტების მობილიზაცია, საარჩევნო წესებით მანიპულირება, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება და თაღლითობა სტანდარტული საარჩევნო ტექნოლოგიებია. თუმცა საარჩევნო სისტემის დიზაინის გარკვეულ ტექნიკებს შეუძლია მმართველ პარტიას კიდევ დამატებითი მანდატები აჩუქოს. პლებისციტური ბელადის დემოკრატიები ესწრაფვიან, დაეყრდნონ მათზე დამოკიდებულ ფართო უმრავლესობებს. თუმცა, მხარდაჭერის შემცირების გარდაუვალობის გათვალისწინებით, სისტემა ასევე უნდა იძლეოდეს ფარდობითი უმრავლესობით სრული პოლიტიკური ძალაუფლების კონტროლის შესაძლებლობას. მანდატების პრემია (ბონუსი) ერთ-ერთ ასეთ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

შემდგომი მსჯელობა სწორედ მანდატების პრემიას დაეთმობა. ჩვენ გავანალიზებთ, უზრუნველყოფს, თუ – არა (და რა ხარისხით) 2024 წელს ასამოქმედებელი საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემა „მანდატების პრემიას“ და რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მას შემდგომ პოლიტიკურ განვითარებაზე.

2.4. მანდატების პრემია (ბონუსი)

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მანდატების პრემიაში იგულისხმება საარჩევნო პრივილეგია – ბონუსი, რომელიც ხმების ფარდობითი (ზოგ შემთხვევაში – აბსოლუტური) უმრავლესობის მომპოვებელ კანდიდატს ან პარტიას ენიჭება. ამ სუბიექტს ეძლევა დამატებითი მანდატები, რომლებსაც ის, მანდატების ამომრჩეველთა მხარდაჭერის პროპორციულად განაწილების შემთხვევაში, ვერ მიიღებდა.

ამგვარი პრემია, ძირითადად, ემსახურება სტაბილური მთავრობების შექმნას ან უმრავლესობის მქონე პარტიისა თუ კოალიციის გავლენის გაძლიერებას საკანონმდებლო ორგანოში. მანდატების პრემია უმრავლესობის ბონუსის ფორმაა. უმრავლესობის ბონუსზე დაფუძნებული სისტემების მიზანია, სტაბილურობის ხელშეწყობით გაზარდოს მთავრობის ეფექტიანობა.

უმრავლესობის ბონუსი სხვადასხვა ელექტორალური მექანიზმით მიიღწევა და განსხვავებულ საარჩევნო სისტემებში სხვადასხვა გამოხატულება აქვს. უმრავლესობის ბონუსის სისტემა აერთიანებს ორ ან რამდენიმე საარჩევნო მეთოდს ერთ საარჩევნო სისტემაში. ხშირად ეს გულისხმობს მაჟორიტარული და პროპორციული წარმომადგენლობის ელემენტების ნაზავს, მაგალითად, პარალელურ (შერეულ-დამოუკიდებელ) სისტემას, როდესაც მანდატების ნაწილი – პროპორციული ფორმულით, ნაწილი კი ერთმანდატიან ოლქებში მაჟორიტარული ფორმულით ნაწილდება და მანდატების საბოლოო განაწილებისთვის, პროპორციული არჩევნების შედეგი გადამწყვეტი არ არის.

28. „ირაკლი ღარიბაშვილი – როგორ წარმოვიდგინათ, მერი რომ იყოს ოპოზიციური კანდიდატი, ეს რომ მოხდეს, მათი მხრიდან იქნება მუდმივი საბოტაჟი, ქაოსი, არეულობა, პანიკა და გადაბრალება ცენტრალურ მთავრობაზე,“ *პირველი არხი*, 23 ოქტომბერი, 2021. ხელმისაწვდომია: <https://ltv.ge/news/irakli-gharibashvili-rogor-warmogidgeniat-meri-rom-iyos-opoziciuri-kandidati-es-rom-mokhdes-mati-mkhridan-igneba-mudmivi-sabotadji-qaosi-areuloba-panika-da-gadabraleb-centralur-mtavrobaze/>

29. „წალენჯიხის მერის არჩევნებში ენმ-ს კანდიდატმა, გიორგი ხარხილაძემ გაიმარჯვა,“ *ტაბულა*, 31 ოქტომბერი, 2021. ხელმისაწვდომია: <https://tabula.ge/news/675400-calenjikhis-meris-archevnebshi-enm-s-kandidatma>

უმრავლესობის ბონუსის სისტემა, ჩანაფიქრში, პროპორციულობასა და მაჟორიტარიზმს შორის კომპრომისს წარმოადგენს. სისტემის დიზაინმა უნდა უზრუნველყოს ბალანსი ელექტორატის პრეფერენციების პროპორციულ წარმომადგენლობასა და საკანონმდებლო ორგანოში გამარჯვებული პარტიის/კოალიციის მიერ უმრავლესობის ჩამოყალიბების ამოცანას შორის.

ეს ბალანსი სხვადასხვა სისტემაში გადახრილია მეტად პროპორციული ან მეტად მაჟორიტარული ინტერესების სასარგებლოდ. შესაბამისად, სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემასაც კი, თავისი შინაარსით, უმრავლესობის პრემიიდან გამომდინარე, შეიძლება ჰქონდეს შერეული სისტემის ხასიათი, რამდენადაც შერეული სისტემა სწორედ პროპორციულობისა და მაჟორიტარული პრინციპების თანაარსებობას გულისხმობს.³⁰

უმრავლესობის ბონუსის პროპორციულ სისტემებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მანდატების განაწილების წესს. სწორედ ამ წესზეა დამოკიდებული, თუ ვინ მოიპოვებს მანდატების პრემიას. ეს შეიძლება იყოს უმრავლესობის „ჯეკპოტის“ სისტემა, როდესაც ყველა ბონუსად მიღებული მანდატი მიენიჭება იმ პარტიას, რომელიც ფარდობითი უმრავლესობის დადგენილ ზღვარს გადალახავს და ყველაზე მეტ ხმას მოაგროვებს. მანდატების ბონუსი შესაძლოა, არაპირდაპირ, განაწილების წესიდან გამომდინარეობდეს.

საბოლოოდ, პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება არა კონკრეტულ მეთოდს, არამედ იმას, თუ რამდენად წარმოადგენს მანდატების პრემია ილიბერალური რეჟიმისათვის არაპროპორციულად დიდი ძალაუფლების ხელში ჩაგდების დამატებით ინსტრუმენტს და შესაძლებელია, თუ – არა კონკრეტულ სისტემაში ფარდობითი უმრავლესობით სრული პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება.

ილიბერალურ რეჟიმებს მიღმა, კონსტიტუციურ დემოკრატიებშიც არსებობს დებატი მანდატების პრემიის თაობაზე. კრიტიკა რამდენიმე ასპექტს მოიცავს. პირველ რიგში, პრობლემურია, რომ მანდატების პრემია დიდი პარტიების არაპროპორციულ წარმომადგენლობას ახალისებს. უმრავლესობის მქონე პარტიას შეიძლება სულაც არ მიუღია ხმების უმრავლესობა, რაც, თავისთავად, პრობლემურია დემოკრატიულობის თვალსაზრისით, რამდენადაც ამომრჩეველთა პრეფერენციები არ არის წარმოდგენილი პროპორციულად.

გარდა ამისა, მანდატების პრემიამ შეიძლება პატარა პარტიების მარგინალიზაცია გამოიწვიოს, რადგან მათთვის კიდევ უფრო რთულდება მნიშვნელოვანი საპარლამენტო წარმომადგენლობის მოპოვება. ეს კი საკანონმდებლო ორგანოში პოლიტიკურ მრავალფეროვნებასა და პოლიტიკურ უმცირესობათა შეხედულებების წარმოდგენას ზღუდავს. ამასთან, როდესაც პარტია იღებს მანდატების პრემიას, ის შეიძლება სათანადოდ ანგარიშვალდებული არ იყოს, რათა კომპრომისისა და თანამშრომლობის გარეშე მოახერხოს კანონმდებლობის გატანა და გადაწყვეტილებების მიღება. ეს, თავისთავად, კონტროლისა და გაწონასწორების შესუსტებას ნიშნავს. დამატებით, მანდატების პრემიის არსებობამ ასევე შეიძლება გაართულოს იმ საარჩევნო რეფორმების განხორციელება, რომლებიც სისტემას უფრო პროპორციულს გახდის. უმრავლესობაში მყოფი ძალები შეეწინააღმდეგებიან ცვლილებას, რამდენადაც დაკარგავენ პრივილეგიას.

ბოლოს, მანდატების პრემიის პირობებში, პატარა პარტიების მხარდამჭერი ამომრჩევლები შეიძ-

30. André Blais and Louis Massicotte, “Mixed Electoral Systems: An Overview,” *Journal of Representative Democracy*, Vol. 33. Issue 4, (1996): 115–118. doi:10.1080/00344899608522970.

საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემა: ილიბერალური დემოკრატიიდან კონსტიტუციურ დემოკრატიაში

ლება გულგრილნი გახდნენ საარჩევნო პროცესის მიმართ, რადგან ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათი მხარდაჭერილი სუბიექტი მანდატების პრემიით ისარგებლებს. ეს კი ნეგატიურად მოქმედებს მცირე ინტერესჯგუფების პოლიტიკურ ჩართულობასა და საარჩევნო აქტივობაზე.

მანდატების პრემიასთან მიმართებით, ყველაზე პრობლემურად მაინც პროპორციულობის საკითხი რჩება, რომელიც, თავისთავად, პროპორციული საარჩევნო სისტემისათვის სამართლიანობის კრიტერიუმია. იტალიის საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საკითხზე 2014 წელს იმსჯელა.³¹ საქმე, რომელიც ხშირად მოხსენიებულია, როგორც “Italicum”, სადავოს ხდიდა იტალიის საარჩევნო კანონმდებლობის იმ ნაწილს, რომელიც პარლამენტის ქვედა პალატის წევრების არჩევას შეეხებოდა.

თავის გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ კანონმდებლობის გარკვეული ნაწილი, კერძოდ, მანდატების პრემიასთან დაკავშირებული მუხლები არაკონსტიტუციურად სცნო. ეს ნორმები ქვედა პალატაში მანდატების პირდაპირ ბონუსს ანიჭებდა ხმების უმრავლესობის მქონე პარტიას ან კოალიციას, იმ პირობებშიც კი, თუ მათ რეალურად არ ჰქონდათ მიღებული ხმების 50%-ზე მეტი. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ეს მექანიზმი არღვევდა პროპორციულობის პრინციპს და თანასწორ წარმომადგენლობას. დაადგინა, რომ მანდატების პრემიის სისტემა არაპროპორციულ უპირატესობას ანიჭებდა უდიდეს პარტიას და იწვევდა მანდატების ტარბ კონცენტრაციას მის ხელში.

სასამართლოს მიხედვით, სტაბილურობის ინტერესი არ ამართლებს საარჩევნო თანასწორობისა და პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპების მნიშვნელოვან უგულებელყოფას. აღსანიშნავია, რომ მანდატების ბონუსის ძიებაზე იტალიის პოპულისტ ლიდერებს ხელი არ აუღიათ. იტალიის საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წელსაც გააუქმა მანდატების ბონუსის დამდგენი საარჩევნო კანონი.

მოქმედი პრემიერ-მინისტრის, ჯორჯია მელონის, მიერ წარმოდგენილი საკონსტიტუციო რეფორმა ასევე ითვალისწინებს მანდატების ბონუსს ფარდობითი უმრავლესობის მიმღები პარტიისთვის. ამით მელონი ცდილობს, გვერდი აუაროს საკონსტიტუციო კონტროლს და საკონსტიტუციო რეფერენდუმის გზით, განამტკიცოს პლებისციტური ბელადის დემოკრატიის ინსტიტუტები (მელონის რეფორმა ასევე ითვალისწინებს პრემიერ-მინისტრის პირდაპირ არჩევასაც).³²

პოპულისტი ლიდერების სწრაფვა მანდატების ბონუსისკენ იმით აიხსნება, რომ პრემიის მოპოვება მნიშვნელოვნად ცვლის ძალაუფლების სურათს. მაგალითად, 2023 წლის მაისში საბერძნეთში ჩატარებული არჩევნების შედეგად გამარჯვებულმა პარტია Nea Dimokratia-მ ვერ შეძლო უმრავლესობის ჩამოყალიბება და მთავრობის დაკომპლექტება, მიუხედავად იმისა, რომ ხმების 40.8% მიიღო, განსხვავებით 1974 წლისაგან, როცა, მსგავსი შედეგით, იმავე პარტიას საპარლამენტო უმრავლესობა მიეცა.

ორი მსგავსი საარჩევნო მონაცემით გამოწვეული განსხვავებული შედეგის მიზეზი სწორედ საარჩევნო სისტემაა. 1974 წელს, ისევე, როგორც გასული 50 წლის განმავლობაში, საბერძნეთი ევრეთ წოდებული გაძლიერებული პროპორციული წარმომადგენლობის (enhanced proportional repre-

31. The Constitutional Court, Judgment No. 1, 2014, *corte costituzionale.it*, ხელმისაწვდომია: https://www.cortecostituzionale.it/documenti/download/doc/recent_judgments/1-2014_en.pdf?fbclid=IwAR0dtnYhAXKlpSyJEzKjtpWj2cTlkz1VcAt9lWfFcnl_Jjd2BszCK6MJn0U
32. Civitarese Matteucci, Stefano: Paving the Way to Autocracy?: On the Meloni Government’s Attempt to Shift the Constitutional Architecture of Italy, *VerfBlog*, 2023/11/16, <https://verfassungsblog.de/paving-the-way-to-autocracy/>, DOI: 10.59704/c1ada45370f9ce7b.

sentation) სისტემის სხვადასხვა ვერსიას იყენებდა, რომლებიც გამარჯვებული პარტიისთვის მანდატების პრემიას უზრუნველყოფდა. გამონაკლისი იყო 2023 წლის არჩევნები, რომელიც წმინდად პროპორციული წესით ჩატარდა.³³ ეს მაგალითიც უჩვენებს, რომ მანდატების პრემია შეიძლება მნიშვნელოვან როლს თამაშობდეს ფარდობითი უმრავლესობის მხარდაჭერით საპარლამენტო უმრავლესობის მოპოვებასა და შედეგად, აღმასრულებელი ხელისუფლების დაკომპლექტებაში.

ილიბერალური რეჟიმები ამ მექანიზმს განსაკუთრებით კარგად იყენებენ. მანდატების პრემიის უზრუნველყოფაზე გემოქმედება საარჩევნო სისტემის დიზაინის ისეთი ელემენტებითაც არის შესაძლებელი, როგორებიცაა, მაგალითად, საარჩევნო ბარიერი ან კონკურენციის შემზღუდავი სხვა მექანიზმები. სტაბილურობის არგუმენტის გამოყენებით მანდატების პრემიის უზრუნველყოფა სრული პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების საშუალებაა.

2.5. საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემა, როგორც პლემისციტური ბელადის დემოკრატიის ინსტრუმენტი

საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემა მაგალითია პლემისციტური ბელადის დემოკრატიის მიზნებზე მორგებისა. 2024 წლის არჩევნებისთვის, პირველად ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში, საქართველოში არჩევნები პარლალელური სისტემით აღარ ჩატარდება და პარლამენტის წევრის ასორმოცდაათივე მანდატი პროპორციული წესით გადანაწილდება.

თუმცა კონსტიტუციის ბოროტად გამოყენების საუკეთესო ტრადიციებში, გარეგნულად პროპორციული სისტემა მაინც ხელს უწყობს პლემისციტური ბელადის დემოკრატიის ორი მნიშვნელოვანი მიზნის მიღწევას: ა) ამომრჩეველთა ფარდობითი უმრავლესობის მხარდაჭერით, მმართველი ძალა იღებს პარლამენტის მანდატების აბსოლუტურ უმრავლესობას და ინარჩუნებს კონტროლს პოლიტიკური ძალაუფლების შტოებზე; ბ) ამომრჩეველთა აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერის მობილიზების შემთხვევაში, მმართველი ძალა იღებს მანდატების კვალიფიციურ უმრავლესობას და შესაბამისად, ხელთ იგდებს კონსტიტუციის მიღების ერთპიროვნულ უფლებამოსილებას.

ამრიგად, საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემა ეფექტურად ინარჩუნებს მანდატების არაპირდაპირ ბონუსს. ქვემოთ წარმოდგენილი სიმულაციები მიზნად ისახავს ამ მტკიცებების რაოდენობრივ დემონსტრირებას.

სიმულაციები ეფუძნება საქართველოს პარლამენტის მანდატების განაწილების წესს. მანდატები ნაწილდება პროპორციულად, არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებს შორის. აკრძალულია საარჩევნო ბლოკების შექმნა და არჩევნებში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ პოლიტიკური პარტიების მიერ წარდგენილ სიებს. მანდატების განაწილებაში მონაწილეობენ მხოლოდ ის პარტიები, რომლებიც მოაგროვებენ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 5 %-ს.

33. Iannis Konstantinidis, "The paradox of nearly absolute majority under proportional representation," *Heinrich Böll Stiftung*, 1 June 2023. ხელმისაწვდომია: <https://gr.boell.org/en/2023/06/01/paradox-nearly-absolute-majority-under-proportional-representation>

საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემა: ილიბერალური დემოკრატიიდან კონსტიტუციურ დემოკრატიაზე

მანდატები ნაწილდება პროპორციული ფორმულით. მანდატების პირველადი განაწილება ეფუძნება მარტივ კვოტას, რომელიც გამოითვლება განაწილებაში მონაწილე პარტიების (რომლებმაც გადალახეს 5%-იანი ბარიერი) მიერ ჯამურად დაგროვებული ხმების გაყოფით გასანაწილებელი მანდატების რაოდენობაზე (150). მიღებული რიცხვი არის კვოტა ანუ ერთი მანდატის ფასი. თითოეული პარტიისთვის მისაკუთვნილებელი მანდატების რაოდენობის გამოსათვლელად, ამ პარტიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა იყოფა კვოტაზე. მიღებული მთელი რიცხვი არის პარტიის მიერ პირველადი განაწილებით მიღებული მანდატების რაოდენობა. პირველადი განაწილების შედეგად, რჩება გაუნაწილებელი მანდატები, რომლებიც თანმიმდევრობით ნაწილდება უკეთესი შედეგების მქონე პარტიებზე.

ჩვენ მიერ წარმოდგენილ სიმულაციებში დავეყრდენით ამომრჩეველთა საერთო სიაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემების მიხედვით. ასევე, საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგების ანალიზის საფუძველზე, სიმულაციებში ამომრჩეველთა აქტივობად ავიღეთ ამომრჩეველთა 60%-იანი მონაწილეობა.

ამ მაჩვენებლის გამოყენებას სიმულაციაში შემდეგი გამართლება აქვს: აღნიშნული აქტივობა, ბოლო 20 წლის მონაცემების გათვალისწინებით, აქტივობის უმაღლეს მაჩვენებელს უახლოვდება. ამასთან, ამომრჩეველთა მაღალი აქტივობა მიანიშნებს, რომ ოპოზიციის ამომრჩევლის მობილიზაციის მასშტაბიც მაღალია და მმართველ ძალას, ოპოზიციასთან შედარებით, ამომრჩევლის მობილიზების თვალსაზრისით, დისპროპორციული უპირატესობა არ აქვს. ამ პირობის დაკმაყოფილებით, ჩვენ გვსურს იმის დემონსტრირება, რომ მაშინაც კი, როდესაც ოპოზიცია ახერხებს საკუთარი ამომრჩევლის ფართო მობილიზაციას, საარჩევნო სისტემა მმართველ ძალას მანდატების ბონუსის მოპოვებაში მაინც ხელს უწყობს. კერძოდ, ამომრჩეველთა ფარდობითი უმრავლესობით – მანდატების აბსოლუტური უმრავლესობის, ან ამომრჩეველთა აბსოლუტური უმრავლესობით მანდატების კვალიფიციური (საკონსტიტუციო) უმრავლესობის მოპოვების შესაძლებლობას უქმნის.

მნიშვნელოვანია, რომ კვოტის გამოთვლისა და მანდატების განაწილების პროცესში, მხედველობაში არ მიიღება გაბათილებული ბიულეტენები. შესაბამისად, ჩვენ, ბოლო არჩევნების ანალიზის საფუძველზე, სიმულაციაში გაბათილებული ბიულეტენების რაოდენობად ავიღეთ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 3%. ბოლო რამდენიმე არჩევნების გათვალისწინებით, ბათილობის მაჩვენებელი 3%-ის გარშემო მერყეობდა.

სიმულაციები იყოფა სამ ჯგუფად:

პირველ ჯგუფში გთავაზობთ ხმათა შესაძლო განაწილების ვარიანტებს, როცა მოქმედი მმართველი ძალა ამომრჩეველთა ფარდობითი უმრავლესობის მხარდაჭერით იღებს მანდატების აბსოლუტურ უმრავლესობას. ამ ჯგუფში შესაძლო ვარიანტებია:

- ა) როდესაც მხოლოდ ორი პარტია გადალახავს 5%-იან ბარიერს და მმართველ ძალას ექნება მხოლოდ ფარდობითი უმრავლესობა, თუმცა მანდატების აბსოლუტურ უმრავლესობას მოაგროვებს ბარიერს მიღმა დარჩენილი პარტიების მიერ „დაკარგული“ მანდატების ბონუსით;

არჩევნები ილიბერალურ დემოკრატიასში

პარტიები	შედეგი, %	ხმები	მანდატები	%, მანდატები
მმართველი ძალა	48%	977 018	85	57%
პარტია 2	37%	753 118	65	43%
სხვა პარტიები	15%	305 318	0	0%
ჯამი	100%	2 035 455	150	100%

ბ) როდესაც მხოლოდ სამი ოპოზიციური პარტია გადალახავს ბარიერს და მმართველი ძალა, ისევე ფარდობითი უმრავლესობის მხარდაჭერით, მანდატების აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვებას შეძლებს. ამ ვარიანტთან თავსებადია Edison Research-ის ბოლო საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები და სიმულაციისთვის სწორედ ამ კვლევის მონაცემებს დავყვრდებით;

პარტიები	შედეგი, %	ხმები	მანდატები	%, მანდატები
მმართველი ძალა	37%	753 118	78	52%
პარტია 2	21%	427 446	44	29%
პარტია 3	9%	183 191	18	12%
პარტია 4	5%	101 773	10	7%
სხვა პარტიები	28%	569 927	0	0%
ჯამი	100%	2 035 455	150	100%

გ) მესამე ვარიანტში, მმართველი ძალა ფარდობითი უმრავლესობის მოპოვებით ძალაუფლებას ინარჩუნებს სატელიტი პარტიის დახმარებით. ამ სცენარშიც ბარიერს სამი პარტია გადალახავს, მათ შორის, მხოლოდ ერთი იქნება ოპოზიციური პარტია.

პარტიები	შედეგი, %	ხმები	მანდატები	%, მანდატები
მმართველი ძალა	43%	875 246	74	49%
პარტია 2	40%	814 182	68	45%
პარტია 3	5%	101 773	8	5%
სხვა პარტიები	12%	244 255	0	0%
ჯამი	100%	2 035 455	150	100%

სიმულაციების მეორე ჯგუფში გთავაზობთ ხმათა შესაძლო განაწილების ვარიანტებს, რომლებშიც მოქმედი მმართველი ძალა, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერით, იღებს მანდატების კვალიფიციურ უმრავლესობას და კონსტიტუციის შეცვლის უფლებამოსილებას. ამ ჯგუფში შესაძლო ვარიანტებია:

**საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემა:
ილიბერალური დემოკრატიიდან კონსტიტუციურ დემოკრატიაზე**

ა) მმართველი ძალა აგროვებს ხმათა 50%-ზე მეტს და მასთან ერთად ბარიერს გადალახავს მხოლოდ ერთი ოპოზიციური პარტია. ეს სცენარი თავსებადია Gorbis-ის მიერ ბოლოს გამოქვეყნებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებთან და სიმულაციისთვის ეს მონაცემები გამოვიყენეთ მცირედი მოდიფიკაციით;

პარტიები	შედეგი, %	ხმები	მანდატები	%, მანდატები
მმართველი ძალა	55,3%	1 125 606	113	75%
პარტია 2	18,7%	380 630	37	25%
სხვა პარტიები	26%	529 218	0	0%
ჯამი	100%	2 035 455	150	100%

ბ) მმართველი ძალა აგროვებს ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას და მანდატების გაზრდილ კვალიფიციურ უმრავლესობას იღებს სატელიტი პარტიის მეშვეობით. ამ ვარიანტში მმართველ ძალასთან და მის სატელიტ პარტიასთან ერთად, ბარიერს გადალახავს მხოლოდ ერთი ოპოზიციური პარტია.

პარტიები	შედეგი, %	ხმები	მანდატები	%, მანდატები
მმართველი ძალა	55%	1 119 500	102	68%
პარტია 2	20%	407 091	37	25%
პარტია 3	6%	122 127	11	7%
სხვა პარტიები	19%	386 736	0	0%
ჯამი	100%	2 035 455	150	100%

სიმულაციების მესამე ჯგუფში განვიხილავთ ვარიანტებს, როდესაც მმართველი ძალა აგროვებს ფარდობით უმრავლესობას, მაგრამ ვერ იღებს მანდატების აბსოლუტურ უმრავლესობას. როგორც ჩვენი სიმულაციები აჩვენებს, ეს თეორიულად შესაძლებელია, თუ ბარიერს გადალახავს სამზე მეტი ოპოზიციური პარტია (4-5-6 პარტია), რომელთაგან ერთი ოპოზიციური პარტიის მხარდაჭერა რამდენჯერმე აღემატება სხვა ოპოზიციური პარტიებისას და უფრო ახლოს დგას ფარდობითი უმრავლესობით პირველ ადგილზე გასული პარტიის მაჩვენებელთან.

პარტიები	შედეგი, %	ხმები	მანდატები	%, მანდატები
მმართველი ძალა	43%	875 246	73	49%
პარტია 2	30%	610 636	51	34%
პარტია 3	9%	183 191	15	10%
პარტია 4	7%	142 482	11	7%
სხვა პარტიები	11%	223 900	0	0%
ჯამი	100%	2 035 455	150	100%

პარტიები	შედეგი, %	ხმები	მანდატები	%, მანდატები
მმართველი ძალა	47%	956 664	72	48%
პარტია 2	30%	610 636	46	31%
პარტია 3	9%	183 191	14	9%
პარტია 4	7%	142 482	11	7%
პარტია 5	5%	101 773	7	5%
სხვა პარტიები	2%	40 709	0	0%
ჯამი	100%	2 035 455	150	100%

პარტიები	შედეგი, %	ხმები	მანდატები	%, მანდატები
მმართველი ძალა	47%	956 664	72	48%
პარტია 2	26%	529 218	40	27%
პარტია 3	9%	183 191	14	9%
პარტია 4	7%	142 482	10	7%
პარტია 5	5%	101 773	7	5%
პარტია 6	5%	101 773	7	5%
სხვა პარტიები	1%	20 355	0	0%
ჯამი	100%	2 035 455	150	100%

თეორიულად, ასევე შესაძლებელია, რომ მმართველმა ძალამ ფარდობითი უმრავლესობით მაინც დაკარგოს მანდატების უმრავლესობა, თუ ორი ოპოზიციური პარტია სათითაოდ მოაგროვებს ხმების 20%-ზე მეტს ან ჯამურად – 50%-ს. თუმცა ამ ვარიანტის დამატებითი სიმულაციით დემონსტრირებისგან თავს ვიკავებთ, რადგან პოლიტიკური პარტიების არსებული მხარდაჭერა პროცესის ასე განვითარების შესაძლებლობას ნაკლებად რეალისტურს ხდის.

სიმულაციების მესამე ჯგუფი, თითქოს, ამცდარებს ჩვენს მტკიცებას, რომ არსებული სისტემა მიდრეკილია, ხელი შეუწყოს მმართველ ძალას, ფარდობითი უმრავლესობის მხარდაჭერით, მანდატების აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვებაში. თუმცა სწორედ აქ უნდა განვიხილოთ არსებულ სისტემაში მანდატების ბონუსის უზრუნველყოფი მთავარი ელემენტები, კერძოდ, საარჩევნო ბარიერი ფართო გაგებით, რომელიც მოიცავს მორჩენილი მანდატების განაწილების წესსაც.

ბარიერი ფართო გაგებით ასევე მოიცავს როგორც ე.წ. გამორიცხვის 5%-იან ბარიერს, რომელიც ამცირებს მანდატების განაწილებაში მონაწილე სუბიექტების რაოდენობას და ამით ზრდის ბარიერგადალახული პარტიებისთვის ხელმისაწვდომ მანდატების ბონუსს, ისე დამატებით ბარიერს

**საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემა:
ილიბერალური დემოკრატიიდან კონსტიტუციურ დემოკრატიაში**

საარჩევნო ბლოკების აკრძალვის გზით, რომელიც მცირე პარტიებს 5%-იანი ბარიერის გადალახვისა და მანდატების განაწილებაში ბლოკის მიერ წარდგენილი სიით მონაწილეობის შესაძლებლობას უსპობს.

პოლიტიკური სისტემის ფრაგმენტაცია და შესაბამისად, გაუნაწილებელი მანდატების სიმრავლე, პოლარიზაციის სტრატეგიასთან ერთად, დამატებით გამყარებულია საარჩევნო ბლოკების აკრძალვით.

მოცემულ რეალობაში გამორიცხვის 5%-იანი ბარიერისა და ბლოკების აკრძალვის კომბინაცია პარტიებს რთული დილემის წინაშე აყენებს – დარჩნენ პარლამენტის მიღმა, ან, გარკვეულწილად, გასწირონ პარტიული იდენტობა და შეერწყან სხვა პარტიის სიას. აღნიშნული ზღუდავს არა მხოლოდ პოლიტიკური გაერთიანების თავისუფლებას, არამედ ამცირებს ამომრჩევლის არჩევანის დიაპაზონსა და ხარისხსაც. შედეგად, გამორიცხვის ბარიერისა და ბლოკების აკრძალვის კუმულატიური ეფექტები ქმნიან გასანაწილებელი მანდატების ბონუსს, რომლითაც ყველაზე მეტად მმართველი ძალა ხეირობს, რაც სისტემის პროპორციულობისა და საარჩევნო თანასწორობის პრინციპს ეწინააღმდეგება. ამასთან, არსებითად უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს მცირე პარტიებს, რაც ნეგატიურად აისახება პოლიტიკურ პლურალიზმზე.

შემდეგ ნაწილში ვიმსჯელებთ საარჩევნო ბარიერის კონსტიტუციურ გამართლებაზე და დავასაბუთებთ, რატომ ეფუძნება საქართველოს პარლამენტის არჩევნებში დაწესებული ბარიერი (ბლოკების აკრძალვისა და 5%-იანი გამორიცხვის ბარიერის კომბინაცია) კონსტიტუციური არგუმენტების ბოროტად გამოყენებას და რატომ ემსახურება მანდატების ბონუსის შექმნას, რომლითაც რეჟიმის მმართველი ძალა ისარგებლებს.

3

საარჩევნო
ბარიერების
გამოყენება
მანდატების
გონების
შესაქმნელად

წარმომადგენლობითი დემოკრატია მთლიანი ელექტორატის შეზღუდულ წარმომადგენლობაში პროპორციულ ასახვას გულისხმობს, თუმცა, დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ ვერც ერთ საარჩევნო სისტემას ვერ ექნება სრულყოფილად პროპორციულობის, მით უფრო, არითმეტიკული პროპორციულობის ამბიცია.³⁴ აცნობიერებენ რა ამ მოცემულობას, საარჩევნო სისტემის მთავარ გამოწვევად ორ პოტენციურად კონფლიქტურ მოთხოვნას – წარმომადგენლობითობასა და მმართველობითუნარიანობას – შორის დამაკმაყოფილებელი ბალანსის დაცვას განსაზღვრავენ.³⁵

კერძოდ, საპარლამენტო მმართველობის კონსტიტუციურ სისტემებში, საარჩევნო სისტემა იმგვარად უნდა იყოს მოწყობილი, რომ უზრუნველყოს მაქსიმალურად პროპორციული წარმომადგენლობა და ამომრჩევლის ნების სამართლიანი ასახვა, თუმცა ისე, რომ თავიდან აიცილოს გადაჭარბებული ფრაგმენტაცია და შეინარჩუნოს პარლამენტის გონივრული სტრუქტურა, რომელიც გამარტივებს მთავრობის ფორმირებას და ეფექტიანი და სტაბილური მმართველობის შესაძლებლობას მოგვცემს.

გამოცდილების თანახმად, თავდაპირველი დათქმა, კერძოდ, აღიარება, რომ არითმეტიკული პროპორციულობის მიღწევა მაინც შეუძლებელია, მთავრობებს ისეთი ბარიერების შემოღებისკენ უბიძგებს, რომლებიც ხშირად ბალანსს პროპორციული წარმომადგენლობითობისა და ამომრჩეველთა ნების სამართლიანი ასახვის საზიანოდ არღვევს. შედეგად ვიღებთ საკანონმდებლო ორგანოს, რომელიც შესაძლოა შორს იყოს ამომრჩეველთა რეალური ნების პროპორციული ასახვისგან. დისპროპორციის ზომა დამოკიდებულია გამოყენებულ ბარიერ(ებ)სა თუ მათ კომბინაციაზე.

საარჩევნო სისტემის დისპროპორციის რაოდენობრივად გასაზომად, გალაგერის დისპროპორციულობის ინდექსი აღიარებული ფორმულაა. 2020 წლის არჩევნების შედეგების 2024 წლიდან ასამოქმედებელი პროპორციული ფორმულით გადანაწილების სიმულაციის გალაგერის ფორმულით გაანგარიშებამ მნიშვნელოვანი დისპროპორცია აჩვენა.³⁶ თუმცა ფორმულით დემონსტრირებული დისპროპორცია თავისთავად არაფერს გვეუბნება, რადგან, კონკრეტული კონსტიტუციური სისტემის კონტექსტში, შეიძლება სათანადო კონსტიტუციური გამართლება ჰქონდეს. შესაბამისად, მისი ნორმატიულ კონსტიტუციურ მოთხოვნებთან წინააღმდეგობის საჩვენებლად, მხოლოდ ამ დისპროპორციის რაოდენობრივი დემონსტრირება საკმარისი არ არის.

34. European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), CDL-AD(2008)037 – Comparative Report On Thresholds And Other Features Of Electoral Systems Which Bar Parties From Access To Parliament, Strasbourg, 15 December 2008, პარ. 13. [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2008\)037-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2008)037-e)

35. European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), CDL-AD(2010)007 – Report On Thresholds And Other Features Of Electoral Systems Which Bar Parties From Access To Parliament (II), Strasbourg, 15 March 2010, პარ. 72. [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2010\)007-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2010)007-e)

36. შოთა ნარსია, „რა საფრთხეებს შეივსებს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, წინასაარჩევნო ბლოკების აკრძალვის პირობებში, 5%-იანი ბარიერის გამოყენება?“ *სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)*, ივნისი, 2022.

ჩვენი ნაშრომის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია არა თავისთავად დისპროპორციის პრობლემატიზება, არამედ იმის ჩვენება, რომ სისტემის დისპროპორციულობა არ ემსახურება მის გასამართლებლად დასახელებულ ვალიდურ კონსტიტუციურ მიზნებს (სტაბილური და მმართველობისუნარიანი მთავრობისა და მედეგი პარტიული სისტემის ხელშეწყობა) და ბოროტად იყენებს აღნიშნულ სისტემურ კონსტიტუციურ არგუმენტებს.

ჩვენი მთავარი არგუმენტის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემის დისპროპორციულობა ქმნის მანდატების ბონუსს, რომლის ნამდვილი მიზანია, მოემსახუროს პლებისციტური ბელადის დემოკრატიის სისტემურ მიზნებს, კერძოდ, მოქმედი მმართველი ძალისთვის სტრუქტურულად ჩაშენებული უპირატესობის მიცემას, რაც ამცირებს არჩევნებზე მისი მარცხის შესაძლებლობას და ხელს უწყობს ძალაუფლებაში განუსაზღვრელი ვადით დატოვებას.

მოცემულ თავში განხილულია ნაწილი იმ საარჩევნო ბარიერებისა, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია 2024 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის.

3.1. გამორიცხვის ბარიერი

როდესაც საარჩევნო ბარიერზე ვსაუბრობთ, როგორც წესი, ის მისი ყველაზე ვიწრო და პირდაპირი მნიშვნელობით გვესმის. კერძოდ, საუბარია „გამორიცხვის ბარიერზე“, რომელიც, მანდატების განაწილების პროცესში ჩასართავად, პარტიებისთვის საჭირო მხარდაჭერის მინიმალურ ზღვარს ადგენს.³⁷ ეს არის პროცენტული მაჩვენებელი, რომლის ვერ გადალახვის შემთხვევაში, პარტია საპარლამენტო ორგანოში წარმომადგენლობისგან a priori გამოირიცხება. მიიჩნევა, რომ ამ სახის ბარიერი უმეტესწილად სწორედ პატარა (დაბალი მხარდაჭერის მქონე) პარტიების წარმომადგენლობას განსაზღვრავს.

გამორიცხვის ბარიერი ორი სახისაა: **ხელოვნური** (იგივე, სამართლებრივი ან ფორმალური) და **ბუნებრივი** (დაფარული, ეფექტური ან არაფორმალური).

ბუნებრივი ბარიერის არსებობა წარმომადგენლობის შეზღუდულობიდან (გასანაწილებელი მანდატების რაოდენობის შეზღუდულობიდან) ლოგიკურად გამომდინარეობს და სამართლებრივი ბარიერის არარსებობის პირობებშიც იჩენს თავს.³⁸ ეს ხმათა ის წილია, რომელიც პარტიას წინასწარ დადგენილი მანდატების განაწილებაში ჩასართავად სჭირდება. მართალია მას ე. წ. დაფარულ ბარიერსაც უწოდებენ, თუმცა ის განსაკუთრებით „ხილული“ პატარა პარტიებისთვის. ხელოვნური ბარიერი კი თითო მანდატის მისაღებად საჭირო ხმების წილზე შეთანხმებას და ამის სამართლებრივად დაფიქსირებას გულისხმობს.³⁹

გამორიცხვის ბარიერის არჩევანი ყოველთვის პოლიტიკური გადაწყვეტილებაა⁴⁰, რომელსაც, იდეალურ შემთხვევაში, სწორედ ზემოხსენებული ბალანსის უზრუნველყოფა უდევს საფუძვლად

37. Venice Commission, *CDL-AD(2008)037*, პარ. 13.

38. Ibid. პარ. 15.

39. Venice Commission, *CDL-AD(2008)037*.

40. European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), *CDL-AD(2002)009 – Opinion on the Unified Election Code of Georgia*, Strasbourg, 24 May 2002. პარ. 81. [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2002\)009-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2002)009-e)

საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემა: ილიბერალური დემოკრატიიდან კონსტიტუციურ დემოკრატიაში

და კონკრეტული ქვეყნის სპეციფიკის, ისტორიული გამოცდილებისა და პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით დგინდება.

შესაბამისად, ერთი ქვეყნის სისტემა, ბარიერის შერჩევისას, შეიძლება უფრო მეტად კონცენტრირდეს პარლამენტში პარტიათა სამართლიან წარმომადგენლობაზე და ამისთვის დააწესოს უფრო დაბალი ბარიერი, რომელიც მხოლოდ ძალიან მცირე ჯგუფებს გამოირიცხავს, ხოლო მეორემ, ბედმეტი ფრაგმენტაციის თავიდან არიდებისა და ერთი პარტიის მმართველი უმრავლესობის უზრუნველყოფის მიზნით, უფრო მაღალი ბარიერი დაადგინოს.⁴¹ ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში ზღვარი 7%-ის ფარგლებში ვარირებს.⁴² სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების გათვალისწინებით, 3%-დან 5%-მდე ბარიერი მიიჩნევა ყველაზე შესაფერისად.⁴³

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი მიზანი და მათ მისაღწევად შესაბამისი – მაღალი ან დაბალი – ბარიერის დაწესება, თავისთავად არაგონივრული არ არის.⁴⁴ თუმცა მნიშვნელოვანია, მიზანი გამოწვევების ობიექტური ანალიზის შედეგად დადგინდეს და ბარიერის შერჩევაც მკაცრად ამ მიზნის მიღწევის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდეს. მაგალითად, ვენეციის კომისიის მსჯელობით, მართალია 3%-იანი ბარიერი, ზოგადად, საკმაოდ დაბალ ბარიერს წარმოადგენს, თუმცა, თუ მისი დაწესების ლეგიტიმური მიზანია პარლამენტში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის ფართო მონაწილეობის უზრუნველყოფა, ის სავსებით მისაღებია.⁴⁵

ბარიერის დაწესებისას მნიშვნელოვანია იმის იდენტიფიცირება, თუ რა მიზანს ემსახურება კონკრეტული ბარიერი, რასაც სერბეთის მაგალითიც აჩვენებს. კერძოდ, ადგილობრივ არჩევნებში 3%-იანი ბარიერის 5%-მდე გაზრდის ნაწილში, ვენეციის კომისიამ განმარტა, რომ ზოგადად, 5%-იანი ბარიერი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს, თუმცა გაუგებარია, რატომ გაიზარდა ბარიერი. განსაკუთრებული ყურადღება კი გაამახვილა ამ ცვლილების უარყოფით ეფექტზე, რომელიც, ძირითადად, მცირე პარტიებისა და მოქალაქეების მიერ წარდგენილი სიებისთვის იყო აქტუალური.⁴⁶ საქართველოსთან მიმართებით, 2002 წლის მოსაზრებაში ვენეციის კომისიამ მაღალ ბარიერად შეაფასა 7%, რომელიც, ნაკლებ სავარაუდოა, „პროპორციული წარმომადგენლობის“ დასაშვებ საზღვრებში დარჩენილიყო.⁴⁷

კომისიის მოსაზრებით, ასეთი მაღალი ბარიერი მაჟორიტარული სისტემის ეფექტის მატარებელია, რამდენადაც ის გამოირიცხავს შესამჩნევი რაოდენობის პარტიების პარლამენტში წარმომადგენლობას, ძლიერი პარტიების სასარგებლოდ. ამას მოწმობს 1995 წლისა და 1999 წლის საპარლამენტო არჩევნები. თუმცა, პირველ შემთხვევაში, სურათი გაცილებით უფრო მძიმე იყო,

41. European Court of Human Rights, “Guide on Article 3 of Protocol No. 1 to the European Convention on Human Rights – Right to free elections,” Updated on 31 August 2022. პარ. 74. https://www.echr.coe.int/documents/d/echr/Guide_Art_3_Protocol_1_ENG

42. 2022 წლამდე, თურქეთი ინარჩუნებდა 10%-იან ბარიერს, რომელიც განხორციელებული ცვლილებებით 7%-მდე ჩამოვიდა.

43. European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), CDL-AD(2006)002rev. – Opinion on the Law on Elections of People’s Deputies of Ukraine, Strasbourg, 2 March 2006. პარ. 86. [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2006\)002rev-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2006)002rev-e)

44. European Court of Human Rights, “Guide on Article 3 of Protocol No. 1. პარ. 74.

45. European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), CDL-AD(2009)019 Opinion on the Draft Law amending the Law on election of People’s Deputies of Ukraine, Strasbourg, 20 March 2009. პარ. 23. [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2009\)019-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2009)019-e)

46. European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), CDL-AD(2009)039 Joint Opinion on Draft Laws on Electoral Legislation of Serbia, Strasbourg/Warshaw, 12 October 2009. პარ. 65. [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2009\)039-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2009)039-e)

47. Venice Commission, CDL-AD(2002)009, პარ. 81.

რადგან 61.5%-ის მხარდაჭერა დაიკარგა. მომდევნო არჩევნებში ეს რიცხვი 25%-მდე შემცირდა. შესაბამისად, ვენეციის კომისიის განმარტებით, 7%-იანი ბარიერი მაღალი იყო არა მხოლოდ ნორმატიულ განზომილებაში, არამედ საქართველოში არსებული პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებითაც.

შესაბამისად, ხელოვნური ბარიერის დონის განსაზღვრისას, უმნიშვნელოვანესია პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინება და არსებული გამოწვევების დეტალური ანალიზი. ამ ფაქტორების მხედველობაში მიუღებლად და მათთან შეუსაბამოდ დადგენილი ნებისმიერი სხვა ზღვარი, იქნება მართლაც ხელოვნური, ვერ მოემსახურება დემოკრატიულ მიზნებს და შეიძლება მანიპულაციების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად იქცეს.

ეს კი განსაკუთრებით მოსალოდნელია პლებისციტურ დემოკრატიებში, სადაც მმართველობისუნარიანობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა ერთი პირის/ძალის მიერ ერთპიროვნულად და დაუბრკოლებლად, შეკავებისა და გაწონასწორების სრული მოშლით, მართვის მიღწევასა და ძალაუფლების სტაბილურად შენარჩუნებაში ითარგმნება. ამისთვის მნიშვნელოვანია ისეთი მექანიზმების შექმნა, რომლებიც, ერთი მხრივ, საკანონმდებლო ორგანოს ფრაგმენტაციას გამორიცხავს, ხოლო, მეორე მხრივ, ოპოზიციის ფრაგმენტაციაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს. შესაბამისად, პლებისციტური ბელადის დემოკრატიაში მნიშვნელოვანია ზემოთ ხსენებული ბალანსის დარღვევა, დისპროპორციისა და მანდატების პრემიის ზრდა, რათა შესაძლებელი გახდეს ფარდობითი უმრავლესობის მხარდაჭერით, სრული პოლიტიკური ძალაუფლების ან კონსტიტუციის შეცვლის ძალაუფლების ხელში ჩაგდება.

სწორედ ეს არის მთავარი კითხვა: როდის და რა პირობებში უწყობს ხელს საარჩევნო ბარიერი დისპროპორციულ შედეგებს და რა გავლენა აქვს მანდატების პრემიაზე?

ცალკე აღებული გამორიცხვის ბარიერი შესაძლოა არ წარმოადგენდეს შედეგებზე გავლენის მოსახდენად საკმარის ინსტრუმენტს. ამ ვარაუდის საფუძველს თუნდაც ბუნებრივ ბარიერზე დაკვირვება იძლევა. სიტყვა „ბუნებრივი“, ერთი შეხედვით, გვიტოვებს განცდას, რომ ის გარე ძალებისგან დამოუკიდებლად დგინდება, თუმცა ეს არ გამორიცხავს მასზე მანიპულაციების შესაძლებლობას.

განსაკუთრებით ეს იმ შემთხვევაშია აქტუალური, როდესაც ქვეყანა რამდენიმე მრავალმანდატიან ოლქად არის დაყოფილი. ოლქების რაოდენობისა და მათი საშუალო სიდიდის (რაც უფრო პატარაა ოლქი (მცირეა მანდატების რაოდენობა), უფრო მეტი ხმა სჭირდება პარტიას მანდატისთვის) გარდა, შეიძლება ბუნებრივ ბარიერზე შედარებით ნაკლებ გავლენას ახდენდეს ისეთი ფაქტორებიც, როგორებიცაა მანდატების განაწილების ფორმულა და თავად პარლამენტის ზომა.⁴⁸ საქართველოს შემთხვევაში, სადაც პროპორციული არჩევნებისთვის ერთი მრავალმანდატიანი ოლქი გვაქვს, ბუნებრივ ბარიერზე სწორედ ეს უკანასკნელი ფაქტორები ახდენს გავლენას, თუმცა – მცირედს. მაგალითად, საქართველოს შემთხვევაში, ბუნებრივი ბარიერის განსაზღვრისას, მნიშვნელოვანია, თუ რამდენი მანდატია გასანაწილებელი. თუ 150 მანდატის პირობებში ბუნებრივი ბარიერი 0.67%-ია, ნაკლები მანდატის შემთხვევაში მცირედით იზრდება (მაგ.: 120 მანდატის პირობებში, ბუნებრივი ბარიერი 0.83%-ია), ხოლო მანდატების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში – იკლებს (მაგ.: 200 მანდატი – 0.5%). ბუნებრივ ბარიერზე საუბრისას, საინტერესოა საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების ანალიზიც. კერძოდ, ამ არჩევნებისთვის

48. Venice Commission, *CDL-AD(2008)037*, პარ.15-16.

საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემა: ილიბერალური დემოკრატიიდან კონსტიტუციურ დემოკრატიაში

უპრეცედენტოდ შემცირდა ბარიერი და პარტიებისთვის 1% შეადგინა. შესაბამისად, ყველაზე მეტად მიუახლოვდა ბუნებრივ ბარიერს. ამ შემთხვევაში, ბარიერგადაულახავი პარტიების ჯამური წილიც შესაბამისად მინიმალური იყო. ასევე, დისპროპორციის თავიდან ასარიდებლად, დადგენილი იყო სპეციალური შეზღუდვები და მარჟები, თუმცა ქართულმა ოცნებამ, 48%-იანი მხარდაჭერის პირობებში, მანდატების პრემია მაინც მიიღო. მას მანდატების მთლიანი რაოდენობის 60% შეხვდა, რაც, გარკვეულწილად, კვლავ არსებითად შერეული დამოუკიდებელი სისტემის შენარჩუნების შედეგია.

შესაბამისად, ცხადი ხდება, რომ საარჩევნო ბარიერის მხოლოდ გამორიცხვის ბარიერამდე დაყვანა, მისი ზედმეტად ვიწრო განმარტების შედეგია. **ფართო გაგებით, საარჩევნო ბარიერი** ნებისმიერი ის წინააღმდეგობაა, რომელსაც პარტია პარლამენტში შეღწევის გზაზე აწყდება. მრავალი ასეთი ბარიერი არსებობს და მათი უმეტესი ნაწილი თავს იჩენს უშუალოდ არჩევნების დღემდე ბევრად ადრე. მეტიც, თავად საარჩევნო სისტემა (მაჟორიტარული, პარალელური, პროპორციული) და მისი მახასიათებლები შეიძლება პარტიისთვის უპირველეს ბარიერს წარმოადგენდეს.⁴⁹ ამ სისტემის შიგნით მანდატების განაწილების წესი, ბლოკების/წინასაარჩევნო კოალიციების შექმნის უფლება, ისევე, როგორც პარტიის დაფინანსება, მედიაგაშუქება, პარტიად რეგისტრაციის წინაპირობები, ოლქების დაყოფა და ბევრი სხვა გარემოება, შეიძლება ასევე მნიშვნელოვან წინააღმდეგობად ექცეს პარტიას, განსაკუთრებით კი – პატარა პარტიებს.

ვენეციის კომისიამ არაერთხელ გაუსვა ხაზი, რომ კონკრეტული ბარიერი სწორედ ამ მექანიზმებთან ერთობლიობაში უნდა შეფასდეს და არა – ცალკე აღებულიად, თუ, რა თქმა უნდა, შეუიარაღებელი თვალთვალ არ არის შესამჩნევი, რომ ის გაუმართლებლად მაღალია. მაგალითად, მოლდოვას კანონმდებლობაში 2008 წელს განხორციელებული ცვლილებებით, 4%-დან 6%-მდე გაზრდილი ბარიერი მიიჩნია ზედმეტად მაღალ ბარიერად (მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ქვეყანას უფრო მაღალი ბარიერიც აქვს), რამაც შეიძლება გაზარდოს დაკარგული ხმების რაოდენობა, რაც განსაკუთრებით პრობლემურია ბლოკების აკრძალვასთან ერთად. შესაბამისად, ბარიერის 4%-მდე დაწვევის რეკომენდაცია გასცა.⁵⁰ საინტერესოა თურქეთის შემთხვევის განხილვაც, სადაც, ევროპის ქვეყნებს შორის, ყველაზე მაღალი ხელოვნური – 10%-იანი – ბარიერი იყო დაწესებული. მართალია, 2008 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ზოგადად მაღალი ბარიერი იყო, ქვეყანაში არსებული კონტექსტური გარემოებების გათვალისწინებით, დიდი პალატის მოსამართლეთა უმრავლესობამ კონვენციის დარღვევა ვერ დაინახა. დიდმა პალატამ სახელმწიფოს არგუმენტი გაიზიარა და მაღალი ბარიერი ჭარბი ფრაგმენტაციის თავიდან აცილების პროპორციულ საშუალებად მიიჩნია, იმ დათქმით, რომ ამ ბარიერის პარალელურად, არსებობდა სხვა მექანიზმები (ინდივიდუალური კანდიდატის დაყენება, რომელსაც ამ სახის ბარიერის გადალახვა არ სჭირდება, ან ერთი პარტიის წარმომადგენლების სხვა პარტიის სიით გასვლა), რომლებიც მაღალი ბარიერის უარყოფით შედეგებს აზღვევდა.⁵¹

საინტერესოა ამავე გადაწყვეტილებაზე მოსამართლეთა უმცირესობის აზრი, რომელიც, უმრავლესობისგან განსხვავებით, თურქეთის მთავრობის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და არ-

49. Venice Commission, *CDL-AD(2008)037*, პარ. 5.

50. European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), *CDL-AD(2008)022 Joint Opinion on the Election Code of Moldova*, Strasbourg, 23 October 2008, პარ. 15. [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdf-file=CDL-AD\(2008\)022-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdf-file=CDL-AD(2008)022-e)

51. *Yumak And Sadak v. Turkey* [GC], 10226/03 <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-87363>

გუმენტაციით ვერ დარწმუნდა, რომ არსებობდა რაიმე განსხვავებული კონტექსტი, რომელიც, სა-გამონაკლისო წესით, ასეთი მაღალი ბარიერის დაწესებას გაამართლებდა.⁵²

ამასთან, უმცირესობაში მყოფმა მოსამართლეებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს უმრავლესობის არგუმენტზე, თითქოს ასეთი მაღალი ბარიერის უარყოფით შედეგებს გარკვეული დაცვის საშუალებები აბალანსებს. მათ აღნიშნეს, რომ „სტრატეგიები“, რომელთა გამოყენებასაც სწორედ არსებული საარჩევნო სისტემა, განსაკუთრებით კი, მაღალი ბარიერი (ბლოკების შექმნის აკრძალვასთან ერთად) აიძულებს პარტიებს და რომლებიც სასამართლომ ერთგვარ დაცვის სა-შუალებად მიიჩნია, სინამდვილეში ამომრჩეველთან „დამალობანას თამაშია“, გაუმჭვირვალედ აქცევს მთლიანად საარჩევნო პროცესს და კონვენციასთან თავსებადი არ არის.

ამასთან, ცხადია, რომ ამ სახის „სტრატეგიები“ აცდენილია იმ ლეგიტიმურ მიზანს, რომლის მისაღ-წევადაც მაღალი ბარიერი დაწესდა. კერძოდ, თუკი მიზანი ფართო ფრაგმენტაციის თავიდან არი-დება იყო, პატარა ჯგუფები, გვერდითი მექანიზმებით, პარლამენტში მაინც მოხვდნენ. ამდენად, ფრაგმენტაციას ხელი არ შეშლია, ხოლო პარტიული სისტემა კიდევ უფრო დაზიანდა.⁵³

ასევე საყურადღებოა განსხვავებული აზრის ავტორი ოთხი მოსამართლის მიერ მოხმობილი ციტატა: „ის, რაც შეიძლება ჩაითვალოს გამართლებულად, როგორც განსაკუთრებული ზომა ჯერ კიდევ მყიფე დემოკრატიის გასამყარებლად, ძნელად შეიძლება გამართლდეს ახლა, როდესაც დე-მოკრატია ითვლება საკმარისად სტაბილურად და მომწიფებულად, რომ ევროკავშირის წევრობა მოითხოვოს“.⁵⁴ მოსამართლეების მტკიცებით, თუ დემოკრატიული სისტემა სათანადოდ არ ფუნქციონირებს, მას „სტრატეგიები“ ვერ გამოასწორებს.⁵⁵

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვიმსჯელოთ მაღალი ბარიერის ფსიქოლოგიურ ეფექტზეც, რომელმაც შეიძლება როგორც პარტიების, ისე ამომრჩეველის ქცევაც შეცვალოს, რაც, საბო-ლოო ჯამში, პარტიული სისტემის განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს. კერძოდ, პარტიებმა შეიძ-ლება მიმართონ სხვადასხვა სტრატეგიას იმისათვის, რომ გაზარდონ პარლამენტში მათი ან, მინიმუმ, მათი ცალკეული წარმომადგენლების მოხვედრის ალბათობა; შევიდნენ კოალიციაში ისეთ პარტიებთან, რომლებთანაც იდეოლოგიური კვეთა არ აქვთ.

თავის მხრივ, გონივრულად ინფორმირებული ამომრჩეველი ცდილობს, რომ მისი ხმა არ დაიკარ-გოს და როცა ხედავს, რომ მისთვის მისაღები პარტიის მიერ ბარიერის გადალახვის ალბათობა მინიმალურია, არჩევანს იმ ალტერნატიულ პარტიებს შორის აკეთებს, რომლებიც მის თავდაპირ-ველ არჩევანს არ წარმოადგენდა, თუმცა დაწესებული ბარიერის გადალახვის შედარებით მაღალი შანსი აქვს.⁵⁶ ასეთ შემთხვევაში, ერთი შეხედვით, ამომრჩეველი თავად იღებს გადაწყვეტილებას. თუმცა სადავოა, რამდენად არის ეს მისი თავისუფალი არჩევანი. ეს კითხვა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც, შესაძლოა, მას პირდაპირ არავინ აიძულებს, მაგრამ მის გონებაზე სხვადასხვა მანი-პულაციური ზემოქმედების შედეგად, იძულებულია, აირჩიოს არა სასურველი, არამედ ისეთი ქმედება, რომელიც მას ნაკლებად დააზიანებს.

52. Yumak And Sadak v. Turkey [GC], 10226/03, Joint Dissenting Opinion of Judges TULKENS, VAJIĆ, JAEGER AND ŠIKUTA

53. Ibid.

54. Ibid. პარ. 6.

55. Ibid. პარ. 4.

56. Venice Commission, *C DL-AD(2010)007*, პარ. 58-60.

საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემა: ილიბერალური დემოკრატიიდან კონსტიტუციურ დემოკრატიაში

ამასთან, პატარა პარტიები, რომლებიც არჩევნებზე მხარდამჭერებს პრაქტიკული გათვლების გამო კარგავენ, დიდი ალბათობით, ვერ შეძლებენ გადარჩენას, რადგან ყოველთვის თამაშგარეთ დარჩენისთვის არიან განწირული. ამ თამაშში დამოუკიდებლად შესვლის თვალსაზრისით, მაღალი ბარიერი შეიძლება გადათქმევინების ეფექტის მქონე აღმოჩნდეს ახალი ძალებისთვისაც. შედეგად, არჩევნებიდან არჩევნებამდე სურათი ნაკლებად იცვლება.

3.2. საარჩევნო ბლოკების აკრძალვა

როგორც გამორიცხვის ბარიერზე მსჯელობიდან გამოიკვეთა, განსაკუთრებით მაღალი გამორიცხვის ბარიერის დაძლევის მიზნით, საარჩევნო პროცესში გამოყენებული ერთ-ერთი კარგად აპრობირებული სტრატეგია საარჩევნო ბლოკების შექმნაა. ბლოკები პარტიებს აძლევს საშუალებას, წარადგინონ ერთიანი საარჩევნო სია და მხარდამჭერთა ხმების ორგანიზებით, მოიპოვონ შედარებითი უპირატესობა კონკურენტებზე.

საარჩევნო ბლოკების შექმნა ეფექტური საშუალებაა როგორც მცირე პარტიებისთვის – საარჩევნო ბარიერის გადასალახად და მანდატების მოსაპოვებლად, ისე დიდი პარტიებისთვის – ხმათა უმრავლესობის მოპოვებისა და მთავრობის დაკომპლექტებისთვის.⁵⁷

შესაბამისად, ბლოკების აკრძალვა ართულებს ამ მიზნების მიღწევას. ერთი მხრივ, ეს ზრდის გამორიცხვის ბარიერის ეფექტს და ამომრჩეველთა ხმების დაკარგვის რისკს. მეორე მხრივ, ბლოკების აკრძალვა ხელს უწყობს მმართველი პარტიის უდიდეს პოლიტიკურ ძალად დარჩენას, რის გამოც, ასევე, აქვს მანდატების პრემიის აღრესატად მმართველი პარტიის განსაზღვრის ეფექტი.

საარჩევნო ბლოკების შექმნას, ისევე, როგორც თურქეთის მაგალითზე განხილულ სტრატეგიებს, ახალისებს საარჩევნო სისტემების არაპროპორციულობა და თავად პარტიების დიდი რაოდენობა.⁵⁸ კერძოდ, რაც უფრო არაპროპორციულია საარჩევნო სისტემა, მით უფრო დიდია საარჩევნო ბლოკის შექმნის სტიმული. ისეთ სისტემებში, რომლებშიც საარჩევნო წესები უპირატესობას მუდმივად უფრო დიდ პარტიებს (მათ შორის, საარჩევნო ბარიერი) ანიჭებს, პარტიებისთვის გაცილებით სასარგებლო ხდება საარჩევნო ბლოკების შექმნა და ხმების კონსოლიდაცია.⁵⁹

სხვადასხვა გაუმჭვირვალე სტრატეგიისგან განსხვავებით, რომლებიც დემოკრატიულ პროცესებთან ნაკლებად თავსებადია, ბლოკების შექმნა აღიქმება გაერთიანების თავისუფლების ნაწილად, რომლის შეზღუდვაც დასაშვებია შესაბამისი ლეგიტიმური საფუძვლის არსებობის შემთხვევაში.⁶⁰

57. „წინასაარჩევნო ბლოკის სახით არჩევნებამდე დაანონსებული პოტენციური მთავრობა უფრო დიდი ალბათობით შეიქმნება, ვიდრე მსგავსი პოტენციური მთავრობა, რომელიც არ არის დაანონსებული“ [და რომელსაც არ აქვს ჩამოყალიბებული წინასაარჩევნო ბლოკი]. Lanny W. Martin and Randolph T. Stevenson, “Government Formation in Parliamentary Democracies,” *American Journal of Political Science*, Vol. 45, no. 1 (2001): 33-50, 34, 39.

საარჩევნო ბლოკების ეფექტურობას ასევე აჩვენებს მათ მიერ მთავრობის დაკომპლექტების სტატისტიკა – იხ. Sona N. Golder, Pre-electoral coalitions in comparative perspective: A test of existing hypotheses, *Electoral Studies*, Volume 24, Issue 4, 2005, 646.

58. Sona N. Golder, “Pre-electoral coalitions in comparative perspective: A test of existing hypotheses,” *Electoral Studies*, Vol.24 Issue 4, (2005): 647-648, 657, 659.

59. *Ibid.*, 659.

60. European Commission for Democracy Through Law (Venice Commission) and OSCE/Office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR) CDL-AD (2011)037 – Joint Opinion no 635/2011 on the Draft Law on Election of People’s Deputies of Ukraine, Strasbourg, 2011, პარ. 70.

ამასთან, თუ ბლოკები განსაკუთრებით დიდი რაოდენობის პარტიებს აერთიანებს, შეიძლება მართლაც დაიკარგოს პარტიული იდეოლოგია და ბლოკი პარტიებისთვის მხოლოდ პარლამენტში შეღწევის მექანიზმად დავიდეს. თუმცა აკადემიურ ლიტერატურაში ასევე გავრცელებულია საპირისპირო, დადებითი მოსაზრება ბლოკის ეფექტების შესახებ, მასში შემავალ პარტიებზე.

კერძოდ, გავრცელებული მოსაზრებით, პროპორციული წარმომადგენლობის სისტემაში საარჩევნო ბლოკები უზრუნველყოფს ამ პარტიების პირდაპირ ანგარიშვალდებულებას ამომრჩეველთან.⁶¹ ჩვეულებრივ, პროპორციული სისტემით ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველისთვის რთულია იმის წინასწარ განჭვრეტა, რომელი პარტიები დააკომპლექტებენ მთავრობას. მაჟორიტარული სისტემისგან განსხვავებით, სადაც უმრავლესობის ხმების მქონე პარტია/პირი იგებს არჩევნებს და მართავს ქვეყანას, პროპორციული სისტემით არჩევნების შემდეგ, მთავრობის დაკომპლექტება, დიდწილად, პარტიებს შორის მოლაპარაკების/ვაჭრობის შედეგია, რაზეც ამომრჩეველს პირდაპირი გავლენა არ აქვს.

საარჩევნო ბლოკების ფორმირებით, ახალი მთავრობის ალტერნატივები უფრო ცხადი ხდება, რაც ზრდის ანგარიშვალდებულებას და, შეიძლება ვიდავოთ იმაზეც, რომ ახალი მთავრობის ლეგიტიმურობის ზრდასაც იწვევს. დამატებით, საარჩევნო ბლოკების მნიშვნელობის კარგი ინდიკატორია ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალების სიჯიუტე და მცდელობები, რაიმე ხერხით შენარჩუნდეს მათი აკრძალვა.

ისეთ პირობებში, როდესაც მაღალია, ერთი მხრივ, ოპოზიციის ფრაგმენტაცია, ხოლო მეორე მხრივ, საარჩევნო ბარიერი, იზრდება მანდატების ბონუსი და ის გამამრუდებელი ეფექტები, რომლებიც ხელს უწყობს მმართველი პოლიტიკური ძალების ხელისუფლებაში დატოვებას. 2017 წლის ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი ბლოკების შექმნის შესაძლებლობას არ იცნობს. შესაბამისად, 2024 წლის არჩევნები იქნება პირველი შემთხვევა საქართველოს საარჩევნო ისტორიაში, რომელზეც აკრძალული იქნება საარჩევნო ბლოკების შექმნა.

ვენეციის კომისიამ საქართველოს საკონსტიტუციო ცვლილებებით საარჩევნო ბლოკების აკრძალვა უარყოფითად შეაფასა. კერძოდ, ვენეციის კომისია არ დააკმაყოფილა საკონსტიტუციო კანონპროექტის განმარტებით ბარათში სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ მითითებულმა მიზეზებმა, რომლებიც იყო: 1) საქართველოში ინსტიტუციონალიზებული პარტიული სისტემის განვითარება; 2) პოლიტიკური პარტიების მიერ საარჩევნო ბლოკების შექმნით ისეთი დამატებითი პრივილეგიების ხელოვნურად მოპოვების თავიდან აცილება, როგორებიცაა სახელმწიფო დაფინანსება, უფასო სარეკლამო დრო, საარჩევნო ადმინისტრაციაში წევრები და წარმომადგენლები და ა.შ.⁶² ვენეციის კომისიის დასკვნით:

„რაც უნდა იყოს პოლიტიკური ბლოკების აკრძალვის მიზეზები, ეს ცვლილება პატარა პარტიებს არ მისცემს შესაძლებლობას, გადალახონ 5%-იანი პარტიული ბარიერი და ზრდის მეტი ხმის დაკარგვის რისკს.“⁶³

61. Ibid., 646.

62. European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), CDL-AD(2017)013 – Opinion no 876/2017 on the Draft Revised Constitution, Strasbourg, 2017, პარ.34.

63. Ibid., პარ. 35.

საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემა: ილიბერალური დემოკრატიიდან კონსტიტუციურ დემოკრატიამდე

თავის მხრივ, ვენეციის კომისია აღიარებს სხვადასხვა საარჩევნო ბარიერის არსებობის გამო, საარჩევნო ბლოკების ფორმირების მოსალოდნელობას.⁶⁴ ბარიერების მარტივად გვერდის ავლის თავიდან ასაცილებლად, შესაძლებელია საარჩევნო ბლოკებისთვის უფრო მაღალი ბარიერები იყოს დადგენილი, თუმცა ვენეციის კომისიის მითითებით, ეს იშვიათია.⁶⁵

საქართველოს პირობებში, დიფერენცირებული ბარიერი ბოლო, 2020 წლის, საპარლამენტო არჩევნებში ამოქმედდა. კერძოდ, პარტიის შემთხვევაში, ბარიერი მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების არანაკლებ 1%-ს შეადგენდა, ხოლო ბლოკების შემთხვევაში ბარიერი განისაზღვრებოდა არანაკლებ 1%-სა და ბლოკში შემავალი პარტიების რაოდენობის ნამრავლით.

საინტერესოა, რომ დიფერენცირებულ ბარიერთან დაკავშირებით, არ არის მკაცრად გამოყალიბებული მიდგომა. საქართველოს შემთხვევაში, ჯერ კიდევ 2002 წლის მოსაზრებაში ჩნდება დიფერენცირებული ბარიერის მოდელის შემოღების რეკომენდაცია. კერძოდ, ვენეციის კომისია უთითებს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ადრეულ 90-იან წლებში გამოყენებულ მოდელზე და მას არამყარი პარტიული სისტემის ხელახალი ინსტიტუციონალიზაციისთვის „გამოგონილ“ გადაწყვეტის გზად მოიხსენიებს. ეს მოდელი პარტიებისა და ბლოკებისთვის განსხვავებული ბარიერის დაწესებას გულისხმობს. მაგალითად, პარტიებისთვის – 4%-იანი ბარიერის, ხოლო ბლოკებისთვის შედარებით მაღალი ბარიერის დაწესებას, იმის მიხედვით, თუ რამდენი პარტია შევა თითოეულ ბლოკში (მაგ.: ორი პარტიისგან შემდგარი ბლოკისთვის – 6%; სამი და მეტი პარტიის გაერთიანების შემთხვევაში – 8%).

კომისიის შეფასებით, ამ ქვეყნებში დიფერენცირებული ბარიერის შემოღებამ პარტიული სისტემის კონსოლიდაციაზე, მთლიანობაში, დადებითი გავლენა იქონია, რადგან ის იძლეოდა არა მხოლოდ სტიმულს კოალიციების შესაქმნელად, არამედ იმ პატარა პარტიების შერწყმისთვისაც, რომლებსაც მსგავსი პროგრამები ჰქონდათ და ამით ხელს უწყობდნენ პარლამენტის ფარგლებში შიდაფრაქციული ერთობის გაზრდას.⁶⁶

თუმცა 2016 წლის ვენეციის კომისიისა და ეუთო/ODIHR-ის ერთობლივი მოსაზრება ეჭვქვეშ აყენებს ამ მიდგომას. კერძოდ, სომხეთში პარტიებისთვის 5%-იანი და წინასაარჩევნო ალიანსებისთვის (იგივე – საარჩევნო ბლოკებისთვის) 7%-იანი ბარიერის შესახებ მოსაზრების თანახმად:

„არ არის ცხადი, რომ უფრო მაღალი საარჩევნო ბარიერი უნდა იყოს დაწესებული წინასაარჩევნო ალიანსებისთვის, ვინაიდან ალიანსებმა შეიძლება უზრუნველყოს მეტი თანამშრომლობა და სტაბილური მთავრობა. შესაბამისად, ბარიერი ალიანსებისთვის შესაძლებელია იგივე იყოს, რაც პოლიტიკური პარტიებისთვის.“⁶⁷

გასათვალისწინებელია, რომ 2024 წელს ბლოკების შეზღუდვა იმოქმედებს 5%-იან ბარიერთან ერთად, რომელიც, წინა წლის ბარიერთან შედარებით (პარტიისთვის დადგენილი ბარიერი), ოთხი

64. Venice Commission, *CDL-AD(2010)007*, პარ.58.

65. Ibid.

66. Venice Commission, *CDL-AD(2002)009*, პარ. 82.

67. European Commission for Democracy Through Law (Venice Commission) and OSCE/Office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR), *CDL-AD(2016)019 – Joint Opinion no 835/2016, ELE-ARM/286/2016 on the Draft Electoral Code of Armenia*, Strasbourg, Warsaw, 2016.

პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი. შესაბამისად, ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც საარჩევნო სუბიექტად მხოლოდ პარტია შეიძლება იყოს წარმოდგენილი, რომელმაც დამოუკიდებლად უნდა გადალახოს 4-ჯერ გაზრდილი ხელოვნური ბარიერი.

ამიტომ კიდევ უფრო აქტუალური ხდება ვენეციის კომისიის გაფრთხილება, რომელიც თითოეულ ბარიერთან მიმართებით მსჯელობისას იჩენს თავს. კერძოდ, შესაძლოა ცალკე აღებული რომელიმე ბარიერი არ წარმოადგენდეს განსაკუთრებულ პრობლემას, თუმცა ერთობლიობაში იქცეს პატარა პარტიების გამორიცხვის ეფექტიან მექანიზმად.

საარჩევნო ბლოკების აკრძალვა სწორედ ასეთი პრობლემური საკითხია, რომელიც მნიშვნელოვნად აძლიერებს საარჩევნო სისტემის სხვა ბარიერების (მათ შორის, გამორიცხვის საარჩევნო ბარიერის) ეფექტურობას და ართულებს როგორც გამორიცხვის ბარიერის გადალახვას – პატარა პარტიებისთვის, ისე მთავრობის ფორმირებას – მთელი ოპოზიციური სპექტრისთვის. ბლოკების დაშვების წარმატებულ გამოცდილებად შეგვიძლია მივიჩნიოთ საქართველოს არჩევნების ისტორიაში 2012 წელს ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლის ფაქტი. კერძოდ, 2012 წლის არჩევნებში მთავარ ოპოზიციურ ძალას წარმოადგენდა საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“, რომელიც, თავის მხრივ, ექვსი რეგისტრირებული პარტიისგან შედგებოდა.⁶⁸

შესაბამისად, ნათელი ხდება, რომ პარტიული სისტემის გაჯანსაღების მიზანი, რომელიც „ქართული ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობამ ბლოკების აკრძალვის გასამართლებელ არგუმენტად მოიყვანა, კონსტიტუციის ბოროტად გამოყენებისა და ინსტრუმენტალიზაციის მაგალითია. ბლოკების აკრძალვის რეალური მიზანი მის ცხადად დაკვირვებად შედეგში უნდა ვეძებოთ. კერძოდ, ის ზრდის გამორიცხვის ხელოვნური ბარიერის ეფექტს, ხელს უშლის პოლიტიკურ პარტიებს, მონაწილეობა მიიღონ მანდატების განაწილებაში და ამით ხელოვნურად ზრდის მანდატების ბონუსს, რომლის მიღებაც მმართველ ძალას ფარდობითი ან აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერით შეუძლია.

ამრიგად, ბლოკების საკონსტიტუციო აკრძალვა და გამორიცხვის 5%-იანი ბარიერი ქმნიან ილიბერალური, პლებისციტური ბელადის დემოკრატიის შენარჩუნებისთვის ხელსაყრელ საარჩევნო სისტემას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არ შეგვიძლია იმის პროგნოზირება, როგორი ეფექტი ექნება მხოლოდ ბლოკების აკრძალვას მანდატების ბონუსზე. თუმცა, არსებულ პოლიტიკურ კონტექსტში შეგვიძლია რაოდენობრივი დემონსტრირება იმისა, თუ რა გავლენა შეუძლია მოახდინოს გამორიცხვის ბარიერის 2%-მდე შემცირებამ, ბლოკების აკრძალვის ძალაში დატოვების შემთხვევაში.

ჩვენს სიმულაციებში განვიხილავთ 2023 წლის ნომერისთვის გამოქვეყნებული სამი სხვადასხვა სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებს (Edison Research⁶⁹, Gorbi⁷⁰, IRI⁷¹), სადაც მმართველ ძალას, ორი მათგანის (Edison Research, IRI) მიხედვით, აქვს ფარდობითი უმრავლესობის

68. „კონსერვატიული პარტია“, „ეროვნული ფორუმი“, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „თავისუფალი დემოკრატები“ და „რესპუბლიკური პარტია“.
69. პარტიების რეიტინგი – Edison Research-ის კვლევა, 10 ნოემბერი, 2023, <https://formulanews.ge/News/101196>
70. GORBI: დღეს რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდა, რესპონდენტთა 55% ხმას „ქართულ ოცნებას“ მისცემდა, მეორე ადგილზე კი 20%-ით „ნაცმოძრაობა“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“ გავიდოდნენ, 14 ნოემბერი 2023, <https://imednews.ge/ge/politika/313289/gorbi-dges-rom-saparlamento-archevnebi-tardebodes-responentta-55-khmas-qartul-otsnebas-mistsemda-meore-adgilze-ki-20it-natsmodzraoba-da-strategia-agmashenebeli-gavidodnen>
71. Georgian Survey of Public Opinion | September – October 2023, <https://www.iri.org/resources/georgian-survey-of-public-opinion-september-october-2023/>

**საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემა:
ილიბერალური დემოკრატიიდან კონსტიტუციურ დემოკრატიაზე**

მხარდაჭერა, ხოლო ერთი მათგანის შემთხვევაში (Gorbi) – აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერა. სამივე ამ ვარიანტში მანდატების ბონუსი აღარ არის იმ რაოდენობის, რომ უზრუნველყოს ხმათა ფარდობითი უმრავლესობით – მანდატების აბსოლუტური უმრავლესობის, ხოლო ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით – მანდატების კვალიფიციური უმრავლესობის მოპოვება.

1) Edison Research

პარტიები	შედეგი, %	ხმები	მანდატები	%, მანდატები
მმართველი ძალა	37%	753 118	56	37%
პარტია 2	21%	427 446	32	21%
პარტია 3	9%	183 191	14	9%
პარტია 4	5%	101 773	8	5%
პარტია 5	4%	81 418	6	4%
პარტია 6	4%	81 418	6	4%
პარტია 7	4%	81 418	6	4%
პარტია 8	4%	81 418	6	4%
პარტია 9	3%	61 064	4	3%
პარტია 10	3%	61 064	4	3%
პარტია 11	3%	61 064	4	3%
პარტია 12	3%	61 064	4	3%
სხვა პარტიები	0%	(0)	0	0%
ჯამი	100%	2 035 455	150	100%

2) Gorbi

პარტიები	შედეგი, %	ხმები	მანდატები	%, მანდატები
მმართველი ძალა	55%	1 119 500	89	59%
პარტია 2	20%	407 091	33	22%
პარტია 3	4%	81 418	7	5%
პარტია 4	4%	81 418	7	5%
პარტია 5	3%	61 064	4	3%
პარტია 6	3%	61 064	4	3%
პარტია 7	2%	40 709	3	2%
პარტია 8	2%	40 709	3	2%
სხვა პარტიები	7%	142 482	0	0%
ჯამი	100%	2 035 455	150	100%

3) IRI

პარტიები	შედეგი, %	ხმები	მანდატები	%, მანდატები
მმართველი ძალა	25%	508 864	65	43%
პარტია 2	13%	264 609	34	23%
პარტია 3	4%	81 418	11	7%
პარტია 4	3%	61 064	8	5%
პარტია 5	3%	61 043	7	5%
პარტია 6	2%	40 709	5	3%
პარტია 7	2%	40 709	5	3%
პარტია 8	2%	40 709	5	3%
პარტია 9	2%	40 709	5	3%
პარტია 10	2%	40 709	5	3%
სხვა პარტიები	42%	854 911	0	0%
ჯამი	100%	2 035 455	150	100%

3.3. მანდატების განაწილების წესი

იმისთვის, რომ პასუხი გავცეთ ჩვენს კითხვას, რამდენად უწყობს ხელს ცალკეული ბარიერები დისპროპორციულ შედეგებს და რა გავლენა აქვს მანდატების პრემიაზე, მნიშვნელოვანია განვიხილოთ კიდევ ერთი ანგარიშგასაწევი ფაქტორი – მანდატების განაწილების წესი და შემდეგ საქართველოს კონტექსტში შევაფასოთ ჩვენ მიერ განხილული სამი ძირითადი ბარიერის (გამორიცხვის ბარიერი, ბლოკების შექმნის აკრძალვა, მანდატების განაწილების წესი) როლი მანდატების პრემიის (ბონუსის) მოპოვების გზაზე.

პროპორციული წარმომადგენლობის სისტემებში, არჩევნებში მიღებული შედეგების მიხედვით, პოლიტიკური პარტიებისთვის მანდატების მინიჭების სხვადასხვანაირი წესი შეიძლება მოქმედებდეს. თითოეულის მთავარი მიზანია, მანდატების განაწილება მაქსიმალურად ასახავდეს ამომრჩევლების მიერ გამოხატულ ნებას. მანდატების განაწილების წესები, მათი განაწილების პრინციპების მიხედვით, ორ კატეგორიად – უდიდესი ნაშთისა და უდიდესი საშუალოების – მეთოდებად იყოფა.⁷²

უდიდესი ნაშთის მეთოდები ავსებს ე. წ. პროპორციული კვოტის მეთოდს და ითვალისწინებს მანდატების პირველადი განაწილების შემდგომ მორჩენილი მანდატების განაწილების წესს. პირველ რიგში, დგინდება თითო მანდატის მოპოვებისთვის საჭირო ხმების მინიმალური რაოდენობა.

72. Michael Gallagher, “Comparing Proportional Representation Electoral Systems: Quotas, Thresholds, Paradoxes and Majorities,” *British Journal of Political Science*, Vol. 22, no. 4 (1992): 469–496, 471.
 Pippa Norris, “Classifying Electoral Systems,” in *Electoral Engineering: Voting Rules and Political Behavior*, Cambridge: Cambridge University Press, (2004): pp. 39–65.
 Lydia Mijlan and Geoffrey Archin, “Proportional Representation in Practice: An International Comparison of Ballots and Voting Rules,” *Fraser Institute*, (2018): 12–13.

საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემა: ილიბერალური დემოკრატიიდან კონსტიტუციურ დემოკრატიაში

დენობა (კვოტა), გასანაწილებელი მანდატებისა და ამომრჩეველთა ხმების საერთო ოდენობის მიხედვით. თითოეული პარტია მოიპოვებს იმდენ მანდატს, რამდენ კვოტასაც შეავსებს საკუთარი ხმებით. თუ შედეგად მანდატების გარკვეული ოდენობა გაუნაწილებელი დარჩება, გამოითვლება ხმების ნაშთი, პარტიის მიერ მიღებული ხმებისთვის ამ პარტიის მიერ კვოტის შესავსებად გამოყენებული ხმების გამოკლებით. მორჩენილი მანდატები კი განაწილდება ხმების უდიდესი ნაშთის მქონე პარტიებზე. უდიდესი ნაშთის მეთოდებს მიეკუთვნება ჰეარის კვოტა (Hare Quota) და დროუპის კვოტა (Droop Quota). ეს მეთოდები განსხვავდება კვოტების გამოთვლის წესით.

უდიდესი საშუალოების მეთოდით განაწილებისას, მანდატები თანმიმდევრობით ნაწილდება პარტიებზე, აუქციონის მსგავსი პრინციპით. თითოეული მანდატის მიმართ პარტიის „მსყიდველობითი უნარი“ განისაზღვრება, მათ მიერ არჩევნებში მიღებული ხმებისა და აქამდე „მოგებული“ მანდატების რაოდენობით – პარტიების ეს უნარი მცირდება თითოეული მანდატის მათზე განაწილებასთან ერთად, ვინაიდან მათი ხმების რაოდენობა თანდათან უფრო დიდ მნიშვნელობაზე იყოფა.

ეს პროცესი მეორდება, სანამ ყველა მანდატი არ განაწილდება. უდიდესი საშუალოების მეთოდი მანდატებს ერთიანად ანაწილებს და თავიდან იცილებს მორჩენილ მანდატებს. უდიდესი საშუალოების ყველაზე ხშირად გამოყენებული მეთოდებია დ'ჰონდტის (d'Hondt) მეთოდი, „წმინდა“ სენ-ლეგის („pure“ Sainte-Laguë) მეთოდი და „მოდულიზირებული“ სენ-ლეგის („modified“ Sainte-Laguë) მეთოდი. ეს მეთოდები განსხვავდება სწორედ იმ რიცხვების მიხედვით, რომლებიც გამოიყენება გამყოფებად.

„პროპორციულობის“ განსხვავებული განმარტება მანდატების განაწილების სხვადასხვა წესის კონტექსტში

უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული დოზით არაპროპორციულობა თანდაყოლილია მანდატების განაწილების ნებისმიერი წესისთვის, ვინაიდან, პრაქტიკულად, გარდაუვალია ზოგიერთი ამომრჩეველის ხმის გაუთვალისწინებლობა მანდატების (განსაკუთრებით, მორჩენილი მანდატების) განაწილებისას.⁷³

ქვემოთ განხილული თითოეული სისტემა ეფუძნება პროპორციულობის თავისებურ გაგებას და ესწრაფვის მანდატების განაწილებას ამ გაგებასთან მაქსიმალურად მიახლოებულად. მაგალითად, ჰეარის კვოტის გაგებით, ყველაზე პროპორციული იქნება გაუნაწილებელი მანდატის მინიჭება იმ პარტიაზე, რომელიც ყველაზე ახლოს იყო მის მოპოვებასთან, ხოლო დ'ჰონდტის მეთოდი უფრო პროპორციულად მიიჩნევს გაუნაწილებელი მანდატის დიდი პარტიისთვის მინიჭებას, რადგან დამატებითი მანდატის მიცემა ნაკლები მანდატის მქონე პარტიისთვის, უფრო დიდი ხარისხით გადაჭარბებულ წარმომადგენლობას გამოიწვევდა, ვიდრე მისი დიდი პარტიისთვის მინიჭება.⁷⁴ შესაბამისად, დ'ჰონდტის მეთოდის პერსპექტივით, ყველაზე პროპორციული შედეგი შეიძლება მცირე პარტიების ხარჯზე დიდი პარტიების გადაჭარბებული წარმომადგენლობაც კი იყოს.⁷⁵

73. Silvia Kotanidis, “Understanding the d’Hondt method: Allocation of parliamentary seats and leadership positions. Briefing” European Parliament, 2019, 4. (as of 12 September 2023).

ბელმისაწვდომია: < [https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIEF/2019/637966/EPRS_BRI\(2019\)637966_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIEF/2019/637966/EPRS_BRI(2019)637966_EN.pdf) >

74. Gallagher, “Comparing Proportional Representation Electoral Systems: Quotas, Thresholds, Paradoxes and Majorities,” 494-495.

75. Ibid., 481.

თავისთავად, არაპროპორციულობა ყოველთვის დიდი პარტიების სასარგებლოდ არაპროპორციულობას არ გულისხმობს. მაგალითად, ჯონ ქუინსი ადამსის „უმცირესი გამყოფების“ მეთოდი, ერთ-ერთი ყველაზე არაპროპორციული წესი, არასდროს გამოიყენება მანდატების განაწილებისთვის, რადგან უკიდურესად არაპროპორციულია პატარა პარტიების სასარგებლოდ – ის ყველა „მონაწილეს“ ანიჭებს, მინიმუმ, ერთ „მანდატს“.⁷⁶

თუმცა ის შეიძლება ყველაზე სასურველი სისტემა იყოს იმ კონტექსტში, რომელშიც გამოიყენება: ეს წესი არ შექმნილა პოლიტიკურ პარტიებზე მანდატების გასანაწილებლად, არამედ შეიქმნა აშშ-ის წარმომადგენელთა პალატაში წარმომადგენლების შტატებზე გასანაწილებლად, ე.ი., თითოეული შტატის წარმომადგენლების რიცხვის დასადგენად. ვინაიდან თითოეულ შტატს გარანტირებული ჰქონდა ერთ წარმომადგენელი მაინც, ადამსის მეთოდის ეს არაპროპორციულობა, მისი გამოყენების კონტექსტში, არარელევანტურია.

ამიტომ, ნაშრომში ჩამოთვლილ მეთოდებს შორის, არჩევანი დამოკიდებულია იმ კონტექსტზე, რომელშიც ეს არჩევანი კეთდება. შესაბამისად, ხაზგასასმელია, რომ მანდატების განაწილების წესების „პროპორციულობის“ შეფასება წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის, გულისხმობს პროპორციულობის იმ განმარტებას, რომელსაც გვთავაზობს ვენეციის კომისია. ამ განმარტების მიხედვით, საქართველოს მსგავსი ქვეყნების კონტექსტში, სადაც მთავრობის სტაბილურობა პრობლემა არასდროს ყოფილა⁷⁷, პროპორციულობის პრინციპი მოითხოვს უმცირესობების სათანადო წარმომადგენლობის უზრუნველყოფასა და მმართველი პარტიის არათანაზომიერი უმრავლესობის თავიდან აცილებას. შესაბამისად, ზოგიერთი მათგანი შეიძლება შეფასდეს ნაკლებად პროპორციულად, იმის მიუხედავად, რომ „პროპორციულობის“ ზოგიერთ თავისებურ გაგებას ის სხვებზე მეტად უზრუნველყოფს.

უდიდესი ნაშთის მეთოდები

ჰეარის კვოტა

ჰეარის კვოტა უდიდესი ნაშთების მეთოდის ერთ-ერთი მაგალითია, რომელიც შექმნა ბრიტანელმა იურისტმა თომას ჰეარმა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ის ასევე ცნობილია ჰეარ-ნიემეიერის (Hare-Niemeyer) მეთოდის სახელით, გერმანელი მათემატიკოსის, ჰორსტ ნიემეიერის გამო, რომლის რჩევითაც, 1970 წელს გადაწყდა ამ მეთოდის გამოყენება გერმანიის ბუნდესტაგის კომიტეტებისა და ორგანოების დასაკომპლექტებლად.⁷⁸ აღნიშნული მეთოდი ასევე ცნობილია ჰამილტონის მეთოდის სახელით, ვინაიდან მის გამოყენებას ემხრობოდა ალექსანდრ ჰამილტონი 1792 წლის აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის არჩევნებისთვის.⁷⁹

უდიდესი ნაშთის მეთოდები, მათ შორის, ჰეარის კვოტა, გულისხმობს, პირველ რიგში, თითოეული მანდატის მოპოვებისათვის საჭირო ხმების რაოდენობის (კვოტის) დადგენას. თითოეული პარტია

76. Ibid., 475.

77. იხ., მაგალითად, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), CDL(2017)019- Opinion no 876/2017 on the Draft Revised Constitution, Strasbourg, 2017, პარ. 38.

78. “Hare/Niemeyer,” The Federal Returning Officer, Election Glossary.

ხელმისაწვდომია: <https://www.bundeswahlleiterin.de/en/service/glossar/h/hare-niemeyer.html>.

79. “Hamilton’s Method of Apportionment/History, Formula & Examples,” Study.com ხელმისაწვდომია: <https://study.com/academy/lesson/hamiltons-method-of-apportionment-in-politics.html>.

**საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემა:
ილიბერალური დემოკრატიიდან კონსტიტუციურ დემოკრატიაში**

მიიღებს იმდენ მანდატს, რამდენჯერაც მისი მიღებული ხმები დადგენილ კვოტას შეავსებს, ხოლო დარჩენილი მანდატები მიენიჭებათ პარტიებს, რომლებსაც ხმების ყველაზე დიდი ნაშთი აქვთ.

კერძოდ, თითოეული პარტიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა იყოფა დადგენილ კვოტაზე, რითიც გამოიანგარიშება თითოეული პარტიის ხმების შესაბამისი მანდატების ოდენობა. ვინაიდან მიღებული რიცხვი, თითქმის ყოველთვის, წილადია, თითოეულ პარტიას მიენიჭება მიღებული რიცხვის მთელი ნაწილის რაოდენობის მანდატები. მორჩენილი მანდატები განაწილდება იმ პარტიებზე, რომლებსაც ხმების უდიდესი ნაშთი აქვთ, ანუ რომლებსაც ზემოთ მიღებული რიცხვის არამთელი ნაწილი ყველაზე მეტია.

ჰეარის, დრუპისა და სხვა უდიდესი ნაშთის მეთოდებს შორის, ძირითადი განსხვავება მდგომარეობს იმაში, როგორ გამოიანგარიშება თითოეული მანდატის მოპოვებისათვის საჭირო ხმების რაოდენობა (კვოტა).

ჰეარის, იგივე „ბუნებრივი“, კვოტა გამოიანგარიშება ბარიერს გადაცილებული პარტიებისთვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული ხმების ჯამური რაოდენობის გაყოფით გასანაწილებელი მანდატების რაოდენობაზე.⁸⁰

$$\text{ჰეარის კვოტა} = \frac{\text{ბარიერს გადაცილებული პარტიების ხმების ჯამური რაოდენობა}}{\text{გასანაწილებელი მანდატების რაოდენობა}}$$

განაწილების პირველ ეტაპზე, პოლიტიკურ პარტიებს იმდენი მანდატი მიენიჭება, რამდენი კვოტის შევსებასაც შეძლებენ საკუთარი ხმებით. პირველი ეტაპის შემდეგ მორჩენილი (გასანაწილებელი) მანდატები კი გაუნაწილდება პარტიებს, რომლებსაც კვოტების შევსების შემდეგ, ყველაზე ნაკლები „თავისუფალი“ ხმა დარჩებათ (ე. ი., რომლებიც ყველაზე ახლოს იყვნენ შემდგომი მანდატის მოპოვებასთან).

დრუპის კვოტა

დრუპის კვოტა, ჰეარის კვოტის მსგავსად, უდიდესი ნაშთის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. როგორც უდიდესი ნაშთის ყველა მეთოდი, ისიც იმავე პროცესის გავლას გულისხმობს, რომელიც ჰეარის კვოტით მანდატების განაწილებისთვის არის საჭირო. მათ შორის ძირითადი განსხვავება არის ერთი მანდატის მოსაპოვებლად საჭირო ხმების რაოდენობის, კვოტის გამოანგარიშებაში.

კერძოდ, დრუპის კვოტა გამოიანგარიშება ბარიერს გადაცილებული პარტიებისთვის ამომრჩეველების მიერ ჯამურად მიცემული ხმების გაყოფით, გასანაწილებელ მანდატებზე ერთით მეტ რიცხვზე.⁸¹

$$\text{დრუპის კვოტა} = \frac{\text{ბარიერს გადაცილებული პარტიების ხმების ჯამური რაოდენობა}}{\text{გასანაწილებელი მანდატების რაოდენობა} + 1}$$

80. L. van Eck, SE Visagie and HC de Kock, “Fairness of seat allocation methods in proportional representation,” *ORiON*, Vol. 21(2), (2005): 93-110, 96.

81. Ibid.

დრუპის კვოტის გამოთვლის შემდეგ, მანდატების განაწილების წესი იგივეა, როგორც ჰეარის კვოტის შემთხვევაში – პირველ ეტაპზე ითვლება პარტიების მიერ კვოტის შევსებით მიღებული მანდატების რაოდენობა, მორჩენილი მანდატები კი ნაწილდება ხმების უდიდესი ნაშთის მქონე პარტიებზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დრუპის კვოტა, ჰეარის კვოტასთან შედარებით, ნაკლებია, რადგან წილადის მნიშვნელში 1-ით მეტი რიცხვია.

ერთი შეხედვით, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მცირე კვოტა უკეთესია პატარა პარტიებისთვის და უზრუნველყოფს მათ გაზრდილ წარმომადგენლობას, რადგან მარტივია მისთვის მიღწევა. თუმცა, რეალურად ეს ასე არ არის. ამ მეთოდის გამოყენების გამოცდილება⁸² აჩვენებს, რომ დრუპის კვოტა, ჰეარის კვოტასთან შედარებით, მიდრეკილია დიდი პარტიებისთვის მანდატის მინიჭებისაკენ.

რაც უფრო მცირეა კვოტა მანდატების განაწილების უდიდესი ნაშთის მეთოდში, მით უფრო სასარგებლოა ის დიდი პარტიებისთვის, რადგან მათ მიერ მიღებული ხმებით, მეტი კვოტის შევსება და მანდატის მოპოვებაა შესაძლებელი. კვოტის შემცირება უფრო მოსალოდნელს ხდის პირველივე ეტაპზე მანდატების განაწილებას და, შესაბამისად, უფრო იშვიათი ხდება ნაშთების მიხედვით საკითხის გადაწყვეტა. კვოტის გაზრდის შემთხვევაში, არ იცვლება იმ პარტიის ნაშთი, რომელსაც არ ჰქონდა კვოტის შესავსებად საკმარისი ხმების რაოდენობა, მაგრამ მცირდება უფრო დიდი პარტიების ნაშთი. რაც უფრო დიდია პარტია, მით უფრო მეტად მცირდება მათი ნაშთი – დიდ პარტიებს თითოეული მანდატის მისაღებად მეტი ხმის გამოყენება უწევთ.⁸³

ხაზგასასმელია, რომ ეს შეფასება პირობითია. კვოტის გამოთვლის წესის შერჩევა მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ზედმეტად მცირე კვოტით პოლიტიკური პარტიები გასანაწილებელზე მეტი მანდატის მოპოვებას შეძლებენ (რაც შეუძლებელია), ხოლო ზედმეტად დიდი კვოტით, გაიზრდება განაწილების პირველი ეტაპის შემდეგ მორჩენილი მანდატების რაოდენობა. შესაძლებელია, საარჩევნო სისტემა მოწყობილი იყოს ისე, რომ მის არაპროპორციულობას სწორედ მაღალი კვოტა განაპირობებდეს, მორჩენილი მანდატების მეორე ეტაპზე განაწილების უსამართლო წესთან ერთად, რომელიც უზრუნველყოფს ამ მანდატების მინიჭებას არჩევნებში გამარჯვებული პარტიისთვის.⁸⁴

ასეთ შემთხვევაში, არჩევნებში გამარჯვებული პარტიისთვის კვოტის გაზრდა, უფრო სასარგებლო იქნება. შესაბამისად, ზემოთ მოცემული შეფასება მიესადაგება მხოლოდ იმ შემთხვევებს, რომლებშიც მანდატების განაწილების მეორე ეტაპზე მოქმედებს უდიდესი ნაშთის პრინციპი და განაწილება არ ხდება თავისთავად გამრუდებულ სისტემაში.

82. Kenneth Benoit, "Which Electoral Formula Is the Most Proportional? A New Look with New Evidence," *Political Analysis*, Vol.8, no. 4 (2000): 381–88. <<http://www.jstor.org/stable/25791620>>.

Gallagher, "Comparing Proportional Representation Electoral Systems: Quotas, Thresholds, Paradoxes and Majorities," 472.

83. Ibid.

Michael Gallagher and Paul Mitchell (eds), *The Politics of Electoral Systems* (Oxford, 2005; online edn, Oxford Academic, 1 Feb. 2006), <https://doi.org/10.1093/0199257566.001.0001>, accessed 14 Nov. 2023, 587.

84. შეად. საქართველოს 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით განსაზღვრული წესი, რომელიც დღეს მოქმედ წესზე მაღალ კვოტას ითვალისწინებდა (ბარიერს გადაცილებული პოლიტიკური პარტიების ნაცვლად, ყველა პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების ჯამის 150-ზე გაყოფით), თუმცა, მორჩენილი მანდატების ყველაზე მეტი ხმის მქონე პარტიისთვის მინიჭებით (შეზღუდვების გათვალისწინებით), მნიშვნელოვნად არაპროპორციულ შედეგებს აყენებდა.

საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემა: ილიბერალური დემოკრატიიდან კონსტიტუციურ დემოკრატიაში

აღსანიშნავია, რომ არსებობს დრუპის კვოტაზე მცირე კვოტებიც, მაგალითად, იმპერიალის კვოტა, რომელიც კვოტის გამოსაანგარიშებელ გამოყოფს, 1-ის ნაცვლად, 2-ს უმატებს:

$$\text{იმპერიალის კვოტა} = \frac{\text{ხმების ჯამური რაოდენობა}}{\text{განსაწილებელი მანდატების რაოდენობა} + 2}$$

ამით იმპერიალის კვოტა დიდი პარტიებისთვის კიდევ უფრო სასარგებლო შედეგებს აყენებს და უფრო მეტად ამცირებს მცირე პარტიების წარმომადგენლობას.

კვოტის შემცირებით, დრუპისა და იმპერიალის უდიდესი ნაშთის მეთოდები, ჰეარის კვოტასთან შედარებით, მიდრეკილია მცირე პარტიების ხარჯზე დიდი პარტიებისათვის საბონუსე მანდატების მინიჭებისკენ. ეს, ჰეარის კვოტასთან შედარებით, ნაკლებ პროპორციულობას ნიშნავს (ზემოთ შეთანხმებული გაგებით). თავის მხრივ, ჰეარის კვოტა ითვლება მანდატების განაწილების ერთ-ერთ ყველაზე პროპორციულ მეთოდად, რომელიც დიდი პარტიებისთვის არც ცალსახად სასარგებლოა და არც – საზიანო.⁸⁵

შესაბამისად, უდიდესი ნაშთის მეთოდებს შორის, შეგვიძლია ყველაზე პროპორციულად მივიჩნიოთ ჰეარის მეთოდი, რომლისგანაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოში დღეს მოქმედი წესი განსხვავებულია მხოლოდ პირველადი განაწილების შედეგად მორჩენილი მანდატების განაწილების თვალსაზრისით. კერძოდ, ჰეარის კვოტა მეტ პროპორციულობას უზრუნველყოფს მორჩენილი მანდატების იმ პოლიტიკური პარტიისთვის მინიჭებით, რომელსაც, კვოტების შევსების შემდეგ, ხმების უდიდესი ნაშთი ჰქონდა და ამით ყველაზე ახლოს იყო შემდეგი მანდატის მოპოვებასთან. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით კი, მორჩენილ მანდატებს უკეთესი შედეგის მქონე (შედარებით დიდი) პარტიები თანმიმდევრობით იღებენ, რაც დამატებით ზრდის ფარდობითი უმრავლესობის მქონე პარტიის მიერ მიღებულ ბონუსს.

უდიდესი საშუალოების მეთოდები

მანდატების განაწილების ყველაზე პროპორციული წესების ძიება შესაძლებელია უდიდესი საშუალოების მეთოდებს შორის, რომლებიც დღეს მოქმედი წესისგან უფრო რადიკალურად არის განსხვავებული. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია დ'ჰონდტისა და სენ-ლეგის „წმინდა“ და მოდიფიცირებული მეთოდების განხილვა, მათი პროპორციულობის შეფასება.

დ'ჰონდტის მეთოდი

დ'ჰონდტის ფორმულა ეწოდება ბელგიელი იურისტისა და მათემატიკოსის, ვიქტორ დ'ჰონდტის მიერ შექმნილ მანდატების განაწილების მეთოდს, რომლის მიზანაც იყო ბელგიის პარლამენტში მანდატების უკეთესი განაწილება, განსხვავებული ენობრივი ჯგუფებისა და პოლიტიკური ტრადიციების გათვალისწინებით.⁸⁶

85. Gallagher, “Comparing Proportional Representation Electoral Systems: Quotas, Thresholds, Paradoxes and Majorities,” 472. Benoit, “Which Electoral Formula Is the Most Proportional? A New Look with New Evidence”.

86. Kotanidis, “Understanding the d'Hondt method: Allocation of parliamentary seats and leadership positions. Briefing,” 3.

დ'ჰონდტის მეთოდი აშშ-ში ცნობილია ჯეფერსონის მეთოდის სახელით, ვინაიდან ის თომას ჯეფერსონმა 1792 წლის წარმომადგენელთა პალატის არჩევნებში გამოყენებისთვის შესათავაზებლად შეიმუშავა.⁸⁷ აღსანიშნავია, რომ ჯეფერსონის მეთოდის გამოყენებით, მანდატების განაწილების ისეთივე შედეგი დგება, როგორც დ'ჰონდტის მეთოდის გამოყენებისას, თუმცა სხვაგვარი გამომანგარით.

დ'ჰონდტის მეთოდით თითოეული მანდატი ნაწილდება ცალ-ცალკე, თანმიმდევრობით. თითოეული მანდატის გასანაწილებლად, პარტიის მიღებული ხმები იყოფა გამყოფზე – *1+პარტიის მიერ უკვე მიღებული მანდატების რაოდენობაზე*. შედეგად, გასანაწილებელი მანდატი მიენიჭება იმ პარტიას, რომელსაც, გაცოფის შედეგად, უმეტესი ხმა დარჩება („უდიდესი საშუალო ხმა“ ექნება).

პირველი მანდატის განაწილებისას, ყველა პარტიის ხმები იყოფა 1-ზე, რაც ნიშნავს, რომ პირველ მანდატს მოიპოვებს ყველაზე მეტი ხმის მქონე პარტია. შესაბამისად, მეორე მანდატის „საყიდლად“, მისი ხმები გაიყოფა $1+1_{(პარტიის მიერ უკვე მიღებული მანდატების რაოდენობა)}=2$ -ზე. თუ მეორე მანდატსაც ის მოიპოვებს (ე.ი., თუ მისი ხმების ნახევარიც ყველა სხვა პარტიის მიღებულ ხმებზე მეტია), მესამე მანდატის „საყიდლად“, მისი ხმები გაიყოფა $1+2_{(პარტიის მიერ უკვე მიღებული მანდატების რაოდენობა)}=3$ -ზე და ა.შ.

საბოლოოდ, დ'ჰონდტის მეთოდში პარტიები თითოეულ მანდატს მიღებული ხმებით „ყიდულობენ“. პირველი მანდატის ფასად დგინდება ყველაზე მაღალი შესაძლო ფასი, რომელიც თანდათან მცირდება, სანამ ყველა მანდატი არ განაწილდება. ამისათვის, პირველი მანდატი მიენიჭება პარტიას, რომელსაც ყველაზე მეტი ხმა აქვს. თუმცა, ყოველი შემდეგი მანდატის განაწილებისას, პარტიების „მსყიდველობითი უნარი“ (“N”) განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:⁸⁸

$$N = \frac{V}{s + 1}$$

სადაც “V” არის პარტიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა და “s” არის პარტიის მიერ აქამდე მიღებული მანდატების რიცხვი.

თითოეულ ჯერზე, მანდატს მიიღებს პარტია, რომელსაც ამ მანდატის განაწილების მომენტში, ყველაზე მაღალი N ექნება. პროცესი სრულდება ყველა მანდატის განაწილებით.

შესაძლებელია, ასევე, დ'ჰონდტის მეთოდით მანდატების განაწილება შედარებით მარტივად, თუ მანდატების განაწილების თანმიმდევრობას მნიშვნელობა არ აქვს. კერძოდ, ჯამში იმავე შედეგს მივიღებთ, თუ თითოეული პარტიის მიერ მიღებულ ხმებს თანმიმდევრობით გავყოფთ ნატურალურ რიცხვებზე, მიღებული შედეგებიდან კი ამოვარჩევთ გასანაწილებელი მანდატების რაოდენობის უმაღლეს რიცხვებს. მანდატები განაწილდება პარტიებზე, რომელთა ხმების რაოდენობიდანაც არის მიღებული ეს რიცხვები.

87. Jarosław Flis, Wojciech Słomczyński and Dariusz Stolicki, “Pot and Ladle: Seat Allocation and Seat Bias under the Jefferson-D’Hondt Method,” Cornell University, 2018, 1.
88. Helen J. Wilson, “The D’Hondt Method Explained,” *Mathematics Department, UCL*.

სენ-ლეგის მეთოდი

სენ-ლეგის მეთოდი, დ'ჰონდტის მეთოდის მსგავსად, მანდატების განაწილებას წყვეტს პარტიების მიერ მიღებული ხმების სხვადასხვა გამყოფზე გაყოფით. განასხვავებენ სენ-ლეგის „წმინდა“ და „მოდულიზირებულ“ მეთოდებს.

„წმინდა“ სენ-ლეგის მეთოდით, მანდატების განაწილება დ'ჰონდტის მსგავსი პროცესია, იმ განსხვავებით, რომ ყოველი შემდეგი მანდატის განაწილებისას, პარტიის ხმების გამყოფი იზრდება 2-ით და არა 1-ით. ამის გამო, ამ მეთოდში გამყოფები არის მხოლოდ კენტი რიცხვები.

ეს ნიშნავს, რომ პირველ მანდატს, ამ შემთხვევაშიც, მოიპოვებს ყველაზე მეტი ხმის მქონე პარტია, რადგან პირველი მანდატის გასანაწილებლად ყველა პარტიის ხმა იყოფა 1-ზე. შედეგად, სენ-ლეგის მეთოდის თანახმად, მეორე მანდატის „საყიდლად“ ყველაზე მეტი ხმის მქონე პარტიის ხმები გაიყოფა $1+2x1$ (პარტიის მიერ უკვე მიღებული მანდატების რაოდენობა) = 3-ზე. თუ მეორე მანდატსაც ის მოიპოვებს, მესამე მანდატის „საყიდლად“ მისი ხმები გაიყოფა $1+2x2$ (პარტიის მიერ უკვე მიღებული მანდატების რაოდენობა) = 5-ზე და ა.შ. ეს ნიშნავს, რომ „წმინდა“ სენ-ლეგის მეთოდით, მანდატების განაწილებისას, პარტიების „მსყიდველობითი უნარი“ (“N”) განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$N = \frac{V}{2s + 1}$$

სადაც “V” არის პარტიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა და “s” არის პარტიის მიერ აქამდე მიღებული მანდატების რიცხვი.

„წმინდა“ სენ-ლეგის მეთოდის შედეგად, დიდ პარტიებს ნაკლებად ენიჭება უპირატესობა, ვიდრე დ'ჰონდტის მეთოდში ენიჭებოდა, რადგან პარტიას, თითოეული მანდატის მოპოვებით, ურთულდება შემდეგი მანდატის მოპოვება (უფრო მეტად უმცირდება „მსყიდველობითი უნარი“). ამით აღმოფხვრილია დ'ჰონდტის მეთოდის არაპროპორციულობის პრობლემა.

რაც შეეხება სენ-ლეგის „მოდულიზირებულ“ მეთოდს, ერთადერთი განსხვავება „წმინდა“ მეთოდისგან არის პირველი მანდატის მოპოვების სირთულეში. კერძოდ, „მოდულიზირებული“ სენ-ლეგის მეთოდი პირველ გამყოფს (1) ცვლის 1.4-ით, ხოლო სხვა მხრივ, იდენტურია „წმინდა“ სენ-ლეგის მეთოდთან. ეს ნიშნავს, რომ თითოეული პარტიის მიერ პირველი მანდატის მოსაპოვებლად, მის მიერ მიღებული ხმები იყოფა 1.4-ზე, ხოლო შემდეგი გამყოფები, „წმინდა“ სენ-ლეგის მეთოდის მსგავსად, არის: 3, 5, 7, 9 და ა.შ. შედეგად, „მოდულიზირებული“ სენ-ლეგის მეთოდით უფრო გართულებულია ისეთი პატარა პარტიების არსებობა, რომლებზეც მხოლოდ ერთი მანდატი განაწილებოდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დ'ჰონდტის მეთოდი მანდატებს, სხვა მეთოდებთან შედარებით, ნაკლებად პროპორციულად ანაწილებს და, ზოგადად, მიდრეკილია მეტი ხმის მომპოვებელი პარტიების უპირატესობის გამყარებისკენ, პატარა პარტიების ხარჯზე.⁸⁹

ამის საპირისპიროდ, „წმინდა“ სენ-ლეგის მეთოდი, დ'ჰონდტის მეთოდთან მცირე განსხვავების

89. Kotanidis, “Understanding the d’Hondt method: Allocation of parliamentary seats and leadership positions. Briefing,” 4.

მიუხედავად, მანდატების განაწილების ერთ-ერთ ყველაზე პროპორციულ მეთოდად ითვლება,⁹⁰ ზოგიერთი კვლევით – ყველაზე პროპორციულადაც კი.⁹¹ „მოდერნიზირებული“ სენ-ლეგის მეთოდი, თავის მხრივ, დამატებით ბარიერს შეიცავს პატარა პარტიებისთვის პირველი მანდატის განაწილებაზე, რაც შეიძლება სასურველი იყოს კონკრეტული კონტექსტისთვის დამახასიათებელი გამოწვევების გადასაჭრელად.

ეს მეთოდები, ერთი შეხედვით, მინიმალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. თუმცა, სწორედ ეს მინიმალური განსხვავებები იწვევს დრამატულად განსხვავებული პროპორციულობის მქონე შედეგებს და, შესაბამისად, განსაზღვრავს თითოეული ამ წესის სასურველობას კონკრეტულ კონტექსტში. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მანდატების განაწილების წესის დეტალურად შესწავლის მნიშვნელობას, რათა უზრუნველყოფილი იყოს უმცირესობების სათანადო წარმომადგენლობა პარლამენტში, მათ ხარჯზე დიდი პარტიებისათვის ბონუსების მინიჭების ნაცვლად.

ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის არჩევნების მოქმედ სისტემაში, მორჩენილი მანდატების განაწილების წესიდან გამომდინარე, ბონუსი შედარებით უმნიშვნელოა (იხილეთ სიმულაციების დეტალური ცხრილები). ბონუსი, ძირითადად, იქმნება ბარიერით, რომელიც ამცირებს მანდატების განაწილებაში მონაწილე პარტიების რაოდენობას. თავის მხრივ, მორჩენილი მანდატების მეორეული განაწილების წესის ჩანაცვლება, მაგალითად, უდიდესი ნაშთის წესით ან სენ-ლეგის ფორმულით, მხოლოდ მცირედით შეძლებს მანდატების ბონუსის შემცირებას. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი სიმულაციების მეორე ჯგუფში, აბსოლუტური უმრავლესობით საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების გზაზე, გადაამწყვდები, სწორედ, მორჩენილი მანდატების განაწილებიდან მიღებული ერთი მანდატი ხდება.

შესაბამისად, მორჩენილი მანდატების განაწილების წესის დამოუკიდებელი ეფექტი მანდატების ბონუსზე მნიშვნელოვანი არ არის, თუმცა, გამორიცხვის ბარიერთან და საარჩევნო ბლოკების აკრძალვასთან ერთად, მასაც შეაქვს წვლილი მანდატების ბონუსის შექმნაში.

3.4. საარჩევნო ბარიერებისა და მანდატების ბონუსის შედეგები საქართველოს პოლიტიკურ სისტემაზე: რეტროსპექტივა და პერსპექტივა

საქართველოს საარჩევნო სისტემების ევოლუციასა და ამ სისტემების ფარგლებში მიღებული შედეგების (იხ. დანართი) დაკვირვება ცხადყოფს, რომ 1995–2020 წლებში მოქმედი საარჩევნო სისტემების მთავარი პრობლემა პარალელური საარჩევნო სისტემის ეფექტი გახლდათ. დამატებით სხვა საარჩევნო ბარიერების გამოყენებით კი სისტემა დაკარგული ხმების მაღალ მაჩვენებელსა (გამონაკლისია 2008–2012 და 2020 წლების არჩევნები) და შესაბამისად, გამარჯვებულისთვის მანდატების მაღალი პრემიის არსებობას (გამონაკლისია 2003–2004 და 2012 წლების არჩევნები) ითვალისწინებდა.

ამ პირობებში, სისტემა მიდრეკილი იყო, გამარჯვებული დაეჯილდოვებინა, ამომრჩევლის მიერ გამოცხადებულ ნდობასთან მიმართებით, არაპროპორციულად დიდი რაოდენობის მანდატით და ამ

90. Gallagher, “Comparing Proportional Representation Electoral Systems: Quotas, Thresholds, Paradoxes and Majorities,” 494.

91. Benoit, “Which Electoral Formula Is the Most Proportional? A New Look with New Evidence”.

საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემა: ილიბერალური დემოკრატიიდან კონსტიტუციურ დემოკრატიაში

გზით მოპოვებული სუპერუმრავლესობით (კვალიფიციური უმრავლესობით). რიგ შემთხვევებში, სისტემა, ფადრობითი უმრავლესობის მხარდაჭერით, საკონსტიტუციო უმრავლესობის ხელში ჩაგდებას შესაძლებლობასაც კი (იხილეთ, 2016 წლის არჩევნების შედეგები) იძლეოდა.

სუპერსტაბილური უმრავლესობით მხარდაჭერილი ბელადის პერსონალური ძალაუფლების შექმნა, სუვერენულ საქართველოში ისტორიულად მართლდებოდა არასტაბილური მმართველობის გამოვლილი საფრთხილობის შიშით. ამ შიშით პასუხობდნენ ამომრჩეველთა მოზრდილი ჯგუფების ხმების დაკარგვისა და მათთვის წარმომადგენლობის წართმევის ინციდენტებს, მაგალითად, 1999 წლის არჩევნებზე, 7%-იანი ბარიერის პირობებში, 6.59%-იანი მხარდაჭერის მქონე ლეიბორისტული პარტიის მანდატის გარეშე დარჩენას. თუმცა დაკვირვება აჩვენებს, რომ საქართველოში არასდროს ყოფილა ფრაგმენტირებული უმრავლესობისა და ამით გამოწვეული არასტაბილური მმართველობის პრობლემა.

საპარლამენტო არჩევნების სისტემის ამგვარი ეფექტი განსაკუთრებით პრობლემური გახდა საქართველოს მმართველობის სისტემის უნიკამერულ საპარლამენტო რეჟიმად ტრანსფორმაციით. ამ პირობებში ერთ არჩევნებში გამარჯვებითა და სუპერუმრავლესობის მოპოვებით, შესაძლებელი ხდება პოლიტიკური ძალაუფლების ყველა შტოს კონტროლი და კონსტიტუციით მანიპულაცია, პერსონალური ძალაუფლების მიზნების მისაღწევად.

2024 წელს სრულად პროპორციული წესით არჩევნები პირველად ტარდება, თუმცა, ბლოკების აკრძალვის გათვალისწინებით, ბარიერის დამოუკიდებელ ეფექტზე საუბარი მაინც გაგვიჭირდება. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სრულად პროპორციული სისტემა ამოქმედდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მიღწეულია ოპოზიციის უკიდურესი ფრაგმენტაცია, რეჟიმის მიერ წარმოებული უწყვეტი პოლარიზაციის სტრატეგიის გზით.

დომინანტი ოპოზიციური პარტია, ისევე, როგორც სხვა პარტიები, რომლებიც ისედაც პატარა პარტიებს წარმოადგენდნენ, კიდევ უფრო პატარა პარტიებად დაიშალნენ, ან გაქრნენ პოლიტიკური ველიდან. 2012-2020 წლების არჩევნების შედეგები, ისევე, როგორც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები, არ იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს, რომ 5%-იანი ბარიერის დამოუკიდებლად გადალახვას, ორი პარტიის გარდა, კიდევ რომელიმე პარტია გარანტირებულად შეძლებს. შესაბამისად, ამ მხრივ მდგომარეობა რადიკალურად არ შეიცვლება.

ასეთ შემთხვევაში, პარტიები იძულებული არიან, მიმართონ ისეთ სტრატეგიებს, რომელმაც, შეიძლება, ფრაგმენტაცია და პარტიული სისტემის მოშლა უფრო გაამძაფროს, ვიდრე შეამციროს. ასეთ შემთხვევაში მაღალი ბარიერის დაწესებისთვის გაცხადებული ლეგიტიმური მიზნის საპირისპირო შედეგს მივიღებთ. მეტიც, ჩვენს შემთხვევაში, ლეგიტიმური მიზანი ვერ იქნება პარლამენტის ფრაგმენტაციის თავიდან არიდება, რადგან ამ ეტაპზე ეს გამოწვევას არ წარმოადგენს. ამასთან, სტრატეგიები გაუმჭვირვალე პროცესებს ახალისებს, რაც ინფორმირებული არჩევანის ვაკუუმს ართულებს.

ამ პირობებში, 5%-იანი ბარიერს დიდი ფსიქოლოგიური ეფექტი ექნება ამომრჩეველებზე. იმის მიუხედავად, თუ ვისი მხარდამჭერები არიან, მათ მოუწევთ ხმის მიცემა ისეთი პარტიებისთვის, რომელთაც ბარიერის გადალახვის უფრო მაღალი შანსი აქვთ, ან უარს იტყვიან ამ სახის გადათამაშებაზე, რაც გაზრდის დაკარგული ხმების რიცხვს და შესაბამისად, დისპროპორციას მიღებულ მხარდაჭერასა და მოპოვებულ მანდატებს შორის.

ამ სახის ბარიერები გავლენას ახდენს თავად საარჩევნო სუბიექტების ქცევაზე. კერძოდ, ამგვარი არაპროპორციული სისტემა პარტიებს სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებისკენ უბიძგებს, რაც ნაკლებად თავსებადია დემოკრატიული არჩევნების პრინციპებთან და როგორც თურქეთის მაგალითის განხილვისას აღინიშნა, ამომრჩეველთან დამალობანას თამაშს ემსგავსება.

ამასთან, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ წინა არჩევნების შემდეგ, გამორიცხვის ბარიერი უპრეცედენტოდ რადიკალურად იზრდება. კერძოდ, 1%-დან 5%-ზე გადასვლა ძალიან დიდი ნახტომია, ასეთ რადიკალურ ზრდას კი სჭირდება შესაბამისი დასაბუთება. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დასაბუთებულია მაღალი ბარიერის საჭიროება, მნიშვნელოვანია ეს ეტაპობრივად მოხდეს. „საქართველოს არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED)“ დაკვირვებით, ორ არჩევნებს შორის გამორიცხვის ბარიერის რადიკალურად აწევის შემთხვევაში, არჩევნების შედეგების არაპროპორციულობა მკვეთრად იზრდება.⁹² ვენეციის კომისიის 2002 წლის მოსაზრება, რომელიც 7%-იანი ბარიერის შემცირების მოწოდებას ეხებოდა, ეტაპობრივი შემცირების ალტერნატივასაც განიხილავდა: პირველ ჯერზე – 4%-მდე და შემდეგი არჩევნებისთვის – 5%-მდე გაზრდის.⁹³

საქართველოს პოლიტიკური სისტემის მთავარი გამოწვევა არ არის ჭარბი პლურალიზმით გამოწვეული არასტაბილურობა. პირიქით, მთავარი გამოწვევა ფარდობითი უმრავლესობის მხარდაჭერით სრული პოლიტიკური ძალაუფლების სტაბილურად მოპოვება, სახელმწიფოს სრულად მიტაცება და რეჟიმის ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობის სისტემური პირობების შექმნაა.

ასეთ პირობებში, დემოკრატიული ტრანსფორმაციის მოთხოვნა ვერ იქნება პოლიტიკურ პლურალიზმსა და ძალაუფლების გაზიარებაზე არასტაბილურობის საფრთხობელის შიშით უარის თქმა. არსებული საარჩევნო სისტემა კი სწორედ ამ უკანასკნელ მიზანს ემსახურება, სტრუქტურულად ამცირებს ბელადის დემოკრატიის პლურალიზმსა და ძალაუფლების გაზიარებაზე დაფუძნებული ლიბერალური დემოკრატიით ჩანაცვლების შესაძლებლობას.

92. შოთა ნარსია, „რა საფრთხეებს შეიცავს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, წინასაარჩევნო ბლოკების აკრძალვის პირობებში, 5%-იანი ბარიერის გამოყენება?“.

93. Venice Commission, *CDL-AD(2002)009*, პარ..81.

4

ფინანსება

ჩვენ შევისწავლეთ და მოცემულ ნაშრომში ავსახეთ საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემის ფუნქციონირება და შედეგები, საქართველოს კონსტიტუციური სისტემისა და პოლიტიკური რეჟიმის ფარგლებში. საქართველოს პარლამენტის არჩევნების სისტემა, სუვერენიტეტის აღდგენის შემდეგ, გამოირჩეოდა მაღალი ბარიერთა და დემოკრატიის მაჟორიტარისტული გაგებით, რაც ხელს უშლიდა ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის ისეთი ღირებულებების ჩამოყალიბებასა და ინსტიტუციონალიზაციას, როგორებიცაა პოლიტიკური პლურალიზმი და ძალაუფლების გაზიარება, შეკავება და შეზღუდვა.

შესაბამისად, კონსტიტუციური დემოკრატიის ნაცვლად, საქართველოში ჩამოყალიბდა ფორმალურად ლიბერალურ-დემოკრატიული კონსტიტუციის ჩარჩოში მოქმედი ილიბერალური პოლიტიკური რეჟიმი, პლებისციტური ბელადის დემოკრატიის სახით. 2020 წლის ჩათვლით მოქმედი პარალელური საარჩევნო სისტემა, ფარდობითი უმრავლესობით გამარჯვებულს, აჯილდოვებდა მანდატების ბონუსით, რაც მას პოლიტიკურ ძალაუფლებაზე სრულ კონტროლს აძლევდა, ხოლო, ზოგ შემთხვევაში, კონსტიტუციის გადასინჯვისთვის საჭირო უმრავლესობის მინიჭებით, კონსტიტუციური ინჟინერიის გზით, რეჟიმის განმტკიცებისა და სახელმწიფოს მიტაცების შესაძლებლობას უხსნიდა.

დემოკრატიის უხეში მაჟორიტარისტული გაგება, რომელსაც ეს რეჟიმი ეფუძნება, სისტემურად ხელს უშლის პოლიტიკური პლურალიზმის, ძალაუფლების გაზიარების, შეკავებისა და შეზღუდვის ინსტიტუციონალიზაციას და პოლიტიკურ ტრადიციად დამკვიდრებას. აღნიშნული კი მნიშვნელოვანი წინააღობაა ლიბერალური (კონსტიტუციური) დემოკრატიის ინსტიტუციონალიზაციის გზაზე.

2017-2018 წლებში „ქართულმა ოცნებამ“ ამომრჩეველთა ფარდობითი უმრავლესობით მოპოვებული მანდატების სუპერუმრავლესობის მეშვეობით, ერთპარტიულად გადასინჯა საქართველოს კონსტიტუცია, რომლითაც ფორმალურად განხორციელდა მმართველობის საპარლამენტო სისტემაზე გადასვლა. ასევე, 2024 წლიდან ასამოქმედებლად შემოიღო საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის სრულად პროპორციული სისტემა.

ჩვენი შეფასებით, ეს საარჩევნო სისტემაც ილიბერალური რეჟიმებისთვის დამახასიათებელი კონსტიტუციური თაღლითობის ნიმუშია, რადგან, გარეგნულად ლიბერალურ-დემოკრატიული საპარლამენტო რეჟიმისკენ გადადგმული ნაბიჯის მიუხედავად, პლებისციტური ბელადის დემოკრატიის ელემენტად რჩება.

ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს ჩვენ მიერ დეტალურად განხილული მანდატების ბონუსის გამოწვევი ბარიერის ძირითადი ელემენტები (გამორიცხვის 5%-იანი ბარიერი, საარჩევნო ბლოკების აკრძალვისა და მორჩენილი მანდატების განაწილების წესები) და მათი კუმულაციური ეფექტი.

საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემა: ილიბერალური დემოკრატიიდან კონსტიტუციურ დემოკრატიაში

ჩვენი დასკვნით, ამ ელემენტებიდან, მანდატების პრემიის ფორმირებაზე განსაკუთრებული გავლენა 5%-იანი გამორიცხვის ბარიერისა და საარჩევნო ბლოკების აკრძალვის კომბინირებულ ეფექტს აქვს. მორჩენილი მანდატების განაწილების წესის გავლენა კი შედარებით ნაკლებია, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი უფრო გამარჯვებულებს ავილდობს, კერძოდ, არსებული პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, ბლოკების აკრძალვისა და მაღალი გამორიცხვის ბარიერის საერთო ეფექტი ხელოვნურად ზრდის ფარდობითი უმრავლესობით მანდატების ბონუსის მოპოვების შესაძლებლობას და სტრუქტურულად ამცირებს მმართველი ძალის საარჩევნო მარცხის შესაძლებლობებს.

შესაბამისად, არსებული საარჩევნო სისტემა ერგება პლებისციტური ბელადის დემოკრატიის საჭიროებებს და არ ემსახურება იმ ლეგიტიმურ მიზნებს, რომლებსაც კონსტიტუციის ბოროტად გამოყენების პროცესში ასახელებენ: პოლიტიკური პლურალიზმით გამოწვეული არასტაბილურობის თავიდან აცილებასა და სტაბილური მმართველობის ხელშეწყობას.

პირიქით, კონსტიტუციური დემოკრატიის ინსტიტუციონალიზაციისთვის, საქართველოს სჭირდება პოლიტიკური პლურალიზმისა და ძალაუფლების გაზიარების ინსტიტუციონალიზაცია, რასაც საქართველოს პარლამენტის არსებული საარჩევნო სისტემა ხელს უშლის.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სხვა ტიპის პოლიტიკური რეჟიმის კონტექსტში, საქართველოს პარლამენტის არჩევნების არსებული სისტემის დისპროპორციულობა და მისგან ნაწარმოები მანდატების პრემია, შესაძლოა, კონსტიტუციური დემოკრატიის ნორმატიულ მოთხოვნებთან თავსებადი ყოფილიყო.

არსებულ კონტექსტში, როდესაც პარლამენტის არჩევნებში მანდატების უმრავლესობის მოპოვება მკაცრად ცენტრალიზებული პოლიტიკური ძალაუფლების ორივე შტოზე კონტროლის მოპოვებას ნიშნავს, ხოლო კვალიფიციური უმრავლესობის მიღება – კონსტიტუციის თვითნებურად შეცვლის ძალაუფლების მოპოვებას, მანდატების პრემიის თუნდაც შემცირებული ხარისხით ძალაში დატოვება კიდევ უფრო ამყარებს არსებულ პლებისციტურ ბელადის დემოკრატიას.

იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო შტო და სხვა დამოუკიდებელი ინსტიტუტები ასევე მითაცებულია და ვერ ახორციელებს პოლიტიკური ძალაუფლების შეკავებისა და კონტროლის ფუნქციას, მანდატების პრემიისა და ძალაუფლების მაჟორიტარისტულ-პოპულისტური ლოგიკის შენარჩუნება ხელს უწყობს ბელადის დემოკრატიის პერსონალისტური ძალაუფლების რეჟიმის განუსაზღვრელი ვადით შენარჩუნებას და ვერაფრით აზღვევს ამ რეჟიმის შემდგომ დეგრადაციას პლებისციტურ დესპოტიზმად ან საარჩევნო ავტორიტარულ რეჟიმად.

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო სისტემა პლებისციტური ბელადის დემოკრატიის მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტია და თუნდაც საარჩევნო სისტემის აქ განხილული დეფექტების აღმოფხვრაც ვერ იქნება რეჟიმის საარჩევნო მარცხის, მით უფრო, მისი დემოკრატიული ტრანსფორმაციის გარანტია. თუმცა ეს საარჩევნო სისტემა, თავის მხრივ, წარმოგვიდგება, როგორც პლებისციტური ბელადის დემოკრატიის მკაფიო სიმპტომი და ამ ტიპის რეჟიმისგან თავის დაღწევის მნიშვნელოვანი წინააღობა.

ფანჯარი

საქართველოს კარლაგენდის საარჩევნო სისტემა: ილიბარალური დემოკრატიიდან კონსტიტუციურ დემოკრატიაში

საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემის ევოლუცია (1995-2020)
ნაწილი I

	1995	1999	2003 - 2004		2008	2012	2016	2020
სისტემა	პარალელური	პარალელური	პარალელური		პარალელური	პარალელური	პარალელური	პარალელური
ფარდობა	სულ: 231 მანდატი* პ: 146 მ: 85 (აქედან, აირჩეოდა 73)**	სულ: 235 მანდატი პ: 150 მ: 85 (აქედან, აირჩეოდა 73)**	სულ: 235 მანდატი პ: 150 მ: 85 (აქედან, აირჩეოდა 73)**	განმეორებითი არჩევნები ჩატარდა მხოლოდ პროპორციულ ნაწილში პ: 150	სულ: 150 მანდატი პ: 75 მ: 75	სულ: 150 მანდატი პ: 77 მ: 73	პარალელური	სულ: 150 მანდატი პ: 120 მ: 30
გამორიცხვის ბარიერი	მონაწილე ამომრჩევლობა ხმების არანაკლებ 5%	მონაწილე ამომრჩევლობა ხმების არანაკლებ 7%	მონაწილე ამომრჩევლობა ხმების არანაკლებ 7%	მონაწილე ამომრჩევლობა ხმების არანაკლებ 7%	მონაწილე ამომრჩევლობა ხმების არანაკლებ 5%. ამ რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა	მონაწილე ამომრჩევლობა ხმების არანაკლებ 5%.	პარალელური	პარტიებისთვის - მონაწილე ამომრჩევლობა ნამდვილი ხმების არანაკლებ 1% ბლოკებისთვის - არანაკლებ ამომრჩევლობა ნამდვილი ხმების 1%* გლოკში შემავალ პარტიათა რაოდენობა
ბლოკები	+	+	+	+	+	+	+	+

* კონსტიტუციის მიხედვით, სულ 235 დეპუტატი აირჩეოდა, თუმცა, მხოლოდ 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, საგამომრჩევლო სისტემით მიღებული მანდატების განაწილებისას, 150-ის ნაცვლად, 146 მანდატი იყო გათვალისწინებული (გარკვეული დათქმებით), რამაც, საბოლოოდ, მე-3 მოწვევის პარლამენტის შემადგენლობა 231 დეპუტატით განსაზღვრა.

** 1992 წლის არჩევნების შედეგად აფხაზეთიდან არჩეულ პირებს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება ავტომატურად უბრუნდებოდათ. შესაბამისად, 1995-2004 წლების არჩევნებში ერთმანდატთან ოლქებში მოსაპოვებელი მანდატების რაოდენობა არა - 85-ს, არამედ 73-ს შეადგენდა. ეს წესი აფხაზეთში საქართველოს პარლამენტის წევრთა არჩევნებისთვის აუცილებელი პირობების შექმნამდე უნდა ყოფილიყო ძალაში, თუმცა 2004 წლიდან აფხაზეთის დეპუტატის უფლებამოსილება შეუწყდა.

პ პროპორციული წესით მიღებული მანდატები
მ მაკუორიტარული წესით მიღებული მანდატები

ნაწილი II

	1995	1999	2003 - 2004	2008	2012	2016	2020	
მანდატების პირველადი განაწილების წესი	სუბიექტის მიერ მიღებული ხმები* 146/ბარირგადალახული სუბიექტების მიერ მიღებული ხმების ჯამი.	სუბიექტის მიერ მიღებული ხმები* 150/ბარირგადალახული სუბიექტების მიერ მიღებული ხმების ჯამი	სუბიექტის მიერ მიღებული ხმები* 75/ბარირგადალახული სუბიექტების მიერ მიღებული ხმების ჯამი	სუბიექტის მიერ მიღებული ხმები* 77/ყველა სუბიექტის მიერ მიღებული ხმების ჯამი	სუბიექტის მიერ მიღებული ხმები* 77/ყველა სუბიექტის მიერ მიღებული ხმების ჯამი	სუბიექტის მიერ მიღებული ხმები* 120/ბარირგადალახული სუბიექტების მიერ მიღებული ხმების ჯამი	სუბიექტის მიერ მიღებული ხმები* 120/ბარირგადალახული სუბიექტების მიერ მიღებული ხმების ჯამი	
მორჩენილი მანდატების განაწილების წესი	მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი წარმოადგენს მიღებული მანდატების რაოდენობას.	მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი წარმოადგენს მიღებული მანდატების რაოდენობას.	მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი წარმოადგენს მიღებული მანდატების რაოდენობას.	მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი წარმოადგენს მიღებული მანდატების რაოდენობას.	მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი წარმოადგენს მიღებული მანდატების რაოდენობას.	მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი წარმოადგენს მიღებული მანდატების რაოდენობას.	მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი წარმოადგენს მიღებული მანდატების რაოდენობას.	
მორჩენილი მანდატების განაწილების წესი	გაუნაწილებელი მანდატებიდან, თითო მანდატი მიენიჭება იმ სუბიექტს, რომელმაც არჩევნებში ხმების მეტი რაოდენობა მიიღო. სუბიექტთა მიერ მიღებული ხმების თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება უფრო ადრე რეგისტრირებულ სუბიექტს.	პირველი რიგში, მანდატები შეეცება ნ-მდე იმ სუბიექტს, რომელმაც გადალახა ბარირი, თუმცა ვერ მიიღო n მანდატი. მანდატები შეეცება მორჩენილი მანდატებიდან. თუ მორჩენილი არ არის, ან არ ყოფილა, მაშინ რიგრიგობით მოაკლდება უკანა რიგის სუბიექტები. ბიდან იმათ, რომელთა მანდატების რაოდენობა n-ზე მეტია, ისე, რომ მოკლებისას 7 მანდატზე ნაკლები არ დარჩეთ.	თუ ამის შემდეგ კვლავ მორჩენილია მანდატები, ისინი რიგრიგობით დამატებით საუკეთესო შედეგის მქონე სუბიექტებს.	პირველი რიგში, მანდატები შეეცება ნ-მდე იმ სუბიექტს, რომელმაც გადალახა ბარირი, თუმცა ვერ მიიღო n მანდატი. მანდატები შეეცება მორჩენილი მანდატებიდან. თუ მორჩენილი არ არის, ან არ ყოფილა, მაშინ რიგრიგობით მოაკლდება უკანა რიგის სუბიექტები. ბიდან იმათ, რომელთა მანდატების რაოდენობა n-ზე მეტია, ისე, რომ მოკლებისას 7 მანდატზე ნაკლები არ დარჩეთ.	თუ ამის შემდეგ კვლავ მორჩენილია მანდატები, ისინი რიგრიგობით დამატებით საუკეთესო შედეგის მქონე სუბიექტებს.	პირველი რიგში, მანდატები შეეცება ნ-მდე იმ სუბიექტს, რომელმაც გადალახა ბარირი, თუმცა ვერ მიიღო n მანდატი. მანდატები შეეცება მორჩენილი მანდატებიდან. თუ მორჩენილი არ არის, ან არ ყოფილა, მაშინ რიგრიგობით მოაკლდება უკანა რიგის სუბიექტები. ბიდან იმათ, რომელთა მანდატების რაოდენობა n-ზე მეტია, ისე, რომ მოკლებისას 7 მანდატზე ნაკლები არ დარჩეთ.	თუ ავლმატება მარჯვს, შესაბამისად, მოაკლდება მანდატები პროპორციულ არჩევნებში წარდგენილი სიოდან და თანმიმდევრობით გადაუნაწილება სხვა უკეთესი შედეგის მქონე სუბიექტებს.	თუ ავლმატება მარჯვს, შესაბამისად, მოაკლდება მანდატები პროპორციულ არჩევნებში წარდგენილი სიოდან და თანმიმდევრობით გადაუნაწილება სხვა უკეთესი შედეგის მქონე სუბიექტებს.

*ზოლოდ 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, საგამონაკლისო წესით, პროპორციული სისტემით მიღებული მანდატების განაწილებისას, 150-ის ნაცვლად, 146 მანდატი იყო გათვალისწინებული (გარკვეული დათქმებით).

**საქართველოს კარლამენდის საარქივო სისტემა:
ილინაერალური დემოკრატიიდან კონსტიტუციურ დემოკრატიამდე**

ნაწილი III

	1995	1999	2003	2004	2008	2012	2016	2020
მონაწილე სუბიექტების რაოდენობა	53	45	18	16	12	16	25	30
ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა	3 121 075	3 143 851	3 178 593	2 343 087	3 465 736	3 613 851	3 513 884	3 511 853
მონაწილეობა საერთო (ამომრჩეველთა 68.18%)	2 127 946	2 133 878	1 909 215	1 498 012	1 850 407	2 215 661	1 825 054	1 992 891
(ამომრჩეველთა 68.18%)	(ამომრჩეველთა 67.889%)	(ამომრჩეველთა 60%)	(ამომრჩეველთა 63.9%)	(ამომრჩეველთა 53.3%)	(ამომრჩეველთა 56.077 (3%))	(ამომრჩეველთა 61.3%)	(ამომრჩეველთა 51.9%)	(ამომრჩეველთა 56.74%)
ბათილი					56 077 (3%)	62 874 (2.8%)		68 496 (3.43%)
ყველა სუბიექტის მიერ მიღებული ხმების ჯამი						2 150 197	1 759 632	1 924 395

გამარჯვებულის რეალური მხარდაჭერა VS მიღებული მანდატების პროცენტული წილი მთლიანი რაოდენობიდან	<p>„მოქალაქეთა კავშირის“ მხარდაჭერა - 23.71%</p> <p>საერთო მანდატების (231 მანდატის) - 47%</p> <p>პრემია: 23.29%</p> <p>პროპორციული მანდატების პროცენტული წილი</p> <p>პრემია: 13.8%</p> <p>პროპორციული მანდატების (146 მანდატის) - 62%</p>	<p>„მოქალაქეთა კავშირის“ მხარდაჭერა - 41.9%</p> <p>საერთო მანდატების (235 მანდატი) - 55.7%</p> <p>პრემია: 13.8%</p> <p>პროპორციული მანდატების (150 მანდატი) - 87.3%</p>	<p>„ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატების“ მხარდაჭერა - 66.24%</p> <p>საერთო მანდატების (235 მანდატი) - 64.68%</p> <p>პრემია: 1.5%</p> <p>პროპორციული მანდატების (150 მანდატი) - 90%</p>	<p>„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერა - 58.5%</p> <p>საერთო მანდატების (150 მანდატი) - 79.3%</p> <p>პრემია: 20.8%</p> <p>პროპორციული მანდატების (75 მანდატი) - 64%</p>	<p>ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნების“ მხარდაჭერა - 55%</p> <p>საერთო მანდატების (150 მანდატი) - 56.6%</p> <p>პრემია: 1.6%</p> <p>პროპორციული მანდატების (77 მანდატი) - 57%</p>	<p>„ქართული ოცნების“ მხარდაჭერა - 49%</p> <p>საერთო მანდატების (150 მანდატი) - 76.6%</p> <p>პრემია: 27.6%</p> <p>პროპორციული მანდატების (77 მანდატი) - 5%</p>	<p>„ქართული ოცნების“ მხარდაჭერა - 48%</p> <p>საერთო მანდატების (150 მანდატი) - 60%</p> <p>პრემია: 12%</p> <p>პროპორციული მანდატების (120 მანდატი) - 50%</p>	
ბარიერგადალახული სუბიექტების მიერ მიღებული ხმების პროცენტული ჯამი	38.5%	74.32%	86.42%	73.8%	91.98%	95.2%	80.08%	93.85%
იმ პარტიების ჯამური მხარდაჭერა, რომლებმაც მერ გადალახეს ბარიერი	61.5%	25.68%	13.58%	26.2%	8.02%	4.8%	19.2%	6.15%

„ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატების“ მიერ პროპორციული სისტემით მიღებული მანდატების რაოდენობა მთლიანად 2003 წელს ჩატარდა) მხოლოდ 17 მანდატი (10 მანდატი - ბლოკ „სააკაშვილი - ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მიღებული და 7 მანდატი - ბლოკ „ბურჯანაძე - დემოკრატების“ მიერ მიღებული). თუმცა გამარჯვებული პარტიის - „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების“ მიერ მიღებული ფაქტობრივი მანდატები ამ რიცხვს აღემატება. მისი სრული სიმრავლე მანდატების შემთხვევაში, პრემიის მაჩვენებელი გაიზარდა.

ნაწილი IV

1995	1999	2003	2004	2008	2012	2016	2020
<p>„მოქალაქეთა კავშირი“ პ: 504 586 (23,71%) – 90 მანდატი (89 + 1 მორჩენილი) მ: 18 სულ: 108</p>	<p>„მოქალაქეთა კავშირი“ პ: 894 850 (41,9%) – 85 მანდატი (84+1 მორჩენილი) მ: 46 სულ: 131</p>	<p>ბლოკი „ახალი საქართველოსთვის“ პ: 407 045 (21,32%) – 38 მანდატი (37+1 მორჩენილი) მ: 19 სულ: 57</p>	<p>„ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატები“ პ: 992 275 (56,24%) – 135 მანდატი (134 + 1 მორჩენილი)</p>	<p>„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამ. საქართველოსთვის“ პ: 1 050 237 (58,53%) – 48 მანდატი (47+1 მორჩენილი) მ: 71 სულ: 119</p>	<p>ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“ პ: 1 181 862 (54,9%) – 44 მანდატი (42 + 2 მორჩენილი) მ: 41 სულ: 85</p>	<p>„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ პ: 856 638 (48,68%) – 44 მანდატი (37+7 მორჩენილი) მ: 71 სულ: 115</p>	<p>„ქართული ოცნება“ პ: 928 004 ხმა (48,22%) – 60 მანდატი (61-ს დაემატა 1 მორჩენილი და გამოაკლდა 2) მ: 30 სულ: 90</p>
<p>„ეროვნულ-დემოკრ.“ პ: 169 218 (7,96%) – 31 მანდატი (30 + 1 მორჩენილი) მ: 3 სულ: 34</p>	<p>ბლოკი „საქართველოს აღორძინება“ პ: 540 389 (25,32%) – 51 მანდატი მ: 7 სულ: 58</p>	<p>„დემოკრატიული აღორძინების კავშირი“ პ: 359 769 (18,84%) – 33 მანდატი (32 + 1 მორჩენილი) მ: 6 სულ: 39</p>	<p>„მემკვიდრეობა – მემკვიდრეობისთვის“ პ: 113 313 (7,56%) – 15 მანდატი</p>	<p>„გაერთიანებული ოპოზიცია – საქართველოსთვის“ პ: 314 668 (17,53%) – 15 მანდატი (14 + 1 მორჩენილი) მ: 2 სულ: 17</p>	<p>„ნაციონალური მოძრაობა“ პ: 867 432 (40,3%) – 33 მანდატი (31 + 2 მორჩენილი) მ: 32 სულ: 65</p>	<p>„ნაციონალური მოძრაობა“ პ: 477 053 (27,1%) – 27 მანდატი (20+7 მორჩენილი) მ: 0 სულ: 27</p>	<p>ბლოკი „ნაციონალური მოძრაობა“ პ: 523 986 (27,18%) – 36 მანდატი (34 + 2 „ქართული ოცნებისთვის“ ჩამოკლებული) მ: 0 სულ: 36</p>
<p>„აღორძინების კავშირი“ პ: 145 626 (6,84%) – 25 მანდატი მ: 6 სულ: 31</p>	<p>ბლოკი „მრეწველობა გადარჩენს საქართველოს“ პ: 151 665 (7,10%) – 14 მანდატი მ: 1 სულ: 15</p>	<p>ბლოკი „საკავშირო – ნაციონალური მოძრაობა“ პ: 345 197 (18,08%) – 32 მანდატი (31 + 1 მორჩენილი) მ: 10 სულ: 42</p>	<p>„ქრისტან-დემოკრატები“ პ: 153 634 (8,56%) – 6 მანდატი მ: 0 სულ: 6</p>	<p>„ქრისტან-დემოკრატები“ პ: 153 634 (8,56%) – 6 მანდატი მ: 0 სულ: 6</p>	<p>„პეტროტა ალიანსი“ პ: 88 097 (5,01%) – 3 + 3 უცესები მ: 0 სულ: 6</p>	<p>„პეტროტა ალიანსი“ პ: 72 986 (3,79%) – 5 მანდატი (4 + 1 მორჩენილი) მ: 0 სულ: 5</p>	<p>„მგობრივი საქართველო“ პ: 88 097 (5,01%) – 3 + 3 უცესები მ: 0 სულ: 6</p>
<p>„დამოუკიდებელი კანდიდატები“ მ: - 29 მანდატი</p>	<p>„დამოუკიდებელი კანდიდატები“ მ: 17</p>	<p>„ლეიბორისტული პარტია“ პ: 229 900 (12,04%) – 20 მანდატი მ: 3 სულ: 23</p>	<p>„ლეიბორისტული პარტია“ პ: 132 092 (7,36%) – 6 მანდატი მ: 0 სულ: 6</p>	<p>„ლეიბორისტული პარტია“ პ: 132 092 (7,36%) – 6 მანდატი მ: 0 სულ: 6</p>	<p>„თოფაძის პარტია“ პ: 0 მ: 1 სულ: 1</p>	<p>„პეტროტა ალიანსი“ პ: 60 480 (3,14%) – 4 მანდატი მ: 0 სულ: 4</p>	<p>„პეტროტა ალიანსი“ პ: 60 480 (3,14%) – 4 მანდატი მ: 0 სულ: 4</p>
<p>სხვადასხვა პოლიტიკური პარტია მ: - 29</p>	<p>„ლეიბორისტული პარტია“ მ: 2</p>	<p>ბლოკი „ბურჯანაძე – დემოკრატები“ პ: 167 908 (8,79%) – 15 მანდატი მ: 7 სულ: 22</p>	<p>„ერესპულიკური პარტია“ პ: 0 მ: 2 სულ: 2</p>	<p>„ერესპულიკური პარტია“ პ: 0 მ: 2 სულ: 2</p>	<p>„დამოუკიდებელი დემოკრატები“ მ: 1</p>	<p>ბლოკი „სტრატეგია აღმაშენებელი“ პ: 60 671 (3,15%) – 4 მანდატი მ: 0 სულ: 4</p>	<p>ბლოკი „სტრატეგია აღმაშენებელი“ პ: 60 671 (3,15%) – 4 მანდატი მ: 0 სულ: 4</p>
	<p>ბლოკი „ახალი შემარჯვნენი“ პ: 140 259 (7,35%) – 12 მანდატი მ: 4 სულ: 16</p>	<p>ბლოკი „ახალი შემარჯვნენი“ პ: 140 259 (7,35%) – 12 მანდატი მ: 4 სულ: 16</p>				<p>„ლელო“ პ: 60 712 (3,15%) – 4 მანდატი მ: 0 სულ: 4</p>	<p>„ლელო“ პ: 60 712 (3,15%) – 4 მანდატი მ: 0 სულ: 4</p>
	<p>ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ მ: 4</p>	<p>ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ მ: 4</p>				<p>„გირჩი“ პ: 55 598 (2,89%) – 4 მანდატი (3 + 1 მორჩენილი) მ: 0 სულ: 4</p>	<p>„გირჩი“ პ: 55 598 (2,89%) – 4 მანდატი (3 + 1 მორჩენილი) მ: 0 სულ: 4</p>
	<p>„დამოუკიდებელი კანდიდატები“ მ: 20</p>	<p>„დამოუკიდებელი კანდიდატები“ მ: 20</p>				<p>„ელისაშვილი“ პ: 25 508 (1,33%) – 2 მანდატი (1 + 1 მორჩენილი) მ: 0 სულ: 2</p>	<p>„ელისაშვილი“ პ: 25 508 (1,33%) – 2 მანდატი (1 + 1 მორჩენილი) მ: 0 სულ: 2</p>
						<p>„ლიბორისტები“ პ: 19 314 (1%) – 1 მანდატი მ: 0 სულ: 1</p>	<p>„ლიბორისტები“ პ: 19 314 (1%) – 1 მანდატი მ: 0 სულ: 1</p>

თიხმენიძე ივანე, ივანიშვილი ივანე, კახიანი ივანე, კახიანი ივანე

„პ“ – პროპორციული წესით მიღებული მანდატები
„მ“ – მაჟორიტარული წესით მიღებული მანდატები

